სახელმწიფო სამსახური
სახელმწიფო გამოცდის
წინააღმდეგ A2

ფხენიანმა ბირთვული
რეაქტორებიდან მონიტორინგის
სისტემების მოხსნა დაიწყო A4

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 23 დეკემბერი, 2002 წელი. №204

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

პანტელეიმონ გიორგაძე სტალინის ანდერძის ასრულების მოლოდინშია

როგორც პანტელეიმონ გიორგაძემ აღნიშნა, უეჭველად ასრულდება სტალინის ანდერძი იმის შესახებ, რომ ისტორიის ქარიშხალი მისი საფლავიდან გადახვეტავს ნაგავს. მაგრამ ქარიშხალი მაშინ ამოქროლდება, როცა ახალგაზრდები იგრძნობენ, თუ ვინ იყო სტალინი.

A2

უცხოეთი

თურქმენეთმა უზბეკეთის ელჩი გააძევა

პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ, თურქმენეთის გენერალურმა პროკურორმა უზბეკეთის ელჩს კადიროვს, ბრალი დასდო თურქმენბაშის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებასა და თურქმენეთის ოპოზიციის ლიდერის ბორის შიხმურადოვისთვის თავშესაფრის მიცემაში.

A4

ეკონომიკა

მთავრობა ყოველთვის იტყუება - სინოპტიკოსები, სამწუხაროდ, არა

ქალაქის გაზგამანაწილებელ სისტემაში დაბალი წნევაა, ხოლო გათბობის ინდივიდუალური სისტემების უმეტესი ნაწილი, დაბალი წნევის პირობებში არ მუშაობს. სინოპტიკოსების პროგნოზით კი, დეკემბრის ბოლოს 12-გრადუსიანი ყინვებია მოსალოდნელი.

A6

სამართალი

დაზარალებული ჟურნალისტი პოლიციას სასამართლოში უჩივის

შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის მიღწევა, მისივე განცხადებით, წინამორბედ თარგამაძის ტრადიციაზე – დანაშაულის დამალვაზე უარის თქმაა. თუმცა, შს მინისტრისა და მისი ხელქვეითების სიამაყის მიზეზს არასამთავრობო ორგანიზაციები ეჭვქვეშ აყენებენ.

A7

საზოგადოება

"თამბაქო" პარლამენტზე ზეწოლას ცდილობს

საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე გავიდა. ეს კანონპროექტი სიგარეტის წარმოება-რეალიზაციის შეზღუდვას არ ითვალისწინებს. ძირითადად, თამბაქოს ინდუსტრიის აქტიურობისა და არასრულწლოვნებზე ზემოქმედების აკრძალვას მოითხოვს. ამას, რამდენიმე დღის წინ კანონპროექტის მოსმენისას ატეხილი აჟიოტაჟიც მოწმობს.

A8

ამინდი

თბილისი	4
ქუთაისი	8
ბათუმი	10
სოხუმი	6
ფოთი	8
თელავი	3
ზუგდიდი	7
გორი	2

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.1950
გირვანქა სტერლინგი	3.4296
რუბლი	0.0672

რამდენ ხანს ეყოფა სახელმწიფო მინისტრს რეფორმატორული შემართება

სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ეკა კვესიტაძე

ჩვენი ერთადერთი სურვილია, რომ კარგად მოვემზადოთ ამ არჩევნებისთვის, - განაცხადა გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას ავთანდილ ჯორბენაძემ. სახელმწიფო მინისტრის გუშინდელი რეფომატორული შემართება შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, პირველ რიგში, ხელისუფლების ინტერესებში შედის, რომ ამ ხელისუფლებას არანაირი ბრალი არ მიუძღვის არჩევნების გაყალბებაში, არჩევნების დროს ადმინისტრაციული აპარატის გამოყენებაში, ცსკო-ს მიერ ჩადენილ სხვა უამრავ ცოდვაში და ასე შემდეგ.

გუშინ სახელმწიფო მინისტრი ყველა ამ უბედურებას ძველი მოქკავშირელების მიერ დანერგილ სისტემას აბრალებდა და ძველი ხარვეზების გამოსწორებაში არასამთავრობო ორგანიზაციებს დახმარებას სთხოვდა.

"ენჯეოებთან" გუშინდელი შეხვედრა, იმ შეხვედრების სერიის გაგრძელებაა, რომელიც ჯორბენაძემ ზაფხულში წამოიწყო.

თავის დროზე არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო ურთიერთობები "მოქალაქეთა კავშირის" ძველმა ლიდერებმა ჟვანიამ და სააკაშვილმა დაამყარეს. ორივე პოლიტიკოსი ხშირად მართავდა კონსულტაციებს წამყვან "ენჯეოებთან" და სწორედ ეს აქტიური კონსულტაციები გახდა იმის მიზეზი, რომ დღემდე პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების ნაწილი არასამთავრობოებს ჟვანიასა და სააკაშვილის სატელიტ ორგანიზაციებად მოიხსენიებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ეს ქვეყანა შევარდნაძით არ დაწყებულა და არც დამთავრდება

ბადრი კოკლატაძე

ოქტომბერში პარლამენტში გამოსვლისას სახელმწიფო მინისტრმა ღიად განაცხადა, რომ ბიუჯეტის ჩაგდების მცდელობასაც კი ის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეაფასებდა. თუმცა, ამ გამოსვლიდან სულ რაღაც თვენახევარში სიტუაცია შეიცვალა და ბიუჯეტის არგანხილვას უკვე ახალ დემარშისტებად ცნობილი სახელისუფლო ფრაქციები უწყობენ ხელს.

ამ ეტაპზე სახელმწიფო კანცელარიას პოლიტიკური ინიციატივა დაკარგული აქვს. სახელისუფლო ფრაქციების დემარშს ავთანდილ ჯორბენაძე არ გამოხმაურებია, პრეზიდენტმა შევარდნაძემ კი ნინო ბურჯანაძესთან საუბარში საერთოდ უარყო ამ მოვლენებთან მისი კავშირი. ოპოზიციის ინიციატივამ საარსებო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ მთავრობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. თავისთავად ასეთ წინადადებაზე საჯაროდ და ცალსახად უარის თქმა მათ გაუძნელდებათ, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მნიშვნელოვან ზრდაზე საუბრობენ. რთულია დათანხმებაც, რადგანაც დიდია რისკი, ხელფასების გაზრდა მარტოოდენ ქაღალდზე დარჩეს, რაც არჩევნების წინ თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. სხვათაშორის, მსგავსი სიტუაცია იყო შარშანაც, როდესაც საპარლამენტო ფრაქციები ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის მთავარ პირობად პედაგოგებისთვის ხელფასების მომატებას ასახელებდნენ. მაშინ ავთანდილ ჯორბენაძემ მოახერხა დეპუტატების დარწმუნება, რომ ოთხი თვის შემდეგ ბიუჯეტში შესაბამისი შესწორებები შევიდოდა. თუმცა, ასეთი რამ არც ოთხი და არც ცხრა თვის მერე არ მომხდარა. ძველი მეთოდების გამოყენება სახელმწიფო მინისტრს ამჯერად გაუჭირდება. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი მომენტი. გაერთიანებული დემოკრატების ინიციატივამ, პრეზიდენტთან და სახელმ-

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველო აიმან ალ-ზავაჰირის სამიზნე გახდა

ვაშინგტონში შიშობენ, რომ თბილისის წინააღმდეგ ჩეჩენ ტერორისტებს გამოიყენებენ

ზაზა წულაძე

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანმა ექსპერტებმა უსაფრთხოების საკითხებში, პირველად გააკეთეს ღია განცხადება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენები საერთაშორისო ტერორისტული ქსელის "- ალ ქაედას" რიგით მეორე ლიდერის, ეგვიპტელი აიმან ალ-ზავაჰირის სამიზნე გახდა. ***"საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და რუსეთის დღეს მოქმედ და მშენებარე ნავთობსადენებზე: ბაქო-სუფსა, ბაქო-ნოვოროსიისკი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და თენგიზი-ნოვოროსიისკი, ახლო მომავალში, მეგა-ტერორისტული აქტებია მოსალოდნელი. ამგვარი ტერაქტების მომზადებაზე, ჩვენი ინფორმაციით, უკვე მუშაობს "ალ-ქაედას" ტერორისტულ ქსელში შემავალი, ეგვიპტური წარმოშობის ტერორისტული ორგანიზაცია -***

"ალ-ქაიდა" საქართველოში ტერორისტულ აქტებს გეგმავს. ცენტრში ბენ ლადენი და ალ-ზავაჰარი.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ჩვენს ეკონომიკას არაფერი სჭირს ამ ხელისუფლების გარდა"

მაია ურუშაძე

საპარლამენტო ფრაქციის "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივას მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან – 115 ლართან გათანაბრების შესახებ, მთავრობის მხრიდან მედგარი წინააღმდეგობა შეხვდა. მთავრობასა და სახელისუფლებო ფრაქციებს მიაჩნიათ, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში საამისოდ რეზერვების გამოძებნა შეუძლებელი იქნება და ოპოზიციის მოთხოვნა პოპულისტურია. სანამ სახელისუფლებო წრეები "დემოკრატების" იდეის უტოპიურობის დასაბუთებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, "გაერთიანებული დემოკრატები" მზად არიან, საკუთარი ინიციატივის საფუძვლიანობა ციფრებითა და გათვლებით დაასაბუთონ.

მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების წინადადებით გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია პრეზიდენტ შევარდნაძესაც შეხვდა. **"ჩვენ პრეზიდენტს გავაცანით ჩვენი გათვლები და ხაზი გავუსვით, რომ კონფრონტაცია კი არ გვსურს, მზად ვართ, დღესვე დავიწყოთ კონსულტაციები ფინანსთა მინისტრთან. ჩვენ არ ვითხოვთ საბიუჯეტო პარამეტრების გაზრდას და მიგვაჩნია, რომ საკითხის გადაწყვეტა იმავე ფარგლებშია შესაძლებელი,**

გაგრძელება A6 გვერდზე

სომალელმა მეკობრეებმა პირობა დაარღვიეს

ზაზა წულაძე

სომალის სიბაჟ-რუუნის კლანის მეკობრეებმა, რომლებმაც 30 ივლისს დაატყვევეს ბერძნულ გემ "ყენლილზე" მყოფი ექვსი ფოთელი მეზღვაური, პირობა დაარღვიეს და დატყვევებულები გუშინ არ გაათავისუფლეს. ***"16 დეკემბერს დაგპირდნენ, რომ სამ-ოთხ დღეში ან მაქსიმუმ ერთ კვირაში, გაგვიშვებდნენ, ამბობდნენ, ამ დროისთვის ფულს ნამდვილად მოიტანენო, მაგრამ ისევ აქ ვართ. ახლა იძახიან, კიდევ სამი-ოთხი დღე გვინდაო, ნერვები დაწყვეტაზე გვაქვს, აღარ ვიცით, რა ვქნათ, რა დაგვრჩენია, როგორმე უნდა გავუძლოთ ამ საშინელებას, ბოლოს და ბოლოს ხომ გაგვიშვებენ,"*** *– გვითხრა გუშინ დატყვევებულმა, კაპიტნის თანაშემწე ზური გიორგაძემ, რომელსაც "24 საათი" გატაცებულ "ყენლილზე" დაუკავშირდა.*

გაგრძელება A2 გვერდზე

აფხაზეთი და რუსეთი: დაძაბული მეგობრობა

ტომას დე ვაალი
IWPR, სოხუმიდან

სოხუმის პლაჟთან ახლოს მდებარე კაფე "აკოპი" სოხუმელების თავშეყრის საყვარელი ადგილია. ხალხი - ვიცე-პრეზიდენტიდან დაწყებული და უბრალო მოქალაქეებით დამთავრებული – აქ იკრიბება უკანასკნელი ჭორების გასაგებად. ეს კაფე, თავისი ჭუჭყიანი მეტალის მაგიდებითა და მაგარი თურქული ყავით უკვდავყოფილია ყველაზე ცნობილი აფხაზი მწერლის, ფაზილ ისკანდერის მიერ.

"აკოპში" საუბრის მთავარი თემა არასოდეს იცვლება: პოლიტიკა. გასულ თვეს დისკუსია, ძირითადად, იმ საკითხს შეეხებოდა, რომელიც ყველას თავში უტრიალებს: ურთიერთობა რუსეთთან.

"რუსეთი ჩვენი მთავარი ეკონომიკური პარტნიორია", – ამბობს ვალერი, ახალგაზრდა მოხელე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. ამ საკითხზე ყავის მსმელთა შორის სრული კონსენსუსია.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

სომალელმა მეკობრეებმა პირობა დაარღვიეს

ნიკოს სოფრასი: "მოლაპარაკებების რესურსი ამოვწურეთ, საქართველოს მთავრობა თუ რამეს შემოგვთავაზებს, ბედნიერები ვიქნებით"

პირველი გვერდიდან

დატყვევებული "ჟენლილი", როგორც 16 დეკემბრის "24 საათში" გაცნობეთ, კვლავაც სომალის ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარე, არაღიარებული სახელმწიფოს სომალილენდის მთავარ საპორტო ქალაქ ბერბერასგან, 120 კილომეტრის მოშორებით დგას. გემი აქ, სომალის ტერიტორიაზე არსებული, კიდევ ერთი აუღიარებელი ქვეყნის, პუნტლენდის საპორტო ქალაქ ბოსაასოდან მოვიდა, სადაც 30 ივლისიდან 13 დეკემბრამდე იდგა.

"ჟენლილზე" ზურაბ გიორგაძის, არტურ არუთუნიანის, ნიკოლოზ პიჟოვის, ალექსანდრე ჩიჩაძის, ანატოლი არხანგოროდსკის და გულადი რუხაძის გარდა, ისევ რვა კარგად შეიარაღებული სომალელი მეკობრე იმყოფება, რომლებიც სიბაქ-რუნის კლანის წევრები არიან. **"ბერბერადან სადღაც 120 კილომტრში ვდგავართ. 16 დეკემბრის შემდეგ, როცა ბოლოს გელაპარაკეთ, თითქმის არაფერი შეცვლილა, ისევ დაპირებები და დაპირებები. ამბობენ, რომ ჯიბუტიდან ნავით უნდა მოიტანონ ფული და ველოდებითო, თუმცა ახლა მეტი იმედი გვაქვს. გუშინ, "ჟენლილის" ბერძენმა მეპატრონემ დაგვირეკა და გვითხრა, რომ შუამავალი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობს, ამ დღეებში ბოსაასოში უნდა ჩავიდეს და მერე ჩვენი საქმე დადებითად გადაწყდება,"** – გვითხრა კოკმა გულადი რუხაძემ.

"ჟენლილის" მეპატრონე საბერძნეთის კომპანია "პალას ნავიგეიშენმა" მეკობრეების მიერ მოთხოვნილი 85 ათასი ამერიკული დოლარი 30 ნოემბერს გადარიცხა, სომალილენდის მოსაზღვრე სახელმწიფოს - ჯიბუტის ერთ-ერთ ბანკში. **"თანხა, უკვე ორი კვირაა, რაც ჯიბუტის ბანკიდან გაიტანეს. მას შემდეგ მეკობრეები კავშირზე აღარ გამოსულან, არც ახალი პირობები წამოუყენებიათ. პირდაპირ გეტყვით, რომ აღარ ვიცით, რა ვქნათ. "პალას ნავიგეიშენმა" ყველაფერი გააკეთა, ჩვენ მოლაპარაკებების რესურსი ამოვწურეთ, საქართველოს ხელისუფლება რამეს თუ შემოგვთავაზებს, ბედნიერები ვიქნებით,"** – გვითხრა "პალას ნავიგეიშენის" ადვოკატმა ნიკოს სოფრასმა, რომელსაც გუშინ ათენში ვესაუბრეთ.

მეკობრეებმა ნოემბრის ბოლოს ორპუნქტიანი პირობა წაუყენეს "პალას ნავიგეიშენს". ისინი, 85 ათას დოლარის გადახდის შემთხვევაში, გემისა და ეკიპაჟის ყველა წევრის გათავისუფლებაზე თანხმობას აცხადებდნენ. მეორე პუნქტში კი ეწერა, რომ თუ "ჟენლილს" არ გაათავისუფლებდნენ, მაშინ თანხას უკან დააბრუნებდნენ. **"რა თქმა უნდა, ასეთი შემოთავაზების შემდეგ, 85 ათასის გადარიცხვა სარისკო იყო, მაგრამ ჩვენ ამაზეც წავედით, ახლა ყველაფერი შუამავლებზე არის დამოკიდებული,"** – ამბობს ნიკოს სოფრასი.

სომალილენდში, რომლის ტერიტორიულ წყლებშიც იმყოფებიან ამჟამად ფოთელი მეზღვაურები, "ჟენლილის" გატაცებისა და შემდეგ, სომალილენდის ტერიტორიულ წყლებში გადაყვანის შესახებ არაფერი იციან. **"ამის შესახებ არაფერი ვიცით, პირველად თქვენგან მესმის,"** – გვითხრა გუშინ სომალილენდის არაოფიციალურმა წარმომადგენელმა დიდ ბრიტანეთში ოსმან აჰმედ ჰასანმა, რომელსაც "24 საათი" ლონდონში დაუკავშირდა.

უშედეგო აღმოჩნდა სომალილენდის სეპარატისტულ ხელისუფლებაში დარეკვაც. სომალილენდში ამჟამად პრეზიდენტ დაჰირ რიაღე კაჰინის მთავრობაა, რომელმაც ქვეყნის მართვა 2002 წლის 5 მაისს, ყოფილი პრეზიდენტის იბრაჰიმ ეგალის სიკვდილის შემდეგ დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, 16 დეკემბერს სომალილენდში საპარლამენტო არჩევნები გამართულა და ახლა ხმების დათვლის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც იქ არსებული კანონით, გუშინ, 22 დეკემბრის დღის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო.

მოკლედ

თბილისი. საქართველოში დროებით მცხოვრები ჩეჩენი დევნილები შიშობენ, რომ მარტში დაიწყება მათი მასიური დეპორტაცია რუსეთში. როგორც ჟურნალისტებს გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარიატთან არსებული ჩეჩნეთიდან დევნილთა საქმეების საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჰუსეინ საიდოვმა განუცხადა, ხმები შესაძლო დეპორტაციის შესახებ უსაფუძვლო არაა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას თქმით, წლეულს, 4 ჯარისკაცის მოკვლის გარდა, შეიარაღებულ ძალებში ხუთმა სამხედრომ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

ერევანი. 2003 წელს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში წინსვლის მიღწევა შეიძლებელი იქნება მხოლოდ მოლაპარაკებების ტექნოლოგიებში. ამის შესახებ სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა განაცხადა, გაზეთ "სომხეთის ხმის" მკითხველთა პასუხად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საშემოდგომო გაწვევის ვადა 31 დეკემბერს იწურება და ბოლო დეკადამდე გეგმა მხოლოდ 26 პროცენტით არის შესრულებული. მიზეზი ის არის, რომ წვევამდელები, ახლობლების ხელშეწყობით, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ამ საქმეში სამხედრო კომისარიატების თანამშრომლებიც ეხმარებიან, რა თქმა უნდა, სათანადო გასამრჯელოს საფასურად. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ნატო-ს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის" მომავალ წელს საქართველოში ორი წვრთნაა დაგეგმილი. პირველი — „კოოპერატივ-2003 პარტნიორი" დაგეგმილია ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე 2003 წლის 13 მაისიდან, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე დაადასტურეს სომხეთმა, აზერბაიჯანმა, გერმანიამ, უკრაინამ და ბულგარეთმა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და აფხაზური პრობლემის მოგვარების ერთიანი კონცეფციის შემუშავებაზე მუშაობს. ამის შესახებ კავკას-პრესს განუცხადა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ბაქო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აზერბაიჯანს 100 მილიონი დოლარის ოდენობის სესხის გადახდა შეუფერა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ორგანიზაცია „დათვი" რეგისტრაციის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს, სავარაუდოდ, ხვალ მიმართავს. რეგისტრაციისათვის პარტიის ყრილობიდან დოკუმენტების წარდგენამდე კანონით დადგენილი ერთკვირიანი ვადა 24 დეკემბერს იწურება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სოსო არჩვაძის აზრით, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შემთხვევაში, ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ზრდა უმართავი გახდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. უზენაესი სასამართლო 24 დეკემბერს დავით ინჯიას სარჩელს განიხილავს, რომლითაც მოსარჩელე უკანონო პატიმრობისთვის მორალური ზარალის - 500 ათასი დოლარის ანაზღაურებას მოითხოვს. ***ინტერ-პრესი.***

■ ■ ■

თბილისი. „სუუამი — ამერიკის ჩარჩო პროგრამით" გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მიზნით, 2003 წლის იანვარში თბილისში ამერიკელი ექსპერტებისა და სუუამის წევრი ქვეყნების სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრა გაიმართება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს წევრი, ყოფილი ლეიბორისტი ავთანდილ ტყებუჩავა აცხადებს, რომ თვითმმართველობის ორგანოში საკრებულოს მდივნის, ზურაბ ჟვანიას იმპიჩმენტი მზადდება. **მედია-ნიუსი..**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულოს წევრი ჯუმბერ შენგელაია აცხადებს, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური ოფისის შენობა შეისყიდა და ევრორემონტი ჩაატარა. **მედია-ნიუსი.**

ვანტელეიმონ გიორგაძე სტალინის ანდერძის ასრულების მოლოდინშია

ვასილ გულეური

პანტელეიმონ გიორგაძე ბელადის ძეგლთან.

თოვლისა და ცივი ქარის მიუხედავად, 21 დეკემბერს სტალინის თაყვანისმცემლებმა გორში, მის სახლ-მუზეუმთან მოიყარეს თავი. როგორც კომუნისტური პარტიის გორის განყოფილების ლიდერმა ალეკო ლურსმანაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, სტალინის 123-ე წლისთავის საიუბილეოდ დელეგაციები ჩამოვიდნენ აჭარიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან. საპატიო სტუმრებს შორის კი საქართველოს ერთიანი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი პანტელეიმონ გიორგაძე იყო.

როგორც პანტელეიმონ გიორგაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, უეჭველად ასრულდება სტალინის ანდერძი იმის შესახებ, რომ ისტორიის ქარიშხალი მისი საფლავიდან გადახვეტავს ნაგავს. მაგრამ ქარიშხალი მაშინ ამოქროლდება, როცა ახალგაზრდები იგრძნობენ, თუ ვინ იყო სტალინი. "დღეს აქ მეტი ხალხი უნდა იყოს, მაგრამ ვერ დავემდურებით – ხალხს სცივა, შია, წამალი არა აქვს... ჩვენი ახალგაზრდები ჩვენთან არ არიან! ამაშია უბედურება," – თქვა მან. შემდეგ კი, უკვე მერამდენედ, პრეზიდენტისა და პარლამენტის მოშორების აუცილებლობა აღნიშნა: - "უკვე მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. თუ შევარდნაძე იქნება, თუ ეს ხულიგნები იქნებიან პარლამენტში, სისხლისღვრა მოხდება. მაგრამ აქ ისევ უბრალო ხალხი დაიღუპება. ამიტომ უნდა გამოვიღვიძოთ. თუ ხალხი გამოიღვიძებს, შევარდნაძე გაიქცევა!" მან განაცხადა, რომ საქართველოს ყველა რეგიონში მოსახლეობა უკვე მობილიზებულია და კომპარტიის ნიშანს ელოდება. მერე კი ხალხი "რკინის ცოცხს აიღებს და ისე გახვეტავს ამ ხელისუფლებას."

სახლ-მუზეუმიდან კომუნისტებმა სტალინის ძეგლთან გადაინაცვლეს, გვირგვინებით შეამკეს და მიტინგი გააგრძელეს. როდესაც ხალხი უკვე დაიშალა, თბილისიდან დაგვიანებით ჩამოსულმა სტალინის ერთერთმა თაყვანისმცემელმა დიდი სურათით, რომელზეც სტალინი და მაო ძე დუნი იყვნენ გამოსახულნი, სტალინის გამზირზე რამდენჯერმე აიარა და მეგაფონით ხელში მარტომ გამართა მიტინგი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დროს გორში ჩინეთის ელჩი იმყოფებოდა, რომელიც ახალი ციფრული ატს-ს გახსნას უნდა დასწრებოდა.

გორში ციფრული სატელეფონო სადგური გაიხსნა

ვასილ გულეური

იმ დროს, როდესაც კომუნისტები სტალინის იუბილეს აღნიშნავდნენ, ს/ს "საქართველოს ელექტროკავშირის" გორის ტერიტორიულ ფილიალში საპატიო სტუმრებს ელოდნენ. მაღალჩინოსნების შეფერხების მიზეზი კასპთან მოსახლეობის მიერ გზის გადაკეტვა გახდა, მაგრამ სტუმრებმა მაინც მოახერხეს გორში ჩამოსვლა.

როგორც "ელექტროკავშირის" გორის ფილიალის მმართველმა გივი სამადალაშვილმა გვითხრა, ახალი სატელეფონო სადგური ათას აბონენტს მოემსახურება და მომსახურების ხარისხი შესამჩნევად გაიზრდება. მაგრამ ახალ სადგურზე გადართვა ძველ აბონენტებს 50 ლარი დაუჯდებათ. ერთი ლარით გაიზრდება ყოველთვიური სააბონენტო გადასახადიც და 4 ლარი გახდება.

კავშირგაბმულობის მინისტრს მერაბ ადეიშვილს მიაჩნია, რომ ეს ფასი კომპენსირდება მაღალი სერვისით. როგორც მან განაცხადა, ციფრულ სატელეფონო სადგურებს მალე საქართველოს სხვა რეგიონებშიც გახსნიან (უკვე გაიხსნა სენაკში და ხაშურში) და 7-8 თვეში მთლიანად საქართველო სატელეფონო მომსახურების ამ სისტემაზე გადავა. "ეს მოსახლეობაზე ორიენტირებული პოლიტიკაა. მალე მოსახლეობა იგრძნობს, რომ "ელექტროკავშირი" არ უნდა გაყიდულიყო."

ს/ს "საქართველოს ელექტროკავშირის" დირექტორმა ლია ჭელიძემ მიულოცა გორელებს ახალი სატელეფონო სადგურის გახსნა და აღნიშნა, რომ გადავდივართ საერთაშორისო სტანდარტებზე.

რაც შეეხება იმას, გორელებისთვის ამ "საჩუქრის გადაცემა" სპეციალურად დაემთხვა თუ არა სტალინის იუბილეს, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს შემთხვევით მოხდა. მაგრამ, ალბათ, შემთხვევითი არ იყო ის, რომ სადღეგრძელოები სწორედ შამპანიურ "სტალინით" შესვეს.

ციფრული სატელეფონო სადგურის სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა ჩინურმა კომპანიამ "HUAჭEI" (როგორც აგვიხსნეს, ეს ჩინურად "ხალხისთვის მუშაობას" ნიშნავს), რომელიც 1988 წელს დაფუძნდა და დღეისათვის მსოფლიოს 45 ქვეყანაში აქვს ფილიალი.

სადგურის გახსნის შემდეგ კომპანიის თანამშრომლებს ფირმის საქმიანობის პრეზენტაცია ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მინისტრმა, "ეს ხომ სენაკშიც გვაჩვენესო" და, სტალინის ძეგლის გვირგვინით შესამკობად გაეშურა. თუმცა, ალბათ, არც ის იყო სტუმრებისთვის უცნობი, რომ ქალაქგარეთ, რესტორან "გორში" 50 პერსონაზე გაწყობილი სუფრა ელოდათ. ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა კი პრეზენტაცია მაინც გამართეს ჟურნალისტებისთვის და "ელექტროკავშირის" გორის ფილიალის თანამშრომლებისთვის, რომლებიც სუფრაზე არ იყვნენ მიწვეულები.

სახელმწიფო სამსახური სახელმწიფო გამოცდის წინაალმდეგ

ზაზა ფაჩუაშვილი

დასაქმების სახელმწიფო სამსახურში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული სახელმწიფო გამოცდა, რომელიც 14 დეკემბერს უნდა გამართულიყო, ჩაიშალა. ჩაშლის მიზეზი იყო დასაქმების სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელთა მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი.

სახელმწიფოს პოზიცია

სასამართლოზე სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კარლო ლაცაბიძე:

"პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად მოხდა დასაქმების სახელმწიფო ფონდის ლიკვიდაცია და 2001 წელს შეიქმნა დასაქმების სახელმწიფო სამსახური. იმთავითვე გადაწყვეტილი იყო, რომ სახელმწიფო სამსახურში კადრების შერჩევა კონკურსის წესით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამისათვის გარკვეული დრო იყო საჭირო. მანამდე კი სამსახურის უფროსმა ჯემალ მებუკემ უწყება ხელშეკრულებით აყვანილი ხალხით შეავსო. მათ შორის ძირითადად ფონდის თანამშრომლები იყვნენ, დანარჩენი – ახალი კადრები. გაფორმებულ ხელშეკრულებაში წერია, რომ ხელშეკრულება უქმდება კონკურსის დანიშვნისთანავე. ამ პროცესის ხელის შეშლის ერთადერთი ვარიანტი არსებობს. ეს არის სასამართლო, რომელსაც შეუძლია პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმება. ამის იმედი ჰქონდათ მომჩივანებსაც, როცა საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც გამოვიდა მებუკეს ბრძანება გამოცდის 14 დეკემბრისთვის დანიშვნის თაობაზე.

ამის შემდეგ დამარცხებულმა კოლექტივმა სარჩელი შეიტანა დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში და მებუკეს ბრძანების გაუქმება მოითხოვა. საქმე წარმოებაში მიიღეს და ბრძანება ავტომატურად შეჩერდა.

ვინაიდან მებუკეს ბრძანების შეჩერება საკმარისი არ იყო, კოლექტივმა პარალელურად საოლქოშიც იჩივლა და მინისტრის იმ ბრძანების შეჩერება მოითხოვა, რომელიც კონკურსის ჩატარების წესს არეგულირებდა. ჩვენი აზრით, აქ გაუგებრობა მოხდა, რადგან საოლქოს ეს საქმე უკვე განხილული ჰქონდა. ამის გამო ჩვენ საოლქოში მეორე დღესვე შევიტანეთ კერძო საჩივარი, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მხოლოდ ერთი პუნქტი, რომელიც საგამოცდო კომისიის დანიშვნის წესს ეხება, განსახილველად უზენაეს სასამართლოში გადააგზავნეს. ჩვენ ყოველივე ამის შემდეგაც შეგვეძლო, გამოცხადებული კონკურსი ჩაგვეტარებინა და მის კანონიერებაზე მერე გვედავა, მაგრამ გადავწყვიტეთ, საქმე ზედმეტად არ გავართულოთ და სასამართლოს დაველოდოთ. მით უმეტეს, რომ ეს ბოლო ინსტანციაა. სამწუხარო ისაა, რომ ხალხი დაზარალდა. ჩვენ მათი გაფრთხილება ვერ მოვასწარით და კონკურსანტები რაიონებიდან ტყუილად ჩამოვიდნენ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი გაგებით მოეკიდნენ საქმეს და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებაც კი შემოგვთავაზეს."

კოლექტივის პოზიცია

დასაქმების სახელმწიფო სამსახურში მომჩივანი კოლექტივის სახელით პროფკავშირის თავმჯდომარე ანა წიქარიშვილი გვესაუბრა: **"ჩვენი კოლექტივი რეფორმისა და ატესტაციის წინააღმდეგი არასოდეს ყოფილა და არც იქნება. უბრალოდ გვსურს, რომ ყველაფერი სამართლიანად მოხდეს. არ გვესმის, თავიდანვე საერთო კონკურსი რატომ უნდა დაინიშნოს. ჩვენი კოლექტივი სა-უკეთესო გამოცდილი კადრებით არის დაკომპლექტებული. ამიტომაც დატოვეს უმრავლესობა ახლადშექმნილ სამსახურში. ამის გამო ვითხოვთ, ჯერ შიდა ატესტაცია ჩატარდეს, უმკაცრესი შიდა ატესტაცია. შემდეგ, თუ ვაკანტური ადგილები დარჩება, საერთო კონკურსიც გაიმართოს."**

- გამოცდილ და მცოდნე კადრებს საერთო კონკურსის რატომ უნდა ეშინოდეს?

- აქ შიშზე არ არის საუბარი. ჩვენ არ ვენდობით სამინისტროს განცხადებას იმის თაობაზე, რომ ტესტები გასაიდუმლოებულია და ყველასთვის ხელმიუწვდომელია. ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ტესტები და პასუხები კონკურსანტთა საკმაოდ ფართო წრისათვის არის ცნობილი და მხოლოდ ჩვენთვის არის დაფარული. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ექიმების (და არა მარტო მათი) ტესტირების დროს ტესტები გამოქვეყნებული იყო და ყველას შეეძლო მომზადება. გაუგებარია, ჩვენ, სამინისტროს უწყებას ასეთ შანსს რატომ გვისპობენ?

პასუხი კოლექტივს

დასაქმების სამსახურის კოლექტივის პრეტენზიებზე პასუხი გასცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვასილ ჭეიშვილმა:

"მომჩივანთა პრეტენზია აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ტყუილია ის, რომ ტესტები ვინმესთვის ცნობილია. ტესტები დედამიწის ზურგზე ჩემს გარდა არავის უნახავს და მე ამის დამტკიცება შემიძლია. ტესტები შედგენილია თვითკონტროლის ისეთი სისტემით, რომ ინფორმაციის გაჟონვა გამორიცხულია. ეს ბრალდება მაშინ შეითითხნა, როცა მათი მხრიდან ტესტების ხელში ჩაგდების ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა. ამჟამად თავს შევიკავებ, მაგრამ, თუ დამიპირისპირდებიან, მაშინ იმ ხალხის გვარებს დავასახელებ, ვინც მათ მომიგზავნეს.

მათი მოთხოვნა შიდა ატესტაციის შესახებ ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან პრეზიდენტის ბრძანებულებით ყველაფერი იმთავითვე განისაზღვრა.

ახლა, რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოქვეყნდა ეს ტესტები, ექიმების ატესტაციისაგან განსხვავებით. ექიმების ატესტაცია სხვა სისტემით მოხდა - 2500 ტესტისაგან შედგებოდა. აქ კი მხოლოდ 100 ტესტია და მის ჩასაბარებლად 4 კანონის ცოდნაც კი საკმარისია. თუ ასეთი მცოდნე და გამოცდილები არიან, დაამტკიცონ, გამოვიდნენ გამოცდაზე და ჩააბარონ."

კოლექტივი, ისევე როგორც სამინისტრო, თავის სიმართლეში და გამარჯვებაში დარწმუნებულია.

"ჩვენ საკმაოდ კარგად ვართ მომზადებულები და პროფკავშირებიც მხარს გვიჭერს. კონსულტაცია გავიარეთ იურისტებთანაც და დავრწმუნდით, რომ ჩვენი მოთხოვნები კანონიერია. ამიტომ სასამართლოს იმედი გვაქვს," – გვითხრა ანა წიქარიშვილმა.

უახლოესი სასამართლო პროცესი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში 25 დეკემბერს გაიმართება. უზენაესში კი საოლქოდან გადაგზავნილ საქმეს 25 იანვარს განიხილავენ.

მკითხველის ტრიბუნა

ამბობენ, დედაქალაქში გასული კვირის დასაწყისში მოსულმა თოვლმა ბაკურიანისა და გუდაურის მცხოვრებლებს სადარდელი გაუჩინა. ისინი დამსვენებელთა ნაკლებობაზე უკვე წუწუნებენ. დიდთოვლობამ საფიქრალი არც თბილისელებს დაულია. შესაძლოა ამიტომაც, პოლიტიკურად დაძაბული პროცესები მათთვის შეუმჩნეველი დარჩა, თუმცა გულწრფელად რომ ითქვას, ადამიანებს უკვე კარგა ხანია მოსწყინდათ იმ "თამაშის" ცქერა, რომელსაც ჩვენში პოლიტიკა ჰქვია.

აკაკი ბაქრაძე მშენებელი

ამდენი პოლიტიკა რა საჭიროა, არ მესმის. სულ არ მაინტერესებს, ვინ ვის გაარტყა და გალანძღა პარლამენტში, არადა ამის გარდა, არაფერს აჩენებენ ამ ტელევიზიით. ბოდიში და არც ის მაინტერესებს, ვის რა ფერის "ტრუსიკი" აცვია.

გვყავს შესანიშნავი მეცნიერები. გამოიყვანონ ეს ადამიანები და ეს ხალხი ალაპარაკონ, ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, ვისაც მართლა ესმის ამ ყველაფრის. მსახიობი ჩხიკვაძე გამოდის და მორალს მიკითხავს, ერთი კვირაა სუპს ვჭამო. რას ნიშნავს ეს? გაუძელით ამ გაუსაძლის ცხოვრებას და სუპი ჭამეთო, ასე გავიგე მე პირადად. ასეთი საუბარი ტელევიზიით არ შეიძლება.

ვართუშა ვირაბიანი პენსიონერი

მუხლები მაწუხებს და ძლივს დავდივარ ქუჩაში. ამ კვირაში უკვე ორჯერ წავიქეცი და, მადლობა ღმერთს, ამჯერად გადავრჩი. მარილი, რომ დაყარონ და ხალხმა ნორმალურად გაიაროს, განა ეს მაინც არ შეუძლია ჩვენს მთავრობას?

ეთერ მაისაია გარე მოვაჭრე

სახლი არა მაქვს და კარი, ვიყინები ქუჩაში. ამ კვირაში იგივე პრობლემები მაწუხებდა, რაც გასულს. უბრალოდ ამ კვირაში მოსულმა თოვლმა და უამინდობამ ჩემი პრობლემები უფრო მეტად დაამძიმა.

ლელა ბერძენიშვილი - პედაგოგი

გუშინ ნარჩემაშვილისგან გავიგე, რომ ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელ კახა უგულავას 3000 ლარი ჰქონია ხელფასი, რამაც სერიოზულად გამაცოფა. განა ეს სამართალია, რომ დამსახურებულ პროფესორ კაცს 14 ლარი ჰქონდეს პენსია და გუშინდელ მოსულ კაცს 3000 ? ვინც ამ ხელფასებს ადგენს, იმას თავში ტვინი თუ აქვს. მე მთელი თვე უნდა ვიმუშაო და თვის ბოლოს ასი ლარი უნდა ავიღო და იმან კიდევ ერთ დღეში - 115. ერთი ეს მითხარით, რისი გამკეთებელია ეს კაცი? ჩვენგან განსხვავებით, ის არანაირ პროდუქციას არ ქმნის.

მარიამ პაპიაშვილი - პენსიონერი

ჭიანჭველას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ადამიანს. რომ გამოდიან და ამბობენ: ამან ამდენი შეჭამაო, სად იყავი, შე მამაცხონებულო, როცა ჭამდა? მაშინ რა გეძინა? ისე ლაპარაკობენ - 2 მილიონის გრანტი შეჭამაო, თითქოს ორ თეთრზე იყოს ლაპარაკი. რჩეულიშვილმა მაცივარი, რომ გააღო და ამ გაღარიბებულ, დამშეულ ხალხს აჩვენა, აქ დიეტური დევს, აქ ისე... განა ეს ნორმალურია? რატომ აჩვენებენ ამ ყველაფერს ტელევიზორით?

ლამარა - ყვავილების გამყიდველი

ამ კვირაში მოსულმა თოვლმა ძალიან ბევრი პრობლემები შემიქმნა. სოფლიდან ძლივს ჩამოვდივარ იმისთვის, რომ სამი თაიგული მაინც გავყიდო, მშიერი რომ არ დარჩნენ ჩემი შვილები. ცივა, თოვს და სახლიდან გამოსვლა არავის არ უნდა, ამიტომაც ერთ თაიგულსაც ვერ ვყიდი, ამ სიცივეში ჩემი ყვავილები არ უნდა არავის.

თაზო ხაჭაპურის გამყიდველი

თოვლის მოსვლა ძალიან გამიხარდა, მაგრამ პრობლემაც შემექმნა. ორი დღე სახლში ვერ მივდივარ. გზები მოყინულია, ამიტომაც ჩემს სახლამდე მისასვლელი ავტობუსი არ დადის, ორი დღეა, სამსახურში მძინავს. ნორმალურ ქვეყანაში მუნიციპალური სამსახურები ზრუნავენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ჩვენს ქვეყანაში კი პირიქით ხდება. თუ ჩვენ თავსა და ერთმანეთზე ჩვენ თვითონ არ ვიზრუნეთ, ხელისუფლების დახმარების მოლოდინში, შეიძლება, სული ამოგვხდეს.

ედუარდ სინაპიანი შემდუღებელი

ეს კვირა დასამახსოვრებელი ნამდვილად იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგი არაფრით. ჩემთვის პირადად ძალიან მტკივნეული იყო კოტე მახარაძის გარდაცვალება.

მამია გელაშვილი ინჟინერ-გეოლოგი

ყველაზე მეტად ამ კვირაში მოქალაქეთა კავშირის პარლამენტიდან გამოქცევა დამამახსოვრდა. ამით მათ თავიანთი ნამდვილი სახე აჩვენეს. საკითხები, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არის, მის გადაწყვეტას მოქალაქეთა კავშირი ყოველთვის თავს არიდებს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

რამდენ ხანს ეყოფა სახელმწიფო მინისტრს რეფორმატორული შემართება

ჰირველი გვერდიდან

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის ოპოზიციაში გადასვლამ ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით სრულ ვაკუუმში დატოვა.

მართალია, ამ ვაკუუმის შევსებას აქტიურად შეეცადა შიდა ქართლის გუბერნატორი, მაგრამ ლევან მამალაძეს, როგორც ჩანს, გაუჭირდა, კარგად გაეგო, თუ რას ნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაცია, ამიტომ საკითხს მარტივად მიუდგა - შეკრიბა თავისი მეგობრები და მათი მეგობრები, დაუქირავა ოფისი, დაუნიშნა ხელფასი და არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნილად გამოაცხადა.

მამალაძის ამ მცდელობების პარალელურად ხელისუფლებამ სამოქალაქო სექტორზე იერიშის მიტანა დაიწყო. პრეზიდენტის კურთხევით მაღალჩინოსნებმა ერთსულოვნად მონათლეს არასამთავრობოები სამშობლოს მოღალატეებად, რადგან მათ უცხოეთში ქვეყნის "შიდა სამზარეულო და ბინძური ამბები გაჰქონდათ". შემდეგ "მამალაძის ენჯეოებს" არასამთავრობოებისთვის "გრანტიჭამიები" აძახებინეს და სულ მალე გრანტების გაკონტროლების სურვილიც გამოთქვეს.

მაგრამ, ხელისუფლების გეგმამ მაინც ვერ იმუშავა, "გრანტიჭამია" არასამთავრობოების "მამალაძის ენჯეოებით" ჩანაცვლება ვერ მოხერხდა რამდენიმე მიზეზის გამო.

არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო კავშირებმა გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ბევრი პრობლემა შეუქმნა ამ ხელისუფლებას.

გარდა ამისა, ზაფხულში გაერთიანებული ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის შეხვედრამ, როგორც ჩანს, კანცელარია ცოტათი შეაშფოთა.

არასამთავრობოებთან ურთიერთობა ავთანდილ ჯორბენაძემ იტვირთა და თავისი პირველი ვიზიტი "თავისუფლების ინსტიტუტში" დაგეგმა.

მალე ამ შეხვედრებმა "თავისუფლების ინსტიტუტიდან" კანცელარიაში გადაინაცვლა და მას საკმაოდ ინტენსიური სახე მიეცა.

სახელმწიფო მინისტრმა თავიდანვე დიდი ენთუზიაზმი გამოავლინა და არასამთავრობოების ყველა წინადადება დიდი მონდომებით აიტაცა.

სახელმწიფო მინისტრი "არასამთავრობოების" მოთხოვნებს დაეთანხმა.

ფოტო გალერეის ფოტო

თუმცა, წინადადებებით და ინიციატივებით დახუნძლული შეხვედრები უფრო ფორმალურ და სავალდებულო ხასიათს ატარებდა და მათ რაიმე ხელშესახები შედეგები, რა თქმა უნდა, არ მოჰყოლია.

გუშინდელი შეხვედრის თემა აღარ ყოფილა სამართალდამცავებისა და განათლების რეფორმა. არასამთავრობო სექტორმა გუშინ მხოლოდ არჩევნებზე გააკეთა აქცენტი და ხელისუფლებას რამდენიმე კონკრეტული მოთხოვნის შესრულება მოსთხოვა: ზუსტი საარჩევნო სიების შედგენა, ახლანდელი საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლა და ხელისუფლების პოზიციის დაფიქსირება რუსთავის არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ამომრჩეველთა ძალინ დაბალი აქტივობის მიუხედავად, ცსკო-მ მაინც ჩატარებულად გამოაცხადა.

სახელმწიფო მინისტრი ყველა ამ მოთხოვნას დაეთანხმა და განაცხადა, რომ ზუსტი სიები უნდა შედგეს, რომ იგი ეწინააღმდეგება საარჩევნო ადმინისტრაციების პარტიული ნიშნით დაკომპლექტებას, რომ მას აზრად არ მოსვლია, საარჩევნო კოდექსში დრაკონული ცვლილებების შეტანა, რომელსაც მას ოპონენტები აბრალებენ და რომ ამ თემებზე მუშაობა სამუშაო ჯგუფმა უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს.

რომ არა გამოცდილება, სახელმწიფო მინისტრის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვეპარებოდა.

თუმცა, ჯორბენაძეს პესიმისტების დასარწმუნებლად და თავისი პოლიტიკური ნების დემონსტრირებისთვის ნამდვილად დიდი შესაძლებლობები აქვს.

თუ სახელმწიფო მინისტრი კატეგორიულად არ ეთანხმება საარჩევნო ადმინისტრაციების პარტიული ნიშნით დაკომპლექტებას, როგორც ეს მან გუშინ რამდენჯერმე განაცხადა, მაშინ შეუძლია, ამ მიმართულებით ნაყოფიერად იმოქმედოს.

რამდენიმე ხნის წინ, საარჩევნო კოდექსის განხილვისას, დღის წესრიგში იდგა საკითხი, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები არასამთავრობო ორგანიზაციებს დაეკომპლექტებინათ. მაშინ ამ იდეას ბევრი მხარდამჭერი არ გამოუჩნდა გასაგები მიზეზების გამო.

დღეს სახელმწიფო მინისტრს შეუძლია, რომ ეს საკითხი ისევ აქტუალური გახადოს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ფრაქციებს ამ იდეის მხარდაჭერა მოსთხოვოს. საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით თავის დროზე მხარს უჭერდნენ ჟვანია და სააკაშვილი, ამიტომ სავარაუდოა, რომ "გაერთიანებული დემოკრატები" და "ნაციონალები" ამ ცვლილებებს ხმას მისცემენ. არ არის გამორიცხული "ახლების" მხარდაჭერაც. ასე რომ, სახმინისტრის აქტიურობის შემთხვევაში უმრავლესობის შეგროვება და პროგრესული ცვლილების მიღება სავსებით შესაძლებელი იქნება.

რაც შეეხება ზუსტი საარჩევნო სიების შედგენას, პოლიტიკური ნების შემთხვევაში ესეც არ არის ძნელი განსახორციელებელი.

ასე რომ, ავთანდილ ჯორბენაძეს ადვილად შეუძლია იმის დემონსტრირება, სურს თუ არა ხელისუფლებას, ამ არჩევნებისათვის კარგად მოემზადოს.

თუმცა, ცოტა ძნელია გარკვევა, რას ნიშნავს არჩევნებისათვის კარგად მომზადება იმ პარტიის ლიდერისათვის, რომლის რეიტინგიც ორ პროცენტს არ ცდება და რომელიც აცხადებს, რომ ხელისუფლებაში დასარჩენად ყველაფერს გააკეთებს.

ეს ქვეყანა შევარდნაძით არ დაწყებულა და არც დამთავრდება

ჰირველი გვერდიდან

წიფო მინისტრთან ერთად განეხილათ ხელფასების გაზრდის საკითხი, სახელისუფლო ლიდერები არამომგებიან სიტუაციაში ჩააყენა. ზურაბ ჟვანიას ინიცირებულ პროცესებში ჩართვა მათ პოზიციებს, თუნდაც იგივე პარლამენტში, ვერანაირად ვერ გააძლიერებს. ამიტომაც კანცელარიის დღევანდელი მდგომარეობა გარკვეულწილად პოლიტიკურ ხაფანგს შეიძლება შევადაროთ - შექმნილი მდგომარეობიდან უდანაკარგოდ გამოსვლა თითქმის შეუძლებელია.

გამოსავლის ძიებაში მთავრობა, როგორც ჩანს, საპარლამენტო კრიზისის გახანგრძლივებას შეეცდება, თუმცა არა ისეთი ფორმით, როგორიც გასულ კვირას ვიხილეთ. საგანგებო სესიის დანიშვნის შემთხვევაში სახელისუფლო ფრაქციები აუცილებლად დაბრუნდებიან სხდომათა დარბაზში, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტი გამოვა კრიტიკული მდგომარეობიდან. საკანონმდებლო ორგანოში კარგად არის აპრობირებული სხდომების ფარულად ჩაშლის მექანიზმებიც. ამას დაემატება დებატები სპიკერატის სუსტ მუშაობაზე და კანონშემოქმედებითი პროცესის ჩავარდნაზე. ამასთანავე, სახელისუფლო ფრაქციები ყველანაირად შეეწინააღმდეგებიან ხელფასების გაზრდის შესახებ დისკუსიის განახლებას. დღევანდელი კანონმდებლობით საგანგებო სხდომა მხოლოდ კონკრეტული საკითხების განხილვისათვის მოიწვევა. ბუნებრივია, ამ საკითხთა ნუსხაში ოპოზიციის ინიციატივა წარდგენილი არ იქნება. ამის პარალელურად კანცელარია შეეცდება, ფორსირებული ტემპებით აწარმოოს მოლაპარაკებები საპარლამენტო ფრაქციებთან, განსაკუთრებით, "მრეწველებთან" და მაჟორიტარებთან. გარდა ამისა, კანცელარიის მხრიდან სოციალურ სფეროში შემხვედრ ინიციატივებსაც უნდა ველოდოთ, რათა ეს ძლიერი ბერკეტი ოპოზიციას ხელიდან გამოეცალოს. მთავრობისათვის საუკეთესო შედეგი იქნება, თუ წლის ბოლომდე ბიუჯეტის პირველი მოსმენით მიღება მაინც მოხერხდა.

არსებობს მეორე ვარიანტიც, რომ პრეზიდენტმა საგანგებო სესია საერთოდ არ დანიშნოს და დროის განვლით შეეცადოს მდგომარეობის შემსუბუქებას. ასეთი მიდგომა კანცელარიის უპირობო მარცხის მანიშნებელი იქნება. ამ შემთხვევაში, ალბათ, უკვე საპარლამენტო ფრაქციები დაიწყებენ სხდომის მოწვევისათვის აუცილებელ პროცედურებს და მთავრობაზე ზეწოლას გააძლიერებენ.

თუმცა, როდესაც ამ პროცესებზე ვსაუბრობთ, არც თვითონ მთავრობის შიგნით შექმნილი სიტუაცია უნდა დაგვავიწყდეს. საჯარო გარჩევები, ვის რამდენი აქვს ხელფასი და ვინ როგორ ახერხებს ამ ფულით ცხოვრებას, იმის მაჩვენებელია, რომ ის ორგანიზმი, რომელსაც მთავრობა ჰქვია და რომელსაც, პარლამენტისგან განსხვავებით, სრული ერთიანობა უნდა ახასიათებდეს, ნელ-ნელა რღვევას იწყებს. ამასვე ადასტურებს უწყებრივი დაპირისპირებისთვის უკვე საჯარო სახის მიცემაც. როდესაც ორი მინისტრი იმაზე დავობს, ვინ უფრო კარგად შეამოწმებს რომელიმე ფირმას თუ მაღაზიას და ამას პრეზიდენტი უდრტვინველი სახით უსმენს, ეს ქვეყნისათვის არაფერ კარგს არ მოასწავებს, მით უფრო იმ ფონზე, რაც დღეს საქართველოშია შექმნილი

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები პარლამენტში და მთავრობაში, ერთი რამ ცხადია - შექმნილი სიტუაცია იმ საერთო მდგომარეობის ანარეკლია, რაც ქვეყანაში სუფევს. ტაქტიკური სვლები და გადაადგილებები პრინციპულად ვერაფერს შეცვლის. სიღრმისეულ მიზეზებზე აქამდეც ბევრჯერ ითქვა და მომავალშიც ითქმება - დღევანდელი მმართველობითი სისტემა ქვეყნის ნორმალურად განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. სიტუაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიცვალოს, როდესაც მთავრობას არჩევნებში გამარჯვებული ძალები დააკომპლექტებენ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აიღებენ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მთავრობა ერთიანი, მიზანსწრაფული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ავიცილებთ თავიდან ისეთ პოლიტიკურ ანომალიას, როგორიც არის სამთავრობო ფრაქციების მიერ საპარლამენტო სხდომების დატოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა აუცილებლად წავა თურქმენიზაციისკენ.

მმართველობის ფორმის სისტემური რეფორმის განხორციელება დღეს ძნელი არ არის - უცხოური გამოცდილებაც არსებობს და საქართველოში დამუშავებული სქემებიც. ამ მიმართულებით არც პოლიტიკურ ძალებში შეინიშნება პრინციპული დაპირისპირება, საზოგადოებრივი აზრიც თითქოს შექმნილია. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ - პოსტიდან წასვლამდე სულ რაღაც ორი წლით ადრე პრეზიდენტმა გაიცნობიეროს, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ მისით არ დაწყებულა და არც დამთავრდება.

საქართველო აიმან ალ-ზავაჰირის სამიზნე გახდა

ჰირველი გვერდიდან

"ეგვიპტის ისლამური ჯიჰადი". ამ ორგანიზაციის ლიდერმა, უსამა ბენ ლადენის პირადმა ექიმმა, აიმან ალ-ზავაჰირიმ პირდაპირ დაიმუქრა, რომ 11 სექტემბრის შემდეგ, "ალ ქაედას" სამიზნე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ეკონომიკური ინტერესები იქნება," – განაცხადა გუშინ ვაშინგტონის გავლენიანი ფონდის **Heritage Foundation** ექსპერტმა არიელ კოენმა.

"ალ-ზავაჰირის მუქარის, რომ იგი მოაწყობს ტერორისტულ აქტებს ამერიკის ინტერესის ობიექტებზე, საქართველოში, აზერბაიჯანში, რუსეთსა და ყაზახეთში, შეუფასებლობა არ შეიძლება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ალ-ზავაჰირის ორგანიზაცია "ეგვიპტის ისლამური ჯიჰადი" კარგად იცნობს, როგორც კასპიისპირეთის, ისე კავკასიის რეგიონს," – ამბობს აშშ-ს სამხედრო აკადემიის პროფესორი სტივენ ბლანკი.

ფუს-ის ცნობით, ალ-ზავაჰირის ინიციატივით, "ეგვიპტის ისლამურმა ჯიჰადმა" საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შექმნა საკუთარი ფილიალი ბაქოში, რომელსაც იბრაჰიმ ეიდარუზი და ახმად სალამა მაბრუქი ხელმძღვანელობდნენ, პირველი ახლა აშშ-ში ტერაქტებში მონაწილეობისთვის ზის ციხეში, მეორეს კი ეგვიპტეში სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ალ-ზავაჰირი თავადაც არის ნამყოფი აზერბაიჯანსა და დაღესტანში (არ არის გამორიცხული, რომ მას საქართველოს ტერიტორია გაევლო), მას ჩეჩნეთში გადასვლა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა 1996 წლის დეკემბერში იგი და კიდევ ორი არაბი ყალბი პასპორტებით მოგზაურობის გამო რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა(ფუს) მახაჩკალაში დააპატიმრა. ალ-ზავაჰირიმ მხოლოდ ექვსი თვე გაატარა მახაჩკალის ციხეში და შემდეგ გაათავისუფლეს. დღეს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური ალ-ზავაჰირის საქმეს ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე წარუმატებელს უწოდებს.

აიმან ალ-ზავაჰირი, რომელიც მსოფლიოში ნომერ-2 ტერორისტის სახელით არის ცნობილი, 1951 წელს კაიროსთან ახლოს დაიბადა. იგი 16 წლის ასაკში გაერთიანდა ეგვიპტეში აკრძალულ ტერორისტული ჯგუფ "მუსულმან ძმებში", პარალელურად კი დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტი და ექიმის დიპლომი მიიღო. მოგვიანებით, აიმანი უფრო დიდი ტერორისტული ორგანიზაციის "ალ ჯიჰადის" წევრი ხდება. 1981 წლის 6 ოქტომბერს, "ალ ჯიჰადის" წევრებმა, ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი, სამხედრო აღლუმის დროს, პირდაპირ სამთავრობო ტრიბუნაზე მოკლეს. ალ-ზავაჰირის მკვლელობასთან პირდაპირი კავშირი არ დაუმტკიცდა, ამიტომ მან ციხეში მხოლოდ სამი წელი გაატარა. "ეგვიპტის ისლამური ჯიჰადი" ალ-ზავაჰირიმ 1993 წელს შექმნა, იმავე წელს ამ ორგანიზაციამ საკუთარ თავზე აიღო ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრის ჰასან ალ-ალფის მკვლელობა. 1998 წელს ალ-ზავაჰირიმ საკუთარი ორგანიზაცია უსამა ბენ ლადენის მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობ ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ ქაედასთან" გააერთიანა. ამერიკის ფედერალური უშიშროების სამსახურის (აფუს) მონაცემებით, აიმანი და უსამა ერთმანეთს 90-იანი წლების დასაწყისში ჯერ ავღანეთში, შემდეგ კი სუდანში ყოფნისას დაუახლოვდნენ. 1998 წელს, გაძლიერებულმა "ალ ქაედამ" გამოსცა ფატვა, სახელმწოდებით – "საერთაშორისო ისლამური ფრონტი-ჯიჰადი, იუდეველებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ", რასაც იმავე წლის აგვისტოში კენიაში, ლიბიასა და ტანზანიაში აშშ-ს საელჩოების, ხოლო ბეირუთში – აშშ-ს საზღვაო ფეხოსნების ყაზარმის აფეთქება მოჰყვა. აფუს-ის ცნობით, ამ ტერაქტების უკან სწორედ ალ-ზავაჰირი იდგა. 2000 წლის ოქტომბერში კი, ისევ ალ-ზავაჰირის ინიციატივით, იემენის ნავსადგურ ადენში, ტერორისტებმა აშშ-ს სამხედრო გემი "კოული" ააფეთქეს, შემდეგი დიდი სამიზნე კი უკვე ნიუ-იორკის ცათამბჯენები და პენტაგონის შენობა იყო... ინფორმაციისთვის: ამერიკის შეერთებული შტატები ინფორმაციისთვის, რომელიც ალ-ზავაჰირის დაკავებაში დაეხმარებათ, 25 მილიონ დოლარს იხდის.

9 ოქტომბრამდე ითვლებოდა, რომ ალ-ზავაჰირი ავღანეთში, იანვარში, ამერიკელი კომანდოსების მიერ ჩატარებული სპეციპერაციის დროს მოკლეს, თუმცა 9 ოქტომბერს "ასოშეითედ პრესმა" ისლამური სააგენტო **As Sahaab Foundation** – სგან მიიღო ვიდეოკასეტა, სადაც ალ-ზავაჰირი მსოფლიოს, პირველ რიგში კი აშშ-ს, ახალი ტერაქტებით ემუქრება.

"ამ ვიდეოკასეტისა და სხვა ინფორმაციის ანალიზით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ს ინტერესის ქვეშ მყოფ ობიექტებზე მთელ მსოფლიოში, ახალი მეგა-ტერორისტული აქტების განხორციელების თითქმის 100-პროცენტიანი ალბათობა არსებობს," – აცხადებენ აფუს-ის ექსპერტები.

ვაშინგტონში შიშობენ, რომ "ალ ქაედა" საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩენ ტერორისტებს გამოიყენებს. **"ალ-ქაედასა და ჩეჩენი ამბოხებულების გარკვეულ ჯგუფებს შორის კავშირი მრავალი ფაქტით დასტურდება. ჩეჩნები ფლობენ "სტრელას" ტიპის რაკეტებს, რომლითაც მრავალჯერ ჩამოუგდიათ რუსეთის ვერტმფრენები. მათ ვერავინ შეაჩერებს, თუ ისინი რუსეთის ან დასავლეთის სამოქალაქო თვითმფრინავებზე თავდასხმას შეეცდებიან. "ალ ქაედა" სულ ახლახან შეეცადა, კენიის ქალაქ მომბასეში ისრაელის ავიალაინერის ჩამოგდებას. ჩეჩნები ასევე, შესაძლებელია, გამოყენებულნი იქნან კასპიისპირეთში ამერიკული ინვესტიციებით მშენებარე ენერგეტიკული პროექტების ჩაშლისათვის. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები ძალიან უარყოფითად არიან განწყობილნი რუსეთიდან, ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან ნავთობის ექსპორტის ზრდისადმი. ისინი, ჩამოთვლილი ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს დესტაბილიზაციით ბედნიერები იქნებიან,"** – ამბობს არიელ კოენი.

კრონგის ფონდის ექსპერტის როზა გოტმიულერის აზრით, ენერგოპროექტების ჩაშლის საუკეთესო საშუალება - ჩეჩნების მიერ ბინძური ბომბის გამოყენება იქნება. **"თუ ასეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ნავთობსადენის სიახლოვეს აფეთქდება, ეს იმ ტერიტორიას, სადაც აფეთქება მოხდება, ათასწლეულების მანძილზე დააბინძურებს. ჩეჩნებმა შეიძლება მიიღონ ასეთი ბომბი, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ატომური ზედამხედველობის ხელმძღვანელის იური ვიშნევსკის განცხადებას, რომ რუსეთის ბირთვული ობიექტებიდან დაუდგენელი რაოდენობის რადიოაქტიური მასალები დაიკარგა,"** – ამბობს გოტმიულერი.

ექსპერტთა აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ნავთობსადენ ბაქო-სუფსასა და მშენებარე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანზე ტერორისტების თავდასხმის ალბათობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ, ჯერ პანკისში დაკავებული "ალ ქაედას" 15 ბოევიკი კუბაში, გუანტანამოს ბაზაზე, ამერიკელებს გადასცა, (ვიდეოკასეტაზე აიმან ალ-ზავაჰირი გუანტანამოზე მყოფ ტყვეებზეც საუბრობს), შემდეგ კი თბილისში, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით, ჩეჩენი ეროვნების პირების მასობრივი დაკითხვა მოაწყო.

"შეუძლიათ თუ არა ამ რეგიონულ სახელმწიფოებს, თავად უზრუნველყონ რეგიონის უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება?" – რიტორიკულად კითხულობს არიელ კოენი. 1998 წლის იანვარ-თებერვლის გახსენებაც საკმარისია, რომ ამ კითხვაზე პასუხი ნათელი იყოს. მაშინ, ზვიად გამსახურდიას გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკ გოჩა ესებუას "ზვიადისტებისა" და ჩეჩნების თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა, რომელიც 1993 წლის ბოლოდან, ჩეჩნეთში, ცნობილი იორდანელი საველე მეთაურის ხატაბის ბანაკში გადიოდა წვრთნას, იანვარში საქართველოს ტერიტორია უპრობლემოდ გადმოლახა და 9 თებერვალს, საღამოს 11 საათზე, ლამის თბილისის ცენტრში, პრეზიდენტ შევარდნაძის კოლონას ხელის ყუმბარმტყორცნებიდან გაუხსნა ცეცხლი. ამ თავდასხმისას, პრეზიდენტის დაცვის ორ წევრთან ერთად, ჩეჩენი ტერორისტი მალსაგოვიც დაიღუპა. ნიშანდობლივია, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში ჩეჩენი ეროვნების პირის მონაწილეობის პირველი, და ჯერჯერობით, ერთადერთი გახმაურებული ფაქტი.



თეთრმა სახლმა საკუთარი გავლენა კონგრესზეც გაავრცელა

ჯორჯ ბუში ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი გახდა. დემოკრატების თქმით, კონგრესში რესპუბლიკელთა ლიდერად ბუშის ახლო მეგობრის სენატორ ბილ ფრისტის დანიშვნამ თეთრ სახლს განუზომელი ძალაუფლება მიანიჭა.

იმის მიუხედავად, რომ თეთრი სახლი ყველაფერს უარყოფს, საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია მოსაზრება, რომ კაპიტოლიუმზე მომხდარი ცვლილებები პრეზიდენტ ბუშისა და მისი მთავარი პოლიტიკური მრჩევლის კარლ როუვის მეცადინეობით განხორციელდა.

რესპუბლიკელთა ყოფილი ლიდერი ტრენტ ლოტი დიდ სკანდალში გაეხვია და იძულებული გახდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო. სკანდალი გადამდგარი სენატორის სტრომ სარმონდის ასი წლის იუბილეზე დაიწყო. "მე მინდა ჩემი შტატის (სამხრეთ კაროლინა) შესახებ ვთქვა: როდესაც სტრომ სარმონდი საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, ჩვენ მას დავუჭირეთ მხარი. ჩვენ ვამაყობთ ამით. მთელ ქვეყანას რომ ჩვენი მაგალითისათვის მიებაძა, წლების განმავლობაში ამდენი პრობლემის წინაშე არ აღმოვჩნდებოდით", - განაცხადა სენატორმა ლოტმა სადღეგრძელოს წარმოთქმისას.

სენატორი სარმონდი თავისი სეგრეგაციონისტული გამოსვლებით იყო ცნობილი. ტრენტ ლოტის მიერ სარმონდის საპრეზიდენტო არჩევნების გახსენებამ და მისი პოლიტიკის შექებამ ამერიკაში უზარმაზარი სკანდალი გამოიწვია. ლოტი გონებაშეზღუდულობასა და რასისტობაში დაადანაშაულეს. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ყველა გაზეთი და პოლიტიკოსი თავის მოვალეობად მიიჩნევდა, რომ სენატორის სიტყვები საჯაროდ გაეკიცხა და მისი თანამდებობიდან გადადგომა მოეთხოვა.

ლოტის რესპუბლიკელთა ლიდერობიდან გადადგომის შემდეგ, თანამდებობაზე ტენესის შტატის სენატორი ბილ ფრისტი დაინიშნა, რაც მიმომხილველთა უმრავლესობამ სენატზე პრეზიდენტ ბუშის გავლენის გავრცელებად აღიქვა.

"დღევანდელი თეთრი სახლი ძალიან, ძალიან ძლიერია", - აღნიშნა ცნობილმა კონსერვატორმა უილიამ ბენტმა, რომელიც ლოტის გადადგომას მოითხოვდა.

"ჯორჯ ბუშმა და მის გარშემო რამდენიმე ნიჭიერმა ადამიანმა თეთრი სახლი ძალაუფლების ძირითად ცენტრად გადააქციეს ვაშინგტონში. მსგავსი რამ ლინდონ ჯონსონის შემდეგ აღარ მახსოვს", - განაცხადა რობერტ სტრაუსმა, დემოკრატების ყოფილმა თავმჯდომარემ და რამდენიმე პრეზიდენტის პირადმა მრჩეველმა.

დემოკრატ პოლიტიკოსებში პოპულარულია მოსაზრება, რომ არსებული ცვლილებების უკან ბუშის მრჩეველი კარლ როუვი დგას. მათი თქმით, როუვის უხილავი ხელი ყველაფერს წვდება. სწორედ მისი იდეა იყო ერაყის წინააღმდეგ საომარი რიტორიკის შიდაპოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენება. ვაშინგტონელი მიმომხილველებიც იზიარებენ დემოკრატი პოლიტიკოსების აზრს და აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტის მრჩევლებს შორის ყველაზე გავლენიანი და პოლიტიკურ ინტრიგებში გაწაფული სწორედ კარლ როუვია.

რესპუბლიკელთა და დემოკრატთა თქმით, ძალთა ბალანსის ამგვარი ცვლილება პრეზიდენტს ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს მომავალი წლისათვის, როდესაც ახალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება დაიწყება.

ექსპერტების აზრით, კონგრესზე პრეზიდენტ ბუშის მზარდი გავლენა არც არის გასაკვირი, რადგან გასულ თვეს კონგრესის არჩევნებში რესპუბლიკელთა გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სწორედ ბუშის პიროვნებამ შეასრულა. მიმომხილველები ბუშის პოლიტიკურ წონას ლინდონ ჯონსონისას ადარებენ, რომელიც კენედის პრეზიდენტობისას ვიცე-პრეზიდენტად გახდომამდე უმრავლესობის ლიდერი იყო, ხოლო შემდეგ პრეზიდენტიც გახდა.

თუმცა, რესპუბლიკელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პარტია ეიფორიამ არ უნდა მოიცვას. ლოტის სკანდალმა რესპუბლიკელთა იმიჯი

შერისხული სენატორი ტრენტ ლოტი

მნიშვნელოვნად დააზარალა. მათი თქმით, შემდეგ წელიწადს პარტიამ შიდაპოლიტიკური სიახლეები უნდა შესთავაზოს მოსახლეობას, რათა შავკანიან ამომრჩეველში საკუთარი რეპუტაცია გაიუმჯობესოს და, რაც მთავარია, ზომიერი პოლიტიკური შეხედულებების მქონე თეთრ ამომრჩეველში პოპულარობა დაიბრუნოს. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტ ბუშისათვის გადამწყვეტი, სწორედ, მათი მხარდაჭერა იქნება.

ჯორჯ ბუშის პოზიციების გამყარების პარალელურად, პოლიტიკოსებმა და ისტორიკოსებმა იმ შესაძლო რისკების შესახებ დაიწყეს საუბარი, რომელიც პრეზიდენტის გავლენის ზრდას შეიძლება მოჰყვეს. ისინი იხსენებენ ფრანკლინ დელანო რუზველტს, რომელმაც კონგრესზე გავლენის მოპოვების შემდეგ უზენაესი სასამართლოს "ხელში ჩაგდებაც" განიზრახა.

ამას გარდა, ის გარემოება, რომ პრეზიდენტის პირადი მეგობარი სენატის მაღალ თანამდებობაზე იმყოფება, სავარაუდოდ, გაართულებს პრეზიდენტის ურთიერთობებს კონგრესთან. კონგრესის წევრები შეეცდებიან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ისტორიულად ჩამოყალიბებული დისტანცია ამჯერადაც შეინარჩუნონ. დემოკრატების აზრით, არ არის გამორიცხული, რომ თეთრი სახლის მრავალ წინადადებას პრობლემები თავად ფრისტმა შეუქმნას, რათა ამომრჩევლები იმაში დაარწმუნოს, რომ იგი ბუშის მარიონეტი არაა.

საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთებამდე მისისიპელმა სენატორმა ტრენტ ლოტმა თავისი უკმაყოფილება არ დამალა და განაცხადა, რომ თეთრი სახლი საგანგებოდ ცდილობდა მის დისკრედიტირებას. როგორც ჩანს, ლოტი და მისი კონსერვატორი მეგობრები სენატში ბუშის ინიციატივებს წინააღმდეგობას გაუწევენ.

ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს, ბუში აკონტროლებს სენატს, დემოკრატებისათვის არცთუ ისე წამგებიანია. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მათ შესაძლებლობა მიეცემათ, ბუშს გადააბრალონ უმუშევრობის ზრდა, საფინანსო ბაზრებზე ვითარების გაუარესება, ან ერაყში ამერიკის პოლიტიკის ნაკლებეფექტურობა.

ვეტერანი დემოკრატის სტრაუსის თქმით, ბუში მალე მიხვდება, რომ ვაშინგტონში ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირებისათვის შესაბამისი საფასურის გადახდა მოუწევს. "ეს ვითარება მის მიმართ სიძულვილს გარდაუვლად წარმოშობს", - დარწმუნებულია სტრაუსი.

თურქმენეთმა უზბეკეთის ელჩი გააძევა

თურქმენეთის ხელისუფლებამ მეზობელი უზბეკეთის ელჩი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და ქვეყნიდან გააძევა.

პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ, თურქმენეთის გენერალურმა პროკურორმა უზბეკეთის ელჩს კადიროვს, ბრალი დასდო თურქმენბაშის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებასა და თურქმენეთის ოპოზიციის ლიდერის ბორის შიხმურადოვისთვის თავშესაფრის მიცემაში.

უზბეკეთის ხელისუფლებამ თურქმენეთის ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა.

პრეზიდენტ ნიაზოვის განცხადებით, დაპატიმრებულია 49 ადამიანი, მათ შორის, 17 უცხოელი, რომლებსაც 25 ნოემბრის თავდასხმასთან რაიმე კავშირი მაინც ჰქონდათ.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი შიხმურადოვი უკანასკნელი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა და ამჟამად დაკავებული არაა.

თურქმენეთის ხელისუფალთა მტკიცებით, თავდასხმამდე ერთი დღით ადრე უზბეკეთის ელჩმა შიხმურადოვის თურქმენეთში ჩასვლას გაუკეთა ორგანიზება.

თურქმენ ხელისუფალთა თქმით, უზბეკი დიპლომატის მანქანა ტერაქტში ეჭვმიტანილის უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის იქნა გამოყენებული.

"კადიროვმა შიხმურადოვს ყველანაირი მხარდაჭერა აღმოუჩინა, მისცა მას თავშესაფარი, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე მანქანა, საკვები", - ნათქვამია თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

გასული კვირის დასაწყისში თურქმენეთის უშიშროების სამსახურმა უზბეკეთის საელჩო გაჩხრიკა, რასაც უზბეკეთის ხელისუფლების პროტესტი მოჰყვა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, საელჩოს გაჩხრეკვა მისი თანხმობის გარეშე სასტიკად აკრძალულია.

აღსანიშნავია, რომ ამ თავდასხმისას ნიაზოვი არ დაშავებულა, დაიჭრა მხოლოდ ოთხი პოლიციელი. ამ ფაქტმა ბევრს აღუძრა ეჭვი, რომ ეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასასწორებლად დადგმული სპექტაკლი იყო. შიხმურადოვთან ერთად კიდევ სამი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი იქნა დაკავებული: ცენტრალური ბანკის ყოფილი თავმჯდომარე ხუდაიბერდი ორაზოვი, ყოფილი ელჩი ნურმუხამეტ ხამანოვი და ერთ-ერთი მინისტრი იმამდურდი იკიმოვი.

ფხენიანმა ბირთვული რეაქტორებიდან მონიტორინგის სისტემების მოხსნა დაიწყო

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებით, მათ გაერო-ს სათვალთვალო მოწყობილობების მოხსნა დაიწყეს იმ ბირთვულ რეაქტორზე, რომელიც გაერო-ს ექსპერტების აზრით, ადრე პლუტონიუმის საწარმოებლად იქნა აშენებული.

იონპიონის რეაქტორი 1994 წელს დახურეს. მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად, ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული პროგრამების განხორციელებაზე ხელი აიღო.

ამ თვის დასაწყისში ფხენიანმა განაცხადა, რომ იგი რეაქტორის გამოყენებას ისევ დაიწყებს და საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტოს სათვალთვალო სისტემების მოხსნა მოსთხოვა.

შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ კორეა და იაპონია შეშფოთებულები არიან. მათი აზრით, რეაქტორი, შესაძლოა, უფრო შორსმიმავალი ბირთვული შეიარაღების გეგმებისათვის იქნეს გამოყენებული. სეული და ტოკიო შიშობენ, რომ ფხენიანის ბირთვული იარაღი სწორედ მათ წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ბირთვული რეაქტორის მშენებლობა ჩრდილოეთ კორეაში

ექსპერტების თქმით, იონპიონის რეაქტორს ბირთვული იარაღისათვის აუცილებელი პლუტონიუმის წარმოება თავისუფლად შეუძლია.

იანვარში საჯარო გამოსვლისას პრეზიდენტმა ბუშმა ჩრდილოეთ კორეა ირანთან და ერაყთან ერთად "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის მოიხსენია, რომლებიც საერთაშორისო მშვიდობას მასობრივი განადგურების იარაღით ემუქრებიან.

აფხაზეთი და რუსეთი: დაძაბული მეგობრობა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაგრამ, თუ მთელ დანარჩენ მსოფლიოს სჯერა, რომ აფხაზები რუსების ბრმად მორჩილი ხალხია და საერთოდაც, რუსეთთან შეერთება სურთ, თვითონ აფხაზეთში ამ საკითხს უფრო რთულად უყურებენ.

თუ აკოპში შეკრებილებს დავუჯერებთ, აფხაზთა უმეტესობა "სიცოცხლის გზისათვის" რუსეთის მადლიერია. მაგრამ, ამავე დროს, დიდი მეზობელი მათ აშინებს კიდეც. ბევრს ესმის, რომ მოსკოვი აფხაზეთს საქართველოსთან ურთიერთობაში საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.

ამ ზაფხულს აფხაზურ-რუსული კავშირები კიდევ უფრო მჭიდრო გახდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ათეულობით ათას აფხაზს საბჭოთა პასპორტებში რუსული ბეჭდები ჩაურტყა, რამაც მათ საზღვარგარეთ წასვლის საშუალება მისცათ, პირველად დიდი ხნის განმავლობაში.

"ჩვენ ყველგან მივდივართ, სადაც გვიღებენ", - ამბობს რაულ ჯოფუა, რომელიც თავის თავზე ამბობს, რომ იგი მსახიობი და რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეა. "მეც მაქვს რუსული ბეჭედი პასპორტში. მეც მინდა საზღვარგარეთ წავიდე, თურქეთში ან ინგლისში".

1999 წელს, მას შემდეგ, რაც 1992-93 წლებში ომში გაიმარჯვა, აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თუმცა, მას არავინ აღიარებს. ქვეყანაში რუსული რუბლი ტრიალებს და შემოსავლის ძირითადი წყაროც ჩრდილოეთში მანდარინის გაყიდვაა.

ამიტომაც, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა ბუნებრივია, მაგრამ არავინ იცის, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ის.

როცა ჯერგენია პრემიერ-მინისტრი და ფაქტობრივად, ქვეყნის პირველი პირი იყო, ხშირად საუბრობდა რუსეთთან ასოცირებულ სტატუსზე. მაგრამ იგი თანამდებობიდან მოულოდნელად დაითხოვეს. ჯერგენია ამჟამად მოსკოვშია. მისი გათავისუფლების ერთ-ერთ მიზეზად რუს ჩინოვნიკებთან მეტისმეტად მჭიდრო კავშირს ასახელებენ.

საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რუსეთთან ურთიერთობას უფრო გულგრილად უყურებს და სოხუმის მოსკოვთან დაახლოებას ქართველებს აბრალებს.

"1994 წელს, სანამ ქართველები ჩვენს წინააღმდეგ სანქციებს შემოიღებდნენ, აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის 80 პროცენტი თურქეთზე მოდიოდა. ახლა კი იძულებული ვართ, რუსეთთან ვივაჭროთ", – განუცხადა მან IWPR-ის კორესპონდენტს.

"რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას, მე რამდენადაც ვიცი, ხალხის უმეტესობა ამის წინააღმედგია", – დასძინა მან.

სტანისლავ ლაკობა, ყველაზე ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი ამბობს, რომ რუსეთის ურთიერთობები კავკასიასთან და, კერძოდ, აფხაზეთთან, ხშირი ცვალებადობით გამოირჩეოდა. რუსების შემოსვლას კავკასიაში, აფხაზების მხრიდან ყველაზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს აფხაზები აჯანყდნენ და თურქების მხარე დაიკავეს.

"1877 წლიდან 30 წლის მანძილზე, აფხაზები რეპრესიების მსხვერპლნი იყვნენ, მათ ქალაქებში დასახლების უფლება არ ჰქონდათ", – ამბობს ლაკობა, 1905 წლიდან აკრძალვა მოიხსნა და მას შემდეგ, აფხაზები კავკასიის ხალხებს შორის რუსეთის მხრიდან ყველაზე დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდნენ, რაც დღესაც გრძელდება.

კავკასიელებს უყვართ ისტორიაზე ლაპარაკი. აკოპში შეკრებილ საზოგადოებაშიც ახალ ამბებს ბევრი XIX საუკუნის კავკასიურ ომების გახსენებას ამჯობინებს. უფრო მეტიც, ისინი არ მალავენ თავიანთ სიმპათიას მოსკოვისათვის ყველაზე საძულველი ხალხის – ჩეჩნების მიმართ.

"კავკასიის ნებისმიერი რესპუბლიკა ნებისმიერ დროს შეიძლება ჩეჩნების მდგომარეობაში აღმოჩნდეს, - ამბობს ვალერი, - აფხაზეთში ვიცით, რას ნიშნავს, როდესაც ძალა შენს წინააღმდეგაა მომართული".

ოფიციალურად, აფხაზეთის მთავრობა გულგრილია ჩეჩნების მიმართ. მაგრამ საზოგადოების განწყობა სულ სხვაა. შამილ ბასაევს, რუსეთის ნომერ პირველ მტერს, აქ სიყვარულით იხსენებენ, რადგან იგი ქართველების წინააღმდეგ მათ გვერდით იბრძოდა.

"ისინი ჩემთვის XXI საუკუნის როინ ჰუდები არიან, – მეუბნება როინ აგრბა, მაღალი გაუპარსავი კაცი, რომელიც ამბობს, რომ ისტორიკოსია, – აფხაზეთი არ წავიდა იგივე გზით, მაგრამ ჩვენ თანავუგრძნობთ ყველა ჩაგრულ ხალხს"

აგრბას ცოლი, გუნდა საკანია, რომელიც ამბობს, რომ პოეტია, დისკუსიას უერთდება: "მე მიყვარს რუსული კულტურა. მე იქ ვსწავლობდი. მაგრამ, ჩვენ არ გვინდა საკუთარი თვითმყოფადობის დაკარგვა. ძალიან საწყენია, როდესაც რუსეთის საზღვარს გადახვალ და ყველა ცდილობს, დაგამციროს. მათთვის შენ "კავკასიური წარმოშობის პირი" ხარ და მორჩა".

საკანია ამბობს, რომ ბოლო დროს კავკასიელების მიმართ გაცილებით უფრო მეტ უსიამოვნო გამონათქვამს გაიგონებ, ვიდრე ადრე. ადრე, შეურაცხმყოფელ გამოთქმებს უბრალო ხალხისაგან რიგში დგომისას თუ გაიგონებდი, ახლა კი ყველა ცდილობს, დაგამციროს, მათ შორის - ინტელიგენციაც.

დღეს თუ რუსეთი აფხაზების მთავარი მოკავშირეა, ალბათ ძირითადად, ინერციის გამო. აფხაზეთის საზღვარი საქართველოსთან – ჩაკეტილია, თურქეთი კი შორსაა.

"გათურქება ჩვენთვის ისტორიაში სამასი წლით უკანდახევას ნიშნავს, მაშინ, როდესაც რუსეთი ევროპასთან ასოცირდება. ის უფრო ევროპულია, ვიდრე საქართველო."

აშშ-ყაზახეთის შეთანხმება

კასპიის ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, ყაზახეთმა წერილობითი გარანტია მისცა აშშ-ს, რომ ერაყში ომის დაწყების შემდეგ არ შეამცირებს ნავთობის მოპოვებას. თავის მხრივ, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა პირობა დადო, რომ ამერიკა შეისყიდის ნავთობის ჭარბ რაოდენობას, რომლის რეალიზებასაც თავად ყაზახეთი ვერ შეძლებს. შეთანხმების თანახმად, ასტანამ ნავთობის მოპოვება არ უნდა შეამციროს ომის დაწყებიდან 90 დღის განმავლობაში. გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომისა და ომის გაჭიანურების შემთხვევაში, შეთანხმება შეიძლება განახლდეს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, შეთანხმებაში ომის დაწყების თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ ხელშეკრულება დიდი ხნის მანძილზე დარჩება ძალაში.

ექსპერტები მოელიან, რომ ომის დაწყების შემთხვევაში სპარსეთის ყურიდან ნავთობის მოწოდება, რომელიც მსოფლიო ექსპორტის თითქმის 2/3-ს შეადგენს, სერიოზულად შეიძლება შეფერხდეს. ამ შემთხვევაში, სხვა ნავთობმომპოვებელ რეგიონებს, მათ შორის - კასპიის ზღვის აუზს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მოკლედ

ქაბულში გერმანული შვეულმფრენი ჩამოვარდა

შვიდი გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა ქაბულში შვეულმფრენის ჩამოვარდნის შედეგად. ვარაუდობენ, რომ ავარიას ორი ავღანელი გოგონაც შეეწირა, რომლებიც იმ შენობაში იმყოფებოდნენ, რომელსაც ვერტმფრენი დაეცა.

ერთძრავიანი "სიკორსკის" ჩამოვარდნის საბოლოო მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ავარია ძრავის აალებამ გამოიწვია. ავღანეთში დისლოცირებული "უსაფრთხოების მხარდაჭერი ძალების" წარმომადგენლის განცხადებით, შვეულმფრენის რაკეტით ჩამოგდების ვერსია ნაკლებად რეალურია.

გერმანია ჰოლანდიასთან ერთად მალე გადაიბარებს ავღანეთში განლაგებული საერთაშორისო ძალების სარდლობას. ამჟამად, ამ ქვეყანაში 1500 გერმანელი ჯარისკაცია.

კიდევ ორი გერმანელი ჯარისკაცი მარტში დაიღუპა, როდესაც ისინი ნაღმის გაუვნებელყოფას ცდილობდნენ.

უკრაინას ფულის გათეთრებაში ადანაშაულებენ

უკრაინის საერთაშორისო რეპუტაცია თოვლივით დნება. ამ ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ წაყენებულ უამრავ ბრალდებას კიდევ ერთი - ფულის გათეთრება დაემატა. ამ დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ჯგუფის წინადადებით, აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ უკრაინა ოფიციალურად დაასახელა "ფულის მათეთრებელ სახელმწიფოდ". "ამით ჩვენ მკაფიოდ ვეუბნებით მსოფლიოს, რომ ეს ქვეყანა არახელსაყრელია ბიზნესისათვის და რომ მათი საფინანსო კონტროლის სისტემები არასანდოა", – განაცხადა აშშ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კენეტ დემმა.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც დღის წესრიგში დადგა ტერორიზმის დაფინანსების წყაროების განადგურების აუცილებლობა.

უკრაინის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები, უკრაინაში მოღვაწე ამერიკულ საფინანსო ინსტიტუტებს ავალდებულებს ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელების წინ დეტალურად შეამოწმოს თავისი ადგილობრივი პარტნიორი და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია ვაშინგტონს წარუდგინოს.

უკრაინის გარდა, სანქციები კიდევ ერთ ქვეყანაზე, ნაურუზე გავრცელდა, ოღონდ უფრო მძიმე ფორმით. იქაურ ბანკებს ამერიკაში საკორესპონდენტო ანგარიშების ქონა აეკრძალათ.

ი ყ ა ვ ი თ ხ ა ზ ზ ე !

დ ა მ ო ი გ ე თ მ რ ა ვ ა ლ ი პ რ ი ზ ი ჯ ე ო ს ე ლ თ ა ნ ე რ თ ა ლ !

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

ჯ ე ო ს ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პ ი რ ვ ე ლ ი **GSM**-ო პ ე რ ა ტ ო რ ი ა ?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**



ჯ ე ო ს ე ლ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ფ ა ს ლ ა კ ლ ე ბ ა ჯ ე ო ს ე ლ ი ნ !

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

მოკლედ

თბილისი. სამშაბათიდან თბილისი 1 მილიონ 750 ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს. როგორც „მედია-ნიუსს“ „თბილგაზის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განუცხადა, ბუნებრივი აირის მოცულობის გაზრდასთან ერთად აღდგება გაზის მიწოდება ვაშლიჯვარში, დიდ დიღომში, ნუცუბიძის პლატოს ორ მიკრორაიონში, აგრეთვე სამგორის რაიონის უბნებში, სადაც გაზი ავარიის მიზეზით შეწყდა.

მისივე თქმით, ახალ წლამდე ვითარება გამოსწორდება იმ უბნებშიც, რომლებსაც ბუნებრივი აირი დაბალი წნევით მიეწოდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. დიდთოვლობისა და ნამქერის გამო დაიკეტა თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის გომბორი-სართიჭალის მონაკვეთი. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს ამ მონაკვეთის თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოები.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის გზის ფასანაური-კობის მონაკვეთზე კვლავ აკრძალულია „იკარუსის“ ტიპის ავტობუსების, მისაბმელიანი და ნახევრად-მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისათვის ელექტროენერგიის მიუწოდებლობის გამო საგრძნობლად შემცირდა რეგიონში განთავსებული სამრეწველო საწარმოების პროდუქტიულობა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. კოდორის ხეობაში, სოფელ ომარიშარაში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ დაზიანდა, რის გამოც ქვეყნის რეგიონებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. როგორც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებს, „კავკასიონის“ დაზიანება არ უგრძვნია დედაქალაქს, მაგრამ რეგიონებში რთული მდგომარეობაა შექმნილი.

მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონი" სავარაუდოდ, სამშაბათს საღამოს ჩაირთვება. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" "საქრუსენერგოს" გენერალურმა დირექტორმა შოთა მაისურაძემ აცნობა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ძლიერი ყინვების გამო თურქეთში ხუთი მოქალაქე გაიყინა. ჰაერის დაბალი ტემპერატურის, დიდთოვლობის, გზების მოყინვის და ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების გამო, თურქეთში ელექტროენერგიის გარეშე 2450 სოფელი დარჩა. ანკარასა და სტამბოლში და მათ გარეუბნებში სწავლება შეწყდა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

გორი. გორში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ციფრული სატელეფონო სადგური, რომელიც 10 ათასამდე აბონენტს მოემსახურება. ჩინელი სპეციალისტების დახმარებით ასევე გაუმჯობესდა ხარისხი და ინტერნეტის სიჩქარე.

ცერემონიალს ესწრებოდა ცხინვალის სატელეფონო სადგურის უფროსიც. მან თხოვნით მიმართა "ელექტროკავშირს", რომ ანალოგიური სადგური ცხინვალშიც გაიხსნას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში გახშირდა ხე-ტყის უკანონოდ ჭრის შემთხვევები, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია“ გამოვიდა ინიციატივით შსს ეკოლოგიური პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეიქმნას მაკონტროლებელი საბჭო. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის გიორგი თევზაძის ცნობით, საქართველოს რეგიონებში ეკოპოლიციის თანამშრომლებთან ერთად უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის გამოსავლენად რეიდებს გამართავენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. 700-ადგილიანი სუპერთანამედროვე კომფორტაბელური მატარებელი ივლის 2003 წლიდან თბილისსა და ბათუმს შორის, რომელიც 400 კილომეტრამდე მანძილს ოთხსაათნახევარში დაფარავს. საქართველოს შეკვეთით, მატარებელი რიგის ვაგონმშენებელ ქარხანაში ლატვიელმა და გერმანელმა სპეციალისტებმა დაამზადეს. იგი აღჭურვილია კონდიცირების და გათბობის თანამედროვე სისტემით, ვაგონებში არის ტელევიზორები და ა.შ. ერთი მიმართულებით ბილეთის ღირებულება 20 ლარი იქნება.

რიგის ქარხანას ქართული მხარე კიდევ სამ ანალოგიურ შემადგენლობას შეუკვეთავს, რომელიც საქართველოში ივნისამდე ჩამოვა და ამის შემდეგ სარკინიგზო მიმოსვლა ქვეყნის შიგნით მთლიანად დღის რეჟიმზე იქნება გადაყვანილი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ფოთის პორტში გაიმართა ჰოლანდიური კომპანიის "დამენ შიპიარდის" მიერ აგებული ბუქსირის მიღების საზეიმო ცერემონია, რომელიც შიდა სარგებლობაზე არის გათვლილი. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ფოთის პორტმა უკვე მიიღო ჰოლანდიური კომპანიის მიერ აგებული სპეციალური მიწის სასრუტი ხომალდი "ნიკო ნიკოლაძე", რომელიც ქართული საზღვაო ფლოტის ისტორიაში ქართული მხარის პირველი დაკვეთაა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ბაქო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აზერბაიჯანს 100 მილიონი დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფა შეუჩერა.

ფონდის წარმომადგენლის მაიკლ მარიდის განცხადებით, სსფ არ ეთანხმება აზერბაიჯანის ხელისუფლების გადაწყვეტილებებს თანხების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მიღებულია ნავთობის რეალიზაციიდან, ასევე ახალი საგადასახადო პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტს.

სამწლიანი სესხის გამოყოფის შესახებ ფონდმა გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ივნისში მიიღო. დღეისათვის აზერბაიჯანს მიღებული აქვს 10-10 მილიონი დოლარის ოდენობის ორი ტრანში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქში მოქალაქეებმა საქალაქო ელექტროტრანსპორტით წელს ნაკლებად ისარგებლეს ვიდრე შარშან. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წლის იანვარ-ნოემბერში მეტროპოლიტენით, ტრამვაითა და ტროლეიბუსით 110,7 მლნ. მგზავრია გადაყვანილი, რაც 1,3 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

1,2 პროცენტით იკლო მგზავრთა გადაყვანიდან მიღებულმა შემოსავლებმაც და სულ 20,4 მლნ. ლარი შეადგინა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. 2002 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს აეროპორტებიდან 147 000 მგზავრია გადაყვანილი, მათ შორის ქართული ავიაკომპანიების მიერ 72,8 ათასი, ანუ გასულ წელთან შედარებით 49,5 პროცენტით მეტი. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში უცხოელთა უმეტესობა საქმიანი ვიზიტით და ბიზნესის ინტერესების გამო ჩამოდის. სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, წელს საქართველოში 39942 უცხოელი (ჩამოსულთა მთელი რაოდენობის 57 პროცენტი) სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა.

დასვენების მსურველი აღმოჩნდა 15 974 უცხოელი (22,8 პროცენტი) უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით სამედიცინო მომსახურების დაბალი ფასის გამო, 2002 წელს საქართველოში სამკურნალოდ იმყოფებოდა 745 უცხოელი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო პარფიუმერულმა კომპანიამ „კოსმოპოლიტენ-კოსმეტიკსმა“ „ისი-პარის“ მაღაზიათა ქსელში 2002 წლის შემაჯამებელი შეხვედრა მოაწყო.

წლეულს კომპანიამ საქართველოს ბაზარზე რვა ახალი სუნამო გამოიტანა. სუნამოთა ახალ კოლექციას შეემატა ქალებისათვის „ოდე-პარფიუმი“ და როშას „აბსოლუტი“. მამაკაცებს კომპანიამ ესკადას „სენტიმენტი“ შესთავაზა. **მედია-ნიუსი.**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 17 - 23 დეკემბრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები		UKJ	US$	€uro	₣en
	UKJ		0.6235	0.6398	0.0052
	US$	1.6034		1.0257	0.0083
	€uro	1.563	0.9749		0.0081
	₣en	193.54	120.74	123.84	

2002 წლის 24 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.1950 ლარი
დიდი ბრიტანეთის ბირვანქა სტერლინგი	1	3.4296 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.5012 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1400 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3017 ლარი
იაპონური იენი	10	0.1775 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0672 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4372 ლარი
სომხური დრამი	100	0.3664 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.0124 ლარი

"ჩვენს ეკონომიკას არაფერი სჭირს ამ ხელისუფლების გარდა"

პირველი გვერდიდან

"გაერთიანებული დემოკრატების" საარჩევნო პარტიტურა.

რაც თავად მთავრობამ შემოგვთავაზა. მთავრობა 2003 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების 210 მილიონ 500 ათასი ლარით გაზრდის ვალდებულებას იღებს. ეს თანხა, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების გარდა, ხელისუფლებას იმის საშუალებასაც მისცემს, რომ თავდაცვის ხარჯები გაზარდოს. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება მივიღოთ დამატებითი ეფექტიც: საპენსიო ფონდში დამატებით 70 მილიონი ლარის მობილიზაცია ძველი სახელფასო და საპენსიო დავალიანებების გასტუმრების და პენსიების გაზრდის საშუალებას მოგვცემს. ჩვენ მზად ვართ, დღესვე დავსხდეთ ნებისმიერ ექსპერტთან ერთად და ციფრებით ხელში დავასაბუთოთ ეს შესაძლებლობა," – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

"გაერთიანებული დემოკრატების" გაანგარიშებით, მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას 1 მაისისთვის ბიუჯეტში 116 მილიონი ლარის მობილიზება დასჭირდება. ისინი მიიჩნევენ, რომ თუ მთავრობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ საკითხს, მინიმალური ხელფასის გაზრდის საშუალება აუცილებლად გამოიძებნება. **"სახელმწიფო ბიუჯეტისადმი სხვადასხვა ორგანიზაციების დავალიანება დღეს მილიარდამდე ლარს აღწევს. ამ დავალიანების ათ-პროცენტიანი ამოღების შემთხვევაშიც კი, გამოთავისუფლდება ასი მილიონი ლარი, რაც ხელფასების გასაზრდელად არის აუცილებელი,"** – აცხადებს "დემოკრატი" გია ბარამიძე. ხოლო მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ **"აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, წლევანდელი ბიუჯეტის კანონით, მინიმალური ხელფასის 50 ლარამდე გაზრდის ვალდებულება აიღო და ის აუცილებლად უნდა შეასრულოს."** მაჭავარიანი აცხადებს, რომ მთავრობას შეუძლია მეორე, მთავარი რეზერვიც აამოქმედოს. **"საუბარია იმ დამატებით 210 მილიონზე, რომლის ამოღებასაც მთავრობა ადმინისტრირებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რეზერვებით გეგმავს. გარდა ამისა, "საგანგებო ლეგიონის" ბაზაზე იქმნება ფინანსური პოლიცია, რამაც უნდა გააუმჯობესოს ბიუჯეტში თანხების ამოღების მაჩვენებლები. დიდ რეზერვებს შეიცავს "სპეცსახსრებიც". ის თანხები, რასაც საბიუჯეტო ორგანიზაციები მანქანების, ოფისებისა და მობილური ტელეფონებისთვის ხარჯავენ, მხოლოდ აუცილებელ ხარჯებამდე უნდა შემცირდეს,"** – განმარტავს ის.

სკეპტიკურად ხვდება "დემოკრატთა" ინიციატივას დამოუკიდებელი ექსპერტი ლადო პაპავა. მისი აზრით, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან ასეთი "ნახტომისებრი" გათანაბრების შემთხვევაში, სხვადასხვა რანგის მოხელეთა ხელფასების უსამართლო გათანაბრება მოხდება. **"მსგავსი დისკუსია ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იყო, როცა ლასალის ანალოგიურ იდეას მარქსმა "ლასალის სოციალიზმი" უწოდა,"** – აცხადებს პაპავა.

"სხვადასხვა რანგის მოხელეთა ხელფასებს შორის არსებული ბალანსის შენარჩუნებაზე ხელისუფლებამ თავად უნდა იზრუნოს," – ამბობს მიხეილ მაჭავარიანი და დასძენს, რომ ხელფასებს შორის 3-ლარიანი სხვაობა ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დაბლოკვის მიზეზად არ უნდა იქცეს.

სხვათა შორის, ლადო პაპავა არ უარყოფს, რომ სახელფასო ფონდის გაზრდა, ძველი დავალიანების ამოღების შემთხვევაში, თანაფარდობის დარღვევის გარეშე, ბალანსის შენარჩუნებითაც არის შესაძლებელი. **"მაგრამ მინიმალური ხელფასი სისტემატურად და თანაბრად უნდა იზრდებოდეს,"** – მიიჩნევს იგი.

დამოუკიდებელი ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ნიკო ორველაშვილი, ხელფასების დაუბალანსებელი ზრდის შემთხვევაში, სამომხმარებლო ფასების ზრდას წინასწარმეტყველებს. **"კერძო სექტორში დასაქმებულთა მინიმალური ხელფასი ისედაც 115 ლარი და უფრო მეტია. თუმცა, დამქირავებლები გადასახადების დამალვის მიზნით 5-ჯერ ნაკლებ ხელფასს აფიქსირებენ და ისინი მუშაობის წესს მერეც არ შეცვლიან,"** – აცხადებს ნიკო ორველაშვილი.

სამაგიეროდ, "გაერთიანებულ დემოკრატებს" მხარს უჭერს და მათ ოპონენტებს "მიწასთან ასწორებს" კონტროლის პალატის ექს-თავმჯდომარე, ლიბერალური პარტიის ლიდერი რეზო შავიშვილი. **"ეს ამდენ ხანსაც უნდა გაკეთებულიყო. ქართულ ეკონომიკას გაცილებით მეტი შეუძლია. ამას, უბრალოდ, მონდომება სჭირდება. დღეს, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე შეიძლება 3-მილიარდიანი ბიუჯეტის შესრულება. ამას მე კონტროლის პალატაშიც ვამბობდი. რეზერვი ამ წუთში ათი მილიარდია და როცა ამ ათი მილიარდიდან 3-4 მილიარდს ვერ ასრულებ, ესე იგი არ გინდა, რომ შეასრულო. ჩვენს ეკონომიკას არაფერი სჭირს ამ ხელისუფლების გარდა,"** – ასეთი დიაგნოზი დასვა რეზო შავიშვილმა.

"დემოკრატების" ინიციატივის გამო სახელისუფლებო ფრაქციები – "მოქალაქეები", "თანადგომა", "ალიანსი", "სოციალისტები" და "აფხაზეთის" დეპუტატიის ნაწილი "პოლიტიკურად გაიბუტნენ" და დღემდე "უბრად" არიან. როგორც ჩანს, ისინი შიშობენ, რომ მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება, შესაძლოა, მათთვის პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი აღმოჩნდეს. ეს ბუნებრივიცაა: მთავრობას კარგად მოეხსენება საკუთარი უუნარობის ამბავი და იმ რეზერვების ათვისების შესაძლებლობაშიც კი, რაზეც 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას ასე თამამად საუბრობდა, ეჭვი არცთუ უსაფუძვლოდ ეპარება.

გომბორისა და მანგლისის მიმართულებით მოძრაობა განახლდა

სოფიკო ოხანაშვილი

დღეს საგზაო მოძრაობა განახლდება მანგლისი-პანტიანის მიმართულებით, რომელიც დიდთოვლობისა და ყინვის გამო, 20 დეკემბერს შეწყდა. გომბორი-სართიჭალის მიმართულებით ავტოსამანქანო გზა კი, საგზაო პოლიციის შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებისა და საგზაო დეპარტამენტის სამსახურების მიერ ჩატარებული მრავალსაათიანი გამწმენდი სამუშაოების შემდეგ, გუშინ საღამოს ხუთი საათისათვის გაიხსნა. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურის ცნობით, დეკემბრის ბოლოს მოსალოდნელია ტემპერატურის –12 გრადუსამდე დაცემა, რაც საავტომობილო გზებზე მოძრაობას საგრძნობლად შეაფერხებს. ქვეყანაში არსებული რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების გამო, გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ საგანგებო თათბირი გამართა, რომელზეც სტიქიური მოვლენებისათვის მზადყოფნისა და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად შესაბამის უწყებებს სპეციალური დავალებები მისცა. ამ სამუშაოების ჩასატარებლად შეიქმნა მუშა ჯგუფი სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, აკაკი ზოიძის ხელმძღვანელობით.

20 დეკემბერს, საღამოს რვა საათზე საავტომობილო-საგზაო დეპარტამენტის განკარგულებით, ავტოინსპექციამ მანგლისი-პანტიანის მიმართულებით მოძრაობა შეწყვიტა. 21 დეკემბერს ღამით კი, ნამქერის გამო, თონეთის მიდამოებში მგზავრებით დატვირთული ორი სამგზავრო ავტობუსი ჩაიხერგა. ორმოცამდე ადამიანმა მთელი ღამე ავტობუსებში გაატარა. მათი გამოყვანა მხოლოდ გუშინ საღამოს მოხერხდა. **"სახელმწიფო მინისტრის ჩარევის შემდეგ, შსს-მ გამოყო ვერტმფრენი და ეს ხალხი ვერტმფრენით გადავიყვანეთ მანგლისში",** - განაცხადა საავტომობილო-საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბორის სარალიძემ.

გომბორი-სართიჭალისა და მანგლისი-პანტიანის მონაკვეთებზე მომხდარი შემთხვევების მიზეზად ავტოინსპექციის სამმართველოსა და საგზაო დეპარტამენტში ავტომფლობელების ურჩობასა და ამ უწყებების განკარგულებებისადმი მძღოლების გულგრილ დამოკიდებულებას ასახელებენ. სარალიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მანგლისის გზა 20 დეკემბრიდან დაკეტილი იყო, ორი ავტობუსი მანგლისიდან "ჩუმად გამოიპარა" და 30-35 მეტრი წამში სიჩქარის ქარბუქში მოჰყვა. **"გზებს იმიტომ ვკეტავთ, რომ ხალხის სიცოცხლე საფრთხეში არ აღმოჩნდეს",** - განაცხადა სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსმა დავით კობახიძემ.

იმისათვის, რომ მოსალოდნელ სტიქიას ქვეყანა მომზადებული შეხვდეს, ავთანდილ ჯორბენაძემ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის აუცილებლობა დაასახელა. **"მოსალოდნელია ყინვის მატება, ამიტომ ამ პერიოდში საკმაოდ ბევრი სამუშაო უნდა ჩავატაროთ ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომ სტიქიას მომზადებული შევხვდეთ",** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა, თუმცა, ამ სამუშაოების სახე არ დაუკონკრეტებია.

მთავრობა ყოველთვის იტყუება - სინოპტიკოსები, სამწუხაროდ, არა

ქალაქის გაზგამანაწილებელ სისტემაში დაბალი წნევაა, ხოლო გათბობის ინდივიდუალური სისტემების უმეტესი ნაწილი, დაბალი წნევის პირობებში არ მუშაობს. სინოპტიკოსების პროგნოზით კი, დეკემბრის ბოლოს 12-გრადუსიანი ყინვებია მოსალოდნელი. "ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ზამთარი ნორმალურად გადავიტანოთ," – მთავრობის ეს პირობა, უკვე დღეს, არ სრულდება. ტრადიციულად, ეს ზამთარი, ისევე როგორც ყველა წინა, მთავრობის კი არა, ხალხის გადასატანია. ერთადერთი იმედი ისევ ამინდზეა, რომელიც ღვთის შეწევნით ახლაც დაგვინდობს და ახალი წლის შემდეგ მაინც შედარებით დათბება.

მაია ურუშაძე

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ამჟამად "იტერა" საქართველოს 250 ათასი კუბური მეტრით ნაკლებ ბუნებრივ აირს აწვდის. გაზის ნაკადის შემცირების მიზეზად რუსულმა კომპანიამ ყაზახეთის გაზსადენზე მომხდარი ავარია და თავად რუსეთში გაზის მოხმარების მკვეთრი ზრდა დაასახელა.

გაზის ნაკადის შემცირება დაემთხვა სომხეთის პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოთქმულ პროტესტს იმის გამო, რომ "იტერას" მიერ სომხეთისათვის მისაწოდებელი გაზის დიდი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე უკვალოდ ქრება. როგორც გაირკვა, სომხეთის კუთვნილი გაზის აორთქლება საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის დამსახურება ყოფილა, რომელმაც ამ გაზის დახმარებით საქართველოს რეგიონებში ნაწილობრივ მოხსნა ბუნებრივი აირის დეფიციტი.

"იტერა" ირწმუნება, რომ სამშაბათს გაზის მოწოდება ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება, თუმცა ძნელი სათქმელია, იმატებს თუ არა ამის შემდეგ "თბილგაზის" სისტემაში გაზის წნევა. გაზის ის რაოდენობა, რასაც "იტერა" "გვაკლებს", საქართველოს მაინც არ ეკუთვნის, სომხეთი კი თავის გაზს აბსოლუტურად სამართლიანად ითხოვს.

სხვათა შორის, გუშინ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი კიზირია ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდასა და რაიონების მიერ მათთვის დადგენილი ლიმიტების გადახარჯვაზე ალაპარაკდა. **"ყაზბეგი-გაზი" მისთვის დადგენილ ლიმიტზე 2,5-ჯერ მეტ აირს მოიხმარს,"** – განაცხადა მან.

ეს ტენდენცია მიგვითითებს, რომ საქართველოს გაზის სექტორში ახლა, დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა შექმნილი, რაც ელექტროენერგეტიკაში იყო "ეი-ი-ეს თელასის" შესვლამდე, როცა მთავრობა ელექტროენერგიაზე დადგენილი ლიმიტების გადახარჯვაზე საუბრობდა. რეალურად, გაზის დეფიციტს მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს: როგორც "საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო აცხადებს, **"მიუხედავად თბილისის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდისა, "თბილგაზი" განაცხადს ძველი მოთხოვნების მიხედვით აკეთებს, ეს კი ქვეყანაში გაზის ხელოვნურ დეფიციტს იწვევს."** ამ აზრს იზიარებს "იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძეც, რომელიც აცხადებს, რომ "იტერას" სათავო ოფისში ბუნებრივი აირის საჭირო რაოდენობაზე განაცხადები დროულად არ იქნა წარდგენილი. პატარიძე ამ "დაგვიანებას" იმით ხსნის, რომ **"თბილგაზის" სტატუსი კვლავ გაურკვეველია და მას კვლავ მერიასა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის აბურთავებენ".**

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, რომელიც ჯერ კიდევ კურირებს "თბილგაზს", ამ სფეროში შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებლობის აღება არ უნდა. **"ჯობს, მივიღოთ ცოტა, ვიდრე საერთოდ შეგვიწყვიტონ,"** – ასეთია დღეს ჩინოვნიკების მარტივი ლოგიკა.

გაზის შეწყვეტა მაინც მოსალოდნელია, ოღონდ ახალი წლის შემდეგ – ასე, 15 იანვრისთვის, როცა მისი საფასურის გადახდის საკითხი მთელი სიმწვავით დადგება დღის წესრიგში. ამ საკითხზე ზრუნვა მთავრობას, ჯერჯერობით, არ დაუწყია. ამასთან, ჯერ ისევ გაურკვეველია, წავა თუ არა "წილი" გაზის თანხებიდან "საქგაზის" ჯიბეში – სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ "იტერას" პრეზიდენტთან - იგორ მაკაროვთან მიღწეული შეთანხმება მისი ფინანსური ჯაჭვიდან ამოგდების თაობაზე ხომ ოფიციალურად კიდევ არ არის გაფორმებული.

პრესინგი

დაზარალებული ჟურნალისტი პოლიციას სასამართლოში უჩივის

შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის მიღწევა, მისივე განცხადებით, წინამორბედ თარგამაძის ტრადიციაზე – დანაშაულის დამალვაზე უარის თქმაა. თუმცა, შს მინისტრისა და მისი ხელქვეითების სიამაყის მიზეზს არასამთავრობო ორგანიზაციები ეჭვქვეშ აყენებენ. არასამთავრობოთა განცხადებით, კრიმინალური სტატისტიკა არასრულყოფილია, არარეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვმა კი იმატა. პოლიციისადმი წაყენებული კიდევ ერთი სერიოზული პრეტენზია დამნაშავეთა წინააღმდეგ არასრულფასოვან მუშაობას ეხება. გარდა ამისა, პოლიციას კრიმინალურ სამყაროსთან ალიანსშიც ადანაშაულებენ.

ინგა ალავიძე

ისტორია, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, დანაშაულის დაფარვის და ძალოვანთა უმოქმედობის ერთი მაგალითია

15 ივლისს №111 სამარშრუტო ტაქსის მგზავრს ჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოაცალეს. რადგანაც ქურდობა ნუცუბიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, დაზარალებული დალი კუპრავა ვაკე-საბურთალოს პოლიციის №2 განყოფილებაში მივიდა და პოლიციის უფროსს - ზურაბ ბერიაშვილს მიმართა. ბერიაშვილმა საქმის მოკვლევა ინსპექტორ კოკილაშვილს დაავალა და ამით დასრულდა ყველაფერი. თუმცა, პოლიციამ, ანუ კოკილაშვილმა რამდენიმე "საგამოძიებო მოქმედება" ჩაატარა. დაზარალებულს სამარშრუტო ტაქსი ამოაცნობინა, მძღოლი პოლიციაში მიიყვანა და... **"ხომ არ გინდათ, ვცემოთო",** - გაქურდულს შესთავაზა. **"გავოგნდი, როცა ეს შეთავაზება მივიღე. არადა, თავიდან გულუბრყვილოდ ვიფიქრე, მძღოლი საქმისთვის სჭირდებათ და იმიტომ მოიყვანეს-მეთქი,"** – ამბობს კუპრავა, რომელსაც პოლიცია დაჰპირდა, დაკარგულ მობილურსაც დაგიბრუნებთ და ქურდსაც დავიჭერთო.

რამდენიმე კვირის ლოდინის შემდეგ, დაზარალებულმა სამართალდამცველთა საქმე თავად გააკეთა - საკუთარი არხებით მოახერხა მოპარული ტელეფონის ახალი მფლობელის ვინაობის, სამსახურისა და თანამდებობის დადგენა. თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის საგანგებო ლეგიონის თანამშრომელმა მარეხ მჭედლიანმა რამდენიმე ნომერი ჯეოსელში შეიძინა, რომელთაგან ერთ-ერთი დალი კუპრავას სამარშრუტო ტაქსში მოპარული ტელეფონში ჩართეს. დაზარალებულმა გაიგო ნომერიც და მოგროვებული ინფორმაცია პოლიციას მიაწოდა. იქ იგი კვლავ დაიმედეს – მობრძანდით, მოპარულ ნივთს მალე დაგიბრუნებთო. ტელეფონის დაბრუნების ლოდინში 6 თვე გავიდა. ამ ხნის მანძილზე დაზარალებული პოლიციას სისტემატურად ახსენებდა დანაპირებს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ცოტა ხნის წინ მას შემდეგი განუცხადეს: საქმის თავდაპირველი ჩამბარებელი კოკილაშვილი სამსახურიდან დავითხოვეთ, თქვენი საქმე კი დაიკარგაო. დალი კუპრავამ მოპოვებული ცნობები ახლა სამძებროს უფროსს ჰამლეტ ჰუსეინოვს მიუტანა. რამდენიმე დღის წინ მან ახალი პასუხი მიიღო. დალი კუპრავას თქმით, ჰუსეინოვმა განუცხადა: **"თქვენს მიერ მოცემულ ნომერზე ვრეკავთ, გვპასუხობს მერაბ მიგლიანი და გვეუბნება, აქ დარეკვა აღარ გაბედოთო. იგი პარტიზანული დაჯგუფება "მონადირის" წევრია."** კანონდამცველმა დაზარალებულს პრობლემის მოგვარების გზაზე მიუთითა. ამ საქმეში ერთი საინტერესო დეტალიცაა: 15 ივლისს №111 სამარშრუტო ტაქსში მომხდარი დანაშაული პოლიციის №2 განყოფილებაში რეგისტრირებული არ გახლავთ. დაზარალებულს განცხადება არ დააწერინეს - მონაცემები ფურცლის ნაგლეჯზე ჩაიწერეს.

"ასე დამარიგეს პოლიციაში. სასაცილოა, არა? პოლიცია ვიღაც "მონადირე" მიგლიანთან დალაპარაკებას ვერ ბედავს. რა თქმა უნდა, შეიძლება დავრეკო დათო შენგელიასთან, მაგრამ, რატომ, როცა არსებობს პოლიცია," – ამბობს დაზარალებული.

სხვათა შორის, დალი კუპრავა რამდენიმე თვის შემდეგ მეორედაც გაქურდეს. რუსთაველზე მდებარე ერთ-ერთ კაფეში ჩანთა მოპარეს. მან ამჯერადაც პოლიციას მიაკითხა. ამჯერადაც, დაზარალებულის შეტყობინებას ოფიციალური სახე არ მისცეს - განცხადება არ დააწერინეს. არც დანაშაულის გახსნით მოუკლავთ თავი.

"სამწუხაროდ, რაც არ უნდა მოხდეს, პოლიციას აღარასდროს აღარ მივმართავ, ტყუილუბრალოდ არ დავკარგავ დროს, მათთან ურთიერთობის გამოცდილება უკვე მაქვს," – ამბობს დაზარალებული.

თუმცა, დალი კუპრავას კანონდამცველებთან შეხვედრა მაინც მოუწევს. სხვათა შორის, დაზარალებული დალი კუპრავა გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტია.

იგი ვაკე-საბურთალოს პოლიციის №2 განყოფილების თანამშრომლებს, რომლებსაც სამსახურებრივ გულგრილობაში ადანაშაულებს, სასამართლოში უჩივის.

პოსტ-სკრიპტუმის ნაცვლად

როცა ეს წერილი მზადდებოდა, "24 საათის" რედაქციაში კიდევ ერთი დაზარალებული გამოჩნდა – ისიც ჟურნალისტი და ისიც პოლიციის მუშაობით უკმაყოფილო. მაია ურუშაძეს ჩანთა ექვსი თვის წინ – ივნისში - რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში მოპარეს. ქურდობა დილის ათის ნახევარზე მოხდა, როცა იგი რამდენიმე წუთით გავიდა პალატიდან.

ზემოთ ნაამბობი შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად დაზარალებულს განცხადება დააწერინეს – ალბათ იმიტომ, რომ ჩანთაში, მობილური ტელეფონისა და საფულის გარდა, პასპორტი, მართვის მოწმობა და საბანკო წიგნაკიც ედო. თუმცა, საქმის აღძვრა სულაც არ გამხდარა განსაკუთრებული მონდომების საფუძველი –შემთხვევის ადგილზე მისულმა საბურთალოს რაიონის პოლიციის ოპერ-მუშაკმა ვასიკო ნამორაძემ დაზარალებული მაშინვე გააფრთხილა – იმედი ბევრი არაფრის გქონდესო. მოთხოვნას, რომ საავადმყოფოს მომსახურე პერსონალი და იქვე მცხოვრები ლტოლვილები დაეკითხა, პოლიციელმა გაურკვეველი პასუხი გასცა და მსგავსი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არც უცდია. ერთადერთი ამ საქმეზე დაკითხული ადამიანი დაზარალებულის მეგობარი გახლდათ, რომელსაც ქურდობის მომენტში პალატაში ეძინა.

"არადა, მე იმ რამდენიმე წუთის მანძილზე, რაც პალატაში არ ვიმყოფებოდი, სართულს არ გავცილებივარ და უცხო ამ ხნის მანძილზე არავინ შემიმჩნევია, - ამბობს დაზარალებული, **- მობილურზე შესული ბოლო ზარის დაფიქსირება რომ მოვითხოვე, პასუხად მივიღე, რომ ამ ინფორმაციის მიღება გარკვეული თანხა ღირს. უფულოდ დარჩენილი სახლში წავედი, ფული ავიღე და მოგვიანებით ეს ინფორმაციაც მოვიპოვე – ფაქტობრივად, ერთადერთი საგამოძიებო მოქმედება ამ საქმეზე მე თვითონ, ჩემი სახსრებით ჩავატარე".**

ცხადია, მოპარული ნივთების დაბრუნებაზე დღემდე არავის უზრუნია. ეს კიდევ არაფერი, თუ პოლიციამ ეს ქურდობა სხვა მიზნით არ გამოიყენა:

"საბანკო წიგნაკს ორგანიზაციის ბეჭედი ჰქონდა. ამ ანგარიშზე თავისუფლად შეეძლო ვინმეს თანხის შეტანა და შემდეგ ამ თანხით სარგებლობა, რაც შავი ფულის გათეთრების შესანიშნავ საშუალებად შეიძლებოდა ქცეულიყო. ეს ყველაფერი პოლიციელს ავუხსენი, მას კი ანგარიშის ნომერიც კი არ უკითხავს, რომ მისი ანულირება მოეხდინა", - ამბობს მაია ურუშაძე.

ეტას ლიდერი საფრანგეთის ციხიდან გაექცათ

ეტას სამხედრო აპარატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იბონ ფერნანდესი, რომელიც გასულ კვირას საფრანგეთში დააპატიმრეს, გუშინ ღამით ციხიდან გაიქცა. დაპატიმრების შემდეგ მას სამხრეთ საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქის ბაიონის კომისარიატის წინასწარი დაკავების საკანში ამყოფებდნენ. გაქცევის დეტალებს ჯერ არ ახმაურებენ.

ფერნანდესი ესპანეთისა და საფრანგეთის პოლიციის ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს. საფრანგეთში სულ შვიდი ადამიანი დააკავეს, რომელთაც ტერორისტულ ორგანიზაცია ეტასთან კავშირი ბრალდებათ. მათ შორის, ფერნანდესის გარდა, ეტას სამხედრო აპარატის მეორე ლიდერიც იყო – აინოა გარსია. ბოევიკებს ესპანეთის ტერიტორიაზე რამდენიმე მკვლელობის ჩადენა ბრალდებათ.

გენერლის აბარაკზე საწამებელი სახლი იყო მოწყობილი

პოდმოსკოვიეში დააკავეს სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც თავისი უფროსის აგარაკზე გამოკეტილი ჰყავდა ორი გოგონა და აწამებდა. სამართალდამცველთა ცნობით, აგარაკი ეკუთვნის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ გენერალს, დაკავებული ჯარისკაცი კი სამხედრო სამსახურს აქ დენშჩიკის სტატუსით გადიოდა.

დამნაშავეს ერთ-ერთი დაზარალებულის განცხადების საფუძველზე მიაგნეს. მოსკოვის ოლქის მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა მილიციას მიმართა და უამბო, რომ ორი კვირის წინ სამმა მამაკაცმა გაიტაცა. მას ისინი საფრანგეთის პოლიციის ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს. საფრანგეთში სულ შვიდი ადამიანი დააკავეს, რომელთაც ტერორისტულ ორგანიზაცია ეტასთან კავშირი ბრალდებათ. მათ შორის, ფერნანდესის გარდა, ეტას სამხედრო აპარატის მეორე ლიდერიც იყო – აინოა გარსია. ბოევიკებს ესპანეთის ტერიტორიაზე რამდენიმე მკვლელობის ჩადენა ბრალდებათ.

ტერაქტი ხუმრობით

მას შემდეგ, რაც ორი მგზავრი თვითმფრინავის აფეთქებით დაიმუქრა, იორდანიის ავიაკომპანია "ალიიას" ავიალაინერი, რომელიც ამანი-დუბაის რეისს ახორციელებდა, აბუ-დაბის აეროპორტში დაეშვა. ლაინერის ხელმძღვანელი, რომელსაც ბორტზე 173 მგზავრი ჰყავდა, ემირატების დედაქალაქის აეროპორტის სადისპეტჩერო სამსახურს დაუკავშირდა და ავარიული დაშვების უზრუნველყოფა სთხოვა.

დაშვების შემდეგ აეროპორტის უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა ერთი იორდანიისა და ერთიც ლიბიის მოქალაქე. თვითმფრინავის ელიტარულ სოფელ ნიკოლსკო-არხანგელსკის ერთ-ერთ აგარაკზე ამყოფებდნენ, აწამებდნენ და აუპატიურებდნენ. სამედიცინო ექსპერტიზამ ქალს სხეულზე სიგარეტითა და უთოთი დამწვრობის კვალი აღმოუჩინა. ქალის ნაამბობის თანახმად, მან აგარაკზე ახალი მსხვერპლის გამოჩენით ისარგებლა და გაიქცა.

მითითებულ აგარაკზე მილიციამ მართლაც მიაგნო სამ ახალგაზრდასა და მათ მორიგ მსხვერპლს, რომელიც აგრეთვე ნაწამები აღმოჩნდა. დაკავებულები აღმოჩნდნენ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის უმცროსი სერჟანტი და მისი ორი მეგობარი.

ოქროულობის მაღაზიის სამი დამყაჩაღებლიდან ერთს გაასამართლებენ

თამარ კაკიტაძე

დანაშაულის საერთო რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის დღევანდელი კრიმინოგენული ცხოვრება რამდენიმე წლის წინანდელ ე.წ. საძმოების პერიოდიდან დიდად არ განსხვავდება. მიმდინარე წელს რაიონში 123 ქურდობა, 27 კი ყაჩაღობა მოხდა. რაიონის პროკურორს თენგიზ მარჯანიშვილს თუ დავუჯერებთ, რამდენიმე წლის წინ კრწანისი-მთაწმინდის რაიონში, თურმე, ზუსტად იმდენივე ყაჩაღობა მომხდარა, რამდენიც წელს ქურდობა და იმდენი ქურდობა, რამდენიც ახლა ყაჩაღობა. გასაგები მიზეზების გამო, იმ პერიოდში მომხდარი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დიდი ნაწილი რომ დღემდე გაუხსნელი დარჩა, ფაქტია. სამაგიეროდ, გაუგებარია ის მიზეზი, რის გამოც ჯერ კიდევ გაუხსნელი რჩება შედარებით მსუბუქი დანაშაული - ქურდობა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონში წელს მომხდარი ქურდობებიდან გახსნილია მხოლოდ 56. სამაგიეროდ, გაზრდილია ყაჩაღობის საქმეების გახსნის მაჩვენებელი. შემდგომი განხილვისთვის სასამართლოშია გადაგზავნილი 23 ყაჩაღობის საქმე.

რამდენიმე დღის წინ კი აღნიშნული რაიონის პროკურატურამ კიდევ ერთი ყაჩაღობის ფაქტის გამოძიება დაასრულა და საქმის სიმძიმიდან და რეზონანსულობიდან გამომდინარე, იგი შემდგომი განხილვისათვის უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. საუბარია რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ ოქროულობის მაღაზიის დაყაჩაღების ფაქტზე, დროსაც ერთი პოლიციელი დაიჭრა და იგი საბოლოოდ დაინვალიდდა.

როგორც გამოძიებით დადგინდა, გიორგი ჩუბინიძემ, ალექსანდრე მაღლაკელიძემ და კიდევ ერთმა გამოძიებით დაუდგენელმა პიროვნებამ, წინასწარ დაგეგმეს მაღაზია "ფოკუსის" დაყაჩაღება, რისთვისაც მათ ავტომატებიც შეიძინეს.

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს ყაჩაღები მაღაზიაში შეცვივდნენ. თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულეს მაღაზიაში მყოფი გამყიდველები და სხვა პირები, დანებებოდნენ. რამდენიმეწუთიანი "მუშაობის" შემდეგ ყაჩაღებმა 16 708 ლარის ოქროულობის, 2555 ლარის ღირებულების რამდენიმე მობილური ტელეფონის გატაცება და გაქცევა მოახერხეს.

დამნაშავეები გზაში სამართალდამცველებს გადააწყდნენ. ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომელი ბადრი თაქთაქიშვილი ერთ-ერთ დამყაჩაღებელს გიორგი ჩუბინიძეს გაეკიდა. მდევარის მოსაშორებლად ჩუბინიძემ პოლიციელს იარაღიდან ესროლა და მუხლში დაჭრა. დაჭრილ მაგრამ ჩხრეკას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, ამ შემთხვევაში მას უნდა მოსთხოვოთ მომკვლევის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩხრეკის ჩატარების შესახებ. ბრძანების როგორც არსებობის, ისე არარსებობის შემთხვევაში, ჩხრეკის ჩატარებას თავისი პროცესუალური წესები გააჩნია. ამ პროცედურას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ორი დაუინტერესებელი დამსწრე, რომელიც არ შეიძლება, იყოს ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი. დამსწრეებსაც და ავტომანქანის მფლობელსაც უნდა განემარტოს თავისი უფლება-მოვალეობანი და, ამავე დროს, უნდა შედგეს ოქმი. ოქმში გაფორმებული უნდა იყოს ჩხრეკის ყველა ნიუანსი. კანონის მიხედვით, იმ პირს, რომლის პირადი საკუთრება – ავტომანქანა გაიჩხრიკა და ამ ჩხრეკის შედეგად არ აღმოჩნდა რაიმე კანონით აკრძალული, საეჭვო ნივთი ან საგანი, პოლიციელმა ბოდიში უნდა მოუხადოს. უფრო მეტიც, კანონის მიხედვით, ჩხრეკის შემდეგ, სამართალდამცველები ვალდებულები არიან, თქვენს მანქანაში წესრიგი აღადგინონ და აგინაზღაურონ ის ზიანი, რომელიც მოგაყენეს ჩხრეკისას.

სიძველეების კონტრაბანდის მცდელობა აღიკვეთა

დელიში, ინდირა განდის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში თავიდან იქნა აცილებული ბოლო წლების მანძილზე უმსხვილესი ისტორიული საგანძურის კონტრაბანდის მცდელობა. 12 ტერაკოტის ფიგურა, კერამიკის ჭურჭელი, ვიშნუსა და ჰანეშის ორი უზარმაზარი ქვის ქანდაკება, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი და მეცხრე საუკუნეებით თარიღდება, შვეიცარიაში მიმავალი თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში მანქანის სათადარიგო ნაწილების სახით იყო გაფორმებული და ციურიხში იგზავნებოდა. გამგზავნის მისამართი ყალბი აღმოჩნდა.

ცხელ კვალზე გამოძიებამ აეროპორტის საწყობები გაჩხრიკა და კონტრაბანდის კიდევ ერთი პარტია აღმოაჩინა – შუასაუკუნეებით დათარიღებული 12 ფიგურა და რელიეფების ფრაგმენტები. ყველაზე მოკრძალებული დაანგარიშებით, ანტიკვარიატის ამ პარტიის ღირებულება სიძველეების შავ ბაზარზე ასობით ათასი დოლარით განისაზღვრება. ეს ყველაფერი ინდოეთის სხვადასხვა რაიონებიდან არის მოპარული. პოლიციის ვარაუდით, ამ დანაშაულში საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფებაა ჩართული, რომლის ძიებასაც სამართალდამცველებმა კონტრაბანდის აღკვეთის შემდეგ მიჰყვეს ხელი.

მკვლელი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მილიონს იხდის

ბრიტანელი, რომელიც საკუთარი ოჯახის წევრების მკვლელობაშია ბრალდებული, მილიონ ფუნტს გადაუხდის მას, ვინც შესძლებს მისი უდანაშაულობის დამტკიცებას. ინფორმაცია მკვლელმა საკუთარ ვებსაიტზე გაავრცელა.

41 წლის ჯერემი ბამბერმა მოკლა მშობლები, და და მისი ტყუპი შვილი. სასამართლომ მკვლელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ლონდონის სასამართლომ ორი კვირის წინ ბამბერს სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარი უთხრა, რის შემდეგაც მან გაავრცელა ინფორმაცია. "თუ ფლობთ ინფორმაციას, რომელიც ჩემს უდანაშაულობას დაადასტურებს და ციხიდან დამიხსნის, გადაგიხდით მილიონ ფუნტს, ჯილდოს სახით," – ნათქვამია ჯერემი ბამბერის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეკვეთილი მკვლელობები სანკტ-პეტერბურგში

სანკტ-პეტერბურგის პოლიციის განცხადებით, ქილერებმა მოკლეს 33 წლის სერგეი რუსინი. კანონდამცველებმა მოკლულის ცხედარი გუშინ საკუთარ მანქანაში აღმოაჩინეს. რუსინი პეტერბურგში საკმაო გავლენის პიროვნება გახლდათ. იგი კერძო დაცვის ბიზნესში მოღვაწეობდა.

გუშინ სანკტ-პეტერბურგში კიდევ ერთი შეკვეთილი მკვლელობა მოხდა. თავში მძიმედ დაჭრილი ბიზნესმენი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ჩეჩნეთში რუს სამხედროებს თავს დაესხნენ

ჩეჩნეთში, აჩხო-მარტანის რაიონში ჩეჩენმა ბოევიკებმა მორიგი დივერსიული აქტი მოაწყვეს. რუსეთის სამხედრო კომენდატურის ეზოში ააფეთქეს მიკროავტობუსი. აფეთქების შედეგად გარდაიცვალა 7 სამხედრო მოსამსახურე, 4 მძიმედ დაიჭრა. რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები მომხდარ აფეთქებას ჯერჯერობით ოფიციალურ კომენტარს არ უკეთებენ.

მაფიოზთა ბოსს სასამართლომ საშობაო საჩუქარი გაუკეთა

სიცილიის მაფიის ნათლიმამის მოადგილე ანტონიო ჟუფრე შობა-ახალ წელს სახლში გაატარებს. ასეთი საჩუქარი მაფიოზს მოსამართლე ჯუზეპე ნობილემ გაუკეთა. მან მიიჩნია, რომ მაფიოზი, რომელიც ჩვენებებს ძალდაუტანებლად იძლევა, ასეთი გადაწყვეტილებით კიდევ უფრი წახალისდება.

ჟუფრე ერთ-ერთი დიდი გავლენის მქონე ბოსია, იგი "კოზა ნოსტრას" მამის ტოტო რიინას მარჯვენა ხელად ითვლებოდა. თუმცა, მაფიოზები ნინო ჟუფრეს მას შემდეგ დაუპირისპირდნენ, რაც მან "კოზა ნოსტრას" საქმიანობის შესახებ კანონდამცველებს დეტალური ჩვენებები მისცა.

სასამართლოს მიერ პატიმრობიდან გათავისუფლებული ჟუფრე შობას მის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში შეხვდება, რომელსაც კარგად შეიარაღებული დაცვა დაიცავს.

მოქალაქის უფლებები

როგორ დავიცვათ თავი საგზაო პოლიციისგან

საგზაო პოლიციას რომ ფულის კეთებაში, უკანონო ქცევასა და ელემენტარული ეთიკის ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს თითქმის ყველა მძღოლი, ახალი ამბავი არ არის. თუმცა, საგზაო ინსპექტორებისგან თავმობეზრებულ მძღოლთაგან ცოტამ თუ იცის, რომ საგზაო ინსპექტორისგან უმიზეზოდ უფლებაშელახულს, შეუძლია გაასაჩივროს საგზაო ინსპექციის ნებისმიერი თანამდებობის პირის მოქმედება და სასამართლოს წესით, დარღვეული უფლებების აღდგენა, კონკრეტული პოლიციელის უკანონო მოქმედების აღკვეთა და დამნაშავე წესრიგის დამცველთა დასჯა მოითხოვოს.

საგზაო წესრიგის დამცველთა უკანონო მოქმედებას ხშირად თავად მძღოლები უწყობენ ხელს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საკუთარი უფლებების ელემენტარული წესები არ იციან.

საგზაო პოლიციელი, რომელიც თქვენს ავტომანქანას აჩერებს, ვალდებულია პირველ რიგში წარმოგიდგინოთ საკუთარი თანამდებობა და ვინაობა, შემდეგ კი აგიხსნათ თქვენი გაჩერების საფუძველი და მიგითითოთ, საგზაო მოძრაობის რა წესი დაარღვიეთ. პოლიციელმა უნდა განგიმარტოთ, რა ადმინისტრაციული სახდელის ზომას ითვალისწინებს თქვენს მიერ დარღვეული საგზაო მოძრაობის წესი. მძღოლის მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში, ინსპექტორმა აუცილებლად უნდა გასცეს ქვითარი.

საგზაო პოლიციელი ვალდებულია, თქვენს გასაჩერებლად ერთდროულად გამოიყენოს როგორც მარეგულირებელი ჯოხი, ისე სასტვენი. თქვენ ვალდებული ხართ, გააჩეროთ ავტომანქანა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ვერ შეამჩნიეთ პოლიციელი, რომელიც გაჩერებთ, საგზაო წესრიგის დამცველი არ არის უფლებამოსილი, გამოგედევნოთ. ის პირი ან პირები, რომლებიც თქვენთან ერთად იმყოფებიან ავტომანქანაში, შემთხვევის მოწმეებად ითვლებიან და მიუხედავად მათთან ოჯახური, ნათესაური თუ სხვა ურთიერთობისა, გასაჩივრების შემთხვევაში, შეგიძლიათ მათი მოწმედ დასახელება.

თუ თქვენ არ ეთანხმებით საგზაო პოლიციელის მოქმედებას, უნდა მოითხოვოთ ოქმის შედგენა, თანაც, უფლება გაქვთ, ხელი არ მოაწეროთ ოქმს.

საგზაო პოლიციის თანამშრომლის ან საგზაო პოლიციის თანამდებობის პირის უკანონო ან არასწორი მოქმედების შედეგად თქვენი უფლების დარღვევის ან შელახვის შემთხვევაში, თავდაპირველად უნდა მიმართოთ იმ რაიონის საგზაო პოლიციის უფროსს, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა შემთხვევა. ხოლო, თუ თქვენს განცხადებას ყურადღებას არ მიაქცევენ და არ განიხილავენ, ან განიხილავენ და პასუხი არ გაკმაყოფილებთ, ამის შემდეგ შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საგზაო პოლიცია თავის უფლება-მოვალეობებს სცილდება — მძღოლს აჩერებს და მის ავტომანქანას ჩხრეკს. მოგვიანებით კი მძღოლი პოლიციის განყოფილებაში ხვდება მის მანქანაში სამართალდამცველთა მიერ აღმოჩენილი ნარკოტიკული ნივთიერების, იარაღის ან სხვა აკრძალული ნივთის გამო. არადა, ეს ნივთები სწორედ ჩხრეკის დროს ხვდება ხოლმე ავტომანქანაში მისი მფლობელისგან შეუმჩნევლად. იცოდეთ, რომ საგზაო პოლიციას თქვენი ავტომანქანის ჩხრეკის უფლება არ აქვს. უკანონო ჩხრეკის გამო, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ მორალური კომპენსაცია. პოლიციელმა, რომელიც თქვენი ავტომანქანის ჩხრეკას გადაწყვეტს, უნდა წარმოგიდგინოთ მოსამართლის ბრძანება ჩხრეკის შესახებ. თუ ის გეტყვით, რომ მოსამართლის ბრძანება არ აქვს, მაგრამ ჩხრეკა მაინც უნდა ჩატარდეს, ნუ ეწინააღმდეგებით, ნუ ეცილებით, ნუ ეჩხუბებით, ნუ ეშინებით, ნუ ეხვეწებით, ნუ ეხვენებით, ნუ ეკამათ

თბილისი. ზამთარი. XXI საუკუნე. 2002 წელი.

"თბილისის ბიუჯეტში დიდი არეულობაა"

17 დეკემბრიდან მოყოლებული, რაც თბილისი თოვლში ჩაიძირა, დედაქალაქის სამედიცინო სამსახურებს საზრუნავი მოემატა. კიდურების მოტეხილობისა თუ ქალა-ტვინის ტრავმები, დაცემით გამოწვეული კომები სტაციონარებში დიდთოვლობის პირველივე დღეს დაფიქსირდა. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკის მონაცემებით, გასულ კვირაში ასეთმა შემთხვევებმა 40 პროცენტით მოიმატა. XXI საუკუნის თბილისში ბინაზე მშობიარობის შემთხვევებიც დაფიქსირდა. იმის გამო, რომ სასწრაფო დახმარების მანქანებმა მოლიპული გზები ვერ დაძლიეს, თემქასა და ლოტკინზე, დედაქალაქის ორი ახალი მოქალაქე ქვეყანას საკუთარ სახლებში მოევლინა. იმავე მიზეზით, სასწრაფო დახმარებამ რამდენიმე ათეული გამოძახება ვერ შეასრულა.

მაკა ჯაიანი

მიუხედავად ამისა, თბილისის მერიაში მიიჩნევენ, რომ წლევანდელ ზამთარს ქალაქი მოუმზადებელი არ შეხვედრია. კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის გივი რუხაძის თქმით, **"მოუმზადებელი რომ შეხვედროდა, ტრანსპორტს ქალაქში საერთოდ ვერ უნდა ემოძრავა და ხალხი სახლებამდე ვერ უნდა მისულიყო. ჩვეულებრივი თოვლცვენისთვის თბილისი მომზადებული იყო. სხვა საქმეა, რომ წელს აქ იმდენი თოვლი მოვიდა, 10, 20 წლის წინათ რომ ყოფილა. აქედან გამომდინარე, იმ მარაგით, რაც გვაქვს, იმ ტექნიკით, რომელიც მოგვეპოვება, შესაბამისი სამუშაოების ჩატარება დროში ცოტა გაგვეწელა."**

გამოდის, ქალაქის ხელმძღვანელობას მხოლოდ მზიანი მომავლის იმედი ჰქონდა და ერთი წუთით არ უშვებდა, რომ შეიძლება ზამთარში "დაგეგმილზე" მეტად მოეთოვა. სხვა შემთხვევაში, თბილისი 3 გრეიდერისა და 1 სპეცმანქანის შემყურე არ იქნებოდა. მათთან ერთად, დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და სასფლაოების მისადგომებს დღეს "თბილწყალკანალის" ბულდოზერებიც ასუფთავებენ, მაგრამ საკმარისი ეს გაერთიანებული ძალებიც რომ არ გამოდგა, ადვილი შესამჩნევია.

კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის განცხადებით, უხვთოვლიანი ზამთრის მოსარევად 6 მარტო სპეცმანქანაა საჭირო. მათი ფასი 30 ათასი დოლარიდან ზევით მიიწევს. მათ ყინულის ფენის აფხეკაც შეუძლიათ, თოვლის გაფანტვაც და ქუჩებზე ტექნიკური მარილის მოყრაც. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც გასული კვირის განმავლობაში დედაქალაქის ქუჩებში გამოყვანილ 3000-მდე ადამიანს საკუთარი ხელით აკეთებინეს. არადა, თბილისის კეთილმოწყობისთვის, ზამთრისა და სხვა პრობლემების მოგვარების ჩათვლით, დედაქალაქის ბიუჯეტში მილიონები გამოიყოფა.

"თბილისის კეთილმოწყობისთვის ქალაქის ბიუჯეტში იმდენიმე ათეული მილიონი ლარია გამოყოფილი, მაგრამ ისე, რომ კონკრეტულად გაწერილი არაფერი არ არის, - ამბობს საკრებულოს წევრი ლევან გაჩეჩილაძე, - **ჩვენი ერთერთი მთავარი შენიშვნა დედაქალაქის ბიუჯეტის მიმართ სწორედ ის იყო, რომ არ ჩანდა, რომელი კონკრეტული პროგრამის უკან იდგა კონკრეტული თანხა ან რისი განხორციელება იყო დაგეგმილი მოცემული ფულით. ამ ხარვეზის არსებობა პირველად მიწისძვრის დროს გახდა აშკარა. ფაქტია, კეთილმოწყობისა და ბევრი სხვა საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, თბილისის ბიუჯეტში დიდი არეულობაა."**

ბუნების კანონია - ზამთარში უნდა მოთოვოს, ზაფხულში კი მზე აცხუნებდეს. რამხელა მადლია ზამთარში თოვლი, ამ დღეებში გადაპენტილ ეზოებს მოდებულ თბილისელ პატარებს სახეზე ეწერათ. ამ მადლს საჭირო რაოდენობით ტექნიკური მარილის მოყრა სჭირდებოდა, უფროსებისთვის პრობლემა რომ არ გამხდარიყო, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობამ ამაზე დროულად არ იზრუნა. მთავარი იყო, რამდენიმე ცენტრალური ქუჩა და აეროპორტისკენ მიმავალი გზა ყოფილიყო ვარგისი, დედაქალაქის სტუმრებს და უმაღლეს ხელისუფალთ ხასიათი რომ არ წახდენოდათ. ჩვენ რამდენ ხანს მოგვაქცევს ყინული სატრანსპორტო საცობებში და რამდენ დროს დაგვაკარგვინებს, ნაკლებ მნიშვნელოვანია. იმაზეც მადლობა ვთქვათ, მკვდრები რომ დაგვამარხინეს.

ავტორის ფოტოები

თბილისური თოვლის სიღატაკე და ბრწყინვალება

"თამბაქო" პარლამენტზე ზეწოლას ცდილობს

საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე გავიდა და მისი განხილვა რამდენიმე დღეში გაგრძელდება. ეს კანონპროექტი სიგარეტის წარმოება-რეალიზაციის შეზღუდვას არ ითვალისწინებს. ძირითადად, თამბაქოს ინდუსტრიის აქტიურობისა და არასრულწლოვნებზე ზემოქმედების აკრძალვას მოითხოვს. თუმცა, ბუნებრივია, იგი თამბაქოს მწარმოებელ-იმპორტიორებისა და მათი ლობისტებისთვის მისაღები მაინც არ არის. ამას, რამდენიმე დღის წინ კანონპროექტის მოსმენისას ატეხილი აჟიოტაჟიც მოწმობს.

ნანა ქადაგიშვილი

"თამბაქოს ინდუსტრია უკვე ამოქმედდა და ცდილობს, პარლამენტზე ზეწოლა მოახდინოს. გამორიცხული არ არის, კანონპროექტი ისე შეიცვალოს, რომ მისმა ავტორებმაც ველარ იცნონ," – აცხადებს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი, რომელიც თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა. თუმცა, კანონპროექტის ავტორი, პარლამენტარი კობა ამირხანაშვილი უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი. "შენიშვნები არის, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომავალი თაობა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისგან ვიხსნათ," – იმედოვნებს ამირხანაშვილი.

ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვას კი კანონპროექტი რამდენიმე გზით აპირებს. უპირველესად, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში მოწევის სასტიკად აკრძალვასა და დანარჩენ საზოგადოებრივ დაწესებულებებში (რესტორან-სასადილო-კაზინოების გარდა) მწეველთათვის ცალკე ოთახის გამოყოფას ითხოვს. "სკოლებსა და სასწავლებლებში მოწევა ნებადართული არც ახლაა, მაგრამ მოსწავლე-მასწავლებლები ხშირად ერთადაც ეწევიან. თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ კი კანონის დამრღვევ საზოგადოებრივი დაწესებულებების ადმინისტრაციას ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრება," –ამბობენ თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრში.

კანონპროექტი სასტიკად კრძალავს, აგრეთვე, თამბაქოს ინდუსტრიაში მოზარდთა ჩართვას და ინდუსტრიის მიერ არასრულწლოვანთა ღონისძიებების დაფინანსებას, რადგან ესეც ერთგვარი რეკლამაა. თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი "ფილიპ მორისის" მიერ სკოლებში წამოწყებულ ანტინიკოტინურ კამპანიას ამიტომაც ეწინააღმდეგებოდა. "შეუძლებელია, თამბაქოს მწარმოებელმა ან რეალიზატორმა საკუთარ თავს თვითონვე ავნოს," – აცხადებდა ცენტრი.

მესამე ძირითადი პუნქტი სიგარეტის კოლოფის დიზაინის წესების შეცვლაა. კანონპროექტი სიგარეტის კოლოფზე სამედიცინო ტიპის გამაფრთხილებელი წარწერის ფორმისა და შინაარსის შეცვლას მოითხოვს. ფორმა ცვალებადი უნდა იყოს, შინაარსი - უფრო ეფექტური. კანონპროექტი თამბაქოში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის შემცირებასაც ითვალისწინებს. "მართალია, საქართველოში კუპრის შემცველობის განსაზღვრის საშუალება არ არის, მაგრამ კანონპროექტი ამის გაკეთებას სიგარეტის მწარმოებელ-იმპორტიორისგან ითხოვს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა შეარჩიოს ქვეყანა, საიდაც მწარმოებელი საკუთარ ნაწარმში კუპრისა და ნიკოტინის შემცველობას საკუთარი ხარჯებით შეამოწმებინებს.

პარლამენტში განსაკუთრებული წინააღმდეგობა მოჰყვა კანონპროექტის იმ პუნქტს, რომელიც სიგარეტის ღერებით გაყიდვას კრძალავს. პარლამენტართა ნაწილს ღარიბ მწეველთა ეკონომიკური მდგომარეობა გაახსენდა და მათი ხათრით, კანონპროექტის აღნიშნული პუნქტის განხორციელება უმართებულოდ მიიჩნია. "მოწინააღმდეგენი მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით სპეკულირებენ, სინამდვილეში კი თამბაქოს ინდუსტრიას მფარველობენ," – აცხადებენ კანონპროექტის მომხრენი.

კანონპროექტში ერთი საინტერესო, მაგრამ, ჯერჯერობით, არარეალური პუნქტიც არის. საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებისას უპირატესობა არამწეველებს უნდა მიეკუთვნოს. ევროპის ბევრ ანტინიკოტინურ ქვეყანაში, კარგა ხანია, ასეთ პოლიტიკას ატარებენ. კანონპროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ ამისი დრო საქართველოშიც მოვა.

ჯერჯერობით კი, ავტორებისთვის მთავარია, თამბაქოს ინდუსტრიისა და მისი ლობისტების ზეწოლამ კანონპროექტის შინაარსზე მნიშვნელოვნად არ იმოქმედოს. ხოლო კანონის რეალურად განხორციელებას რაც შეეხება, თამბაქოს მოწინააღმდეგენი იმედს იუსტიციის სამინისტროსა და ანტიმონოპოლიურ სამსახურზე ამყარებენ. კონტროლის მექანიზმები იუსტიციის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს და კონტროლი ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა განახორციელოს. დღეს ბევრი კანონი არ სრულდება და კონსტიტუციაც ირღვევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო კანონი აღარ უნდა შევქმნათ, - აცხადებენ კანონპროექტის ავტორები.



აბორტი მოზარდებშიც პოპულარული ყოფილა

15-19 წლის მოზარდებში აბორტი ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალება ყოფილა. ასეთი შედეგი გამოქვეყნდა მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შემდეგ, რომელიც გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ხელშეწყობით ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ს/კ ინსტიტუტმა გააკეთა.

სოციოლოგიური გამოკითხვის რესპოდენტი გახდა თბილისისა და კახეთის რამდენიმე სოფლის 753 ახალგაზრდა. შერჩევა მოხდა ასაკისა და სქესის მიხედვით თანაბარწარმომადგენლობითი მეთოდით.

კვლევის შედეგების მიხედვით, 15-17 წლის მოზარდები სქესობრივად საკმაოდ აქტიურები ყოფილან. გამოკითხული ვაჟებიდან სქესობრივი ცხოვრება ჰქონია 73 პროცენტს გოგონებიდან ნახევარს. ამ ასაკის დედებში განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა ქორწინების გარეშე მშობიარობის რიცხვი; ხოლო ხელოვნური აბორტების მაჩვენებელი, თურმე, ბევრად აღემატება ოფიციალურ მონაცემებს და ყოველ 1000 ორსულზე 30 აბორტს უდრის.

სქესობრივი ურთიერთობების მიმართ ინტერესს ორივე სქესის წარმომადგენლები იჩენენ. უმრავლესობის აზრით, სქესობრივ ურთიერთობებზე საუბარი მეტ-ნაკლებად დასაშვებია.

გოგონებს კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციას თანატოლები და მასმედიის საშუალებები აწვდიან.

საერთო ჯამში, დასკვნა სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვის რეკომენდაციას ითვალისწინებს. თუმცა, კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ საქმეში დიდი სიფრთხილეა საჭირო. რეკომენდაციაში ნათქვამია – მოზარდებში არსებული გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერების, საზოგადოებრივი აზრის და ქვეყნის კულტურულ-ტრადიციული თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სქესობრივი განათლების საკითხები სასკოლო პროგრამაში ჩართული იყოს ჯანმრთელობის გაკვეთილების ან საერთო სამედიცინო განათლების კურსის შემადგენელ ნაწილად. მიზანშეწონილია, აგრეთვე, ტელევიზიით გაძლიერდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში და ცხოვრების ჯანსაღი წესის საყოველთაო პროპაგანდა.

"24 საათი"

ინფორმაცია

გამოვლენილია "საშიში" დამნაშავე!

წინასაახალწლო დღეებში, ნაძვის ხეებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით, დედაქალაქში სპეციალური რეიდები მოეწყო. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, გიორგი გამცემლიძის ინფორმაციით, რეიდებში ეკოპოლიციისა და დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობენ. განსაკუთრებულად კონტროლდება ცენტრალური სუპერმარკეტის, საბურთალოს, კოლმეურნეობისა და ნავთლუღის ბაზრების, რკინიგზის სადგურის, ვაკეში მდებარე სუპერმარკეტი „ბიგ-ბენისა" და მიმდებარე ტერიტორიები. ნაძვის ხეებით უკანონო ვაჭრობა, ჩვეულებრივ, ხსენებულ ადგილებში ხდება. გიორგი გამცემლიძის ცნობით, ჯერჯერობით, უკანონო ვაჭრობის მხოლოდ ერთი ფაქტი გამოვლინდა. მოხუცი ქალბატონი ერთადერთ ნაძვის ხეს ყიდდა. ნაძვის ხეების რეალიზაციის სხვა ფაქტები ჯერ არ შეუნიშნავთ. **მედია-ნიუსი**

ვისაც საქართველოსი არ ეშინია

უცხოელთა უმეტესობა საქართველოში საქმიანი ვიზიტით და ბიზნესის ინტერესების გამო ჩამოდის. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, გასულ წელს საქართველოში 39942 უცხოელი (57 პროცენტი) სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა, ხოლო დასვენების მსურველი აღმოჩნდა 15 974 უცხოელი (22,8 პროცენტი). "საშიში სახელმწიფოს" იმიჯის მიუხედავად, საქართველოში დასასვენებლად ჩამომსვლელთა რაოდენობა იზრდება. დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, სამედიცინო მომსახურების დაბალი ფასის გამო, 2001 წელს საქართველოში სამკურნალოდ 745 უცხოელი იმყოფებოდა. **კავკას-პრესი**

მოკლედ

თბილისი. დღეს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი პარლამენტის ყველა ფრაქციის წარმომადგენელს იწვევს შრომის სასახლეში (შარტავას ქ. №7) პედაგოგთა გაუცემელი ხელფასებისა და საარსებო მინიმუმთან ხელფასის შესაბამისობის შესახებ სასაუბროდ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კოდორის ხეობის სკოლებში საშობაო არდადეგები 27 დეკემბრიდან დაიწყება და პირველ მარტამდე გასტანს. ხეობის სკოლებში საშობაო არდადეგები საშემოდგომო და საგაზაფხულო არდადეგების ხარჯზეა გაზრდილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა აფხაზეთიდან დევნილი 150-მდე მოსწავლე ფილარმონიაში დაგეგმილ საახალწლო ნაძვისხის ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთებით დაასაჩუქრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს დამოუკიდებელ რადიოსადგურთა ქსელმა წლევანდელი მუშაობის შედეგები შეაჯამა. 2001 წლის 2 მარტს ხუთმა დამოუკიდებელმა რეგიონულმა რადიოსადგურმა დააარსა საქართველოს დამოუკიდებელ რადიოსადგურთა ქსელი. როგორც ქსელის დირექტორმა რამინ მელაძემ აღნიშნა, ამ ქსელის დაარსების მთავარი მიზანი იყო ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა. მოხდება ინფორმაციის სწრაფი გაცვლა რეგიონებს შორის და მსმენელი ოპერატიულ ინფორმაციას მიიღებს საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ. **"24 საათი".**

www.24hours.ge 24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

მომავალ ორშაბათამდე!

აჰა, შობამაც მოაღწია... რა მაგის პასუხია და უკვე გამაღიზიანებელი გახდა ეს გაუგებარი ტერმინი — "კათოლიკური შობა", — რომელიც დღემდე ისმის ჩვენს მედიაში. არავითარი "კათოლიკური შობა" არ არსებობს. ახალი სტილის 25 დეკემბერს კათოლიკეების გარდა შობას ზეიმობენ პროტესტანტები და მართლმადიდებლები (გარდა რუსეთის, საქართველოს და კიდევ თითო-ოროლა პროვინციული ეკლესიისა თუ ეკლესიისაგან სქიზმით განდგომილი დაჯგუფებისა). ასე რომ, 25 დეკემბერს ქრისტეს შობის დღესასწაულია ახალი სტილის კალენდრით და იმედია, რომ "24 საათი", თუ ამ ფაქტის მოხსენიება დასჭირდება, თავს აარიდებს, სამწუხაროდ, უკვე დამკვიდრებულ უზუსტობას...

მაგრამ ახლა სულ სხვა საგანზე მოგვიწევს საუბარი.

ათიოდე დღის წინათ რედაქციის შემოსასვლელში კონვერტი დამხვდა, სადაც, ასე ვთქვათ, უმაღლეს დონეზე დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათიც იდო, რომელიც 13 დეკემბერს, დილის 9 საათზე სასტუმრო "მარიოტში" მიწვევდა საერთაშორისო სემინარზე. თემა კი შემდეგი იყო: "**რამდენად რეალურია პრესის ომბუდსმენის ოფისის შექმნა და მედიის თვითრეგულირების მექანიზმების ჩამოყალიბება საქართველოში**".

პირველივე აზრი, რომელიც თავში მომივიდა, სრულიად ბანალური იყო: ნებისმიერი წამოწყების რეალურობა პირდაპირპროპორციულია მის შესასრულებლად გამოყოფილი თანხისა. ამ მხრივ ყველაფერი O. K. უნდა ყოფილიყო, რადგანაც მოსაწვევს გაერთიანებული ევროპის ლურჯჯი დროშა და ორენოვანი წარწერა ამშვენებდა: "ევროპის საბჭო, ევროპული კომისია". გარდა ამისა, სემინარის მომწყობებად მოიხსენიებოდნენ: თავისუფლების ინსტიტუტი, დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრი და თბილისის პრეს-კლუბი. ევროპას სემინარზე წარმოადგენდნენ: **მარიო ოციმერი** (ევროსაბჭოს წარმომადგენელი), **კლოდ-ჟან ბერტრანი** (პარიზის უნივერსიტეტის პენსიონერი პროფესორი), **პიერ იუგენიუსი** (შვედეთის ყოფილი პრესომბუდსმენი). საქართველოს მხრიდან მოხსენება ჰქონდა დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრის დირექტორს, **ბადრი კოპლატაძეს**, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით იცნობს.

სემინარი როგორც ასეთი

ოო! — სემინარი მართლაც შესანიშნავი იყო: ბოლოს და ბოლოს, ზუსტად შემიძლია ვთქვა, რა განსხვავებაა ევროპულ სამზარეულოსა და მასზე ქართველების წარმოდგენას შორის. მეორე მნიშვნელოვანი დაკვირვება ისაა, თუ რამდენად აინტერესებთ საქართველოში მედიის თვითრეგულირების დამკვიდრება საქართველოს სახალხო დამცველს, **ნანა დევდარიანსა** და სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელს, **ზაზა შენგელიას**: 20 პროცენტით. სასემინარო დროის დაახლოებით ასეთი ნაწილი იყო გავლილი, როცა ორივემ დატოვა დარბაზი. მოუცლელობის კოეფიციენტის გათვალისწინებას მკითხველს ვანდობ.

მე კი მოვლენათა დინებას გავუყვები. ორ მოხსენებას გამოვყოფ მხოლოდ, რადგან სწორედ ესაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ერთი მათგანი — პროფ. ბერტრანისა — საკმაოდ ყურადღებით მოვისმინე.

მაშ ასე, დემოკრატიულ საზოგადოებაში მედია თვითრეგულირებას უნდა ექვემდებარებოდეს: ერთი მხრივ, აღიარებულ უნდა იქნეს ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი, მეორე მხრივ, თვით მედიის ძალებით უნდა დადგინდეს და შეიმუშავდეს მისი რეალიზაციის მექანიზმები: პრესსაბჭო და პრესომბუდსმენი. პირველი გამომცემელთა, რედაქტორთა და ჟურნალისტთა გაერთიანებაა, რომელშიც კოოპტირებულნი არიან იურისტები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეორე კი ერთი ადამიანია, რომელიც საზოგადოებასა და პრესსაბჭოს შორის საკონტაქტო სახსარს წარმოადგენს.

კიდევ ორი დამახასიათებელი მომენტი პროფ. ბერტრანის მოხსენებიდან:

1) *საქართველოში უნდა დადგინდეს გარკვეული შუალედური პოზიცია სახელმწიფოს მხრიდან ხისტ კონტროლსა (უკრაინა, ბელორუსი) და უკონტროლო თავისუფლებას (ესტონეთი, რუსეთის პროვინცია) შორის.* ეს სხვა არაფერია, თუ არა სტანდარტული ხერხი, რომლითაც "დემძალები" "ადგილობრივ სპეციფიკას" ითვალისწინებენ, და რომელიც ასე ხშირად გვხვდება სხვადასხვა ანგარიშებსა და პროექტების პრეამბულებში. დასახელებულ ქვეყნებში შექმნილ მდგომარეობას ობიექტური მიზეზები განაპირობებს და საქართველოს სრულიადაც არ არგებს ამ სიტუაციათა უბრალო "გასაშუალოება". უკრაინასა და ბელორუსში, რაოდენ სასაცილოდ არ უნდა ჟღერდეს ეს, საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო რეჟიმებია, რითაც საქართველო, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ვერ დაიკვეხნის. ესტონეთზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ რუსეთის პროვინციას პეტრე დიდის ეპოქასთან ორი საერთო ნიშანი აკავშირებს: მაშინაც და დღესაც იქ ზამთრობით ყინულჭრილში რეცხავენ სარეცხს და როგორც მაშინ, დღესაც არავის აინტერესებს, რა ხდება იქ. საქართველოში კი რომელმა ობიექტურმა გარემოებებმა უნდა განსაზღვროს მედიის თვითრეგულირების პროცესი? საერთოდ, სემინარზე ხშირად ისმოდა უკვე მოყირჭებული შესიტყვებები: "პოსტკომუნისტური", "ტოტალიტარული რეჟიმის დამხობის შემდეგ", "ყოფილი საბჭოთა ქვეყნები" და ა. შ.

2) *ნუ გვგონია, რომ პრესსაბჭოსა და პრესომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსებით ბევრს რასმე მივაღწევთ: ერთიც და მეორეც მხოლოდ მინიშნებაა საზოგადოებისათვის, რომ მას უსმენენ.* გაუგებარი დარჩა, უსმენენ საზოგადოებას, თუ მხოლოდ მიანიშნებენ, რომ უსმენენ. როგორც ეტყობა, გარკვეულ პირობებში ნამდვილად უსმენენ, როცა არმოსმენა თვით მინიშნების ეფექტურობას ემუქრება. გამოცდილი დემოკრატის ინტუიცია ყოველთვის ზუსტად ამჩნევს ამ მომენტის დადგომას. *ამიტომ,* — განაგრძობდა პროფესორი, — *საჭიროა ავირჩიოთ მსოფლიოში მოქმედ ეთიკურ კოდექსთაგან ერთ-ერთი, მაგალითად, ყველაზე მოკლე,* და *დავიწყოთ მუშაობა.* დოკუმენტებში, რომლებითაც სემინარის ყოველი მონაწილე აღჭურვეს, მართლაც მოიპოვებოდა სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ჟურნალისტური ეთიკის კოდექსები. ყველაზე მოკლე ნიდერლანდური კოდექსი გამოდგა. აქ ნამდვილად არაა მათი განხილვის დრო და ადგილი, მაგრამ ზოგადად კი ვიტყვი, რომ ეს კოდექსები ინფორმაციის მიღებისა და მისი გამოქვეყნების წესებს საზღვრავს. ზერელე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო დაბლა დგას ქვეყანა ეკონომიკური და სოციალური განვითარებით, მით უფრო გრძელია მასში მიღებული ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი. ერთ-ერთი გამონაკლისი, ალბათ, შვედეთის კოდექსია, რომლის დეტალურობა თავისუფალი და დემოკრატიული პრესის ხანგრძლივი ტრადიციითაა გამოწვეული.

და მაინც: ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი, პრესსაბჭო და პრესომბუდსმენი მხოლოდ მინიშნებებია. თუმცა შვედეთის ყოფილი პრესომბუდსმენის გამოსვლა გასაგები მიზეზების გამო გაცილებით უფრო განმსჭვალული იყო საკუთარი მნიშვნელობის შეგნებით.

შვედეთში თურმე არათუ პრესომბუდსმენი, ყველაფრის ომბუდსმენი არსებობს. იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ლამის ყველა დარგს საკუთარი ომბუდსმენი ჰყავს, რადგანაც თვით ომბუდსმენის ცნება წარმოშობით შვედური ყოფილა. ომბუდსმენობის პათოსითაა განმსჭვალული შვედური ყოფა. კაცმა რომ თქვას, ყველასათვის ცნობილი სახურავზე მცხოვრები კარლსონიც ერთგვარი ომბუდსმენია, რომელიც ბიჭუნას ინტერესებს იცავს მტრულ სინამდვილეში.

შვედი სტუმრის, პიერ იუგენიუსის დანახვაზე ერთი ფრაზა მომაგონდა აკა მორჩილაძის "მადათოვიდან", სადაც ნათქვამია, რომ კნუტ ჰამსუნი ცისფერთვალება კაცისათვის უჩვეულოდ ძლიერი მზერით იყურებოდაო. როგორც ეტყობა, თბილისში სკანდინავიიდან სულ ასეთი ხალხი ჩამოდის. შკიპერის გარეგნობითა და მისი შესაფერისი ჩიბუხით აღჭურვილმა კაცმა დეტალურად აგვიხსნა, რას ნიშნავს პრესომბუდსმენი, მაგრამ მისი გამოსვლის თითქმის ყოველ აბზაცს მისამღერივით თანსდევდა შემდეგი დებულება: შვედეთში თავისუფალი პრესის ორასწლიანი გამოცდილება არსებობს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი შვედური ტრადიციიდან, რომლის კოპირება ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ გაბედა: თურმე შვედეთში გამოქვეყნებულ ნებისმიერ მასალაზე იურიდიული პასუხისმგებელი არა მასალის ავტორი, არამედ ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორია. ეს გარემოება აიძულებს ამ უკანასკნელებს არა მარტო ყურადღებით წაიკითხონ დასაბეჭდად გამზადებული ყოველი ტექსტი, არამედ განსაკუთრებული სიმკაცრით მოეკიდონ თანამშრომელთა (თუ ხელქვეითთა) არჩევის საკითხს. სხვათა შორის, თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორმა, **ლევან რამიშვილმა** საქართველოს პრესის კანონის პროექტი გადმომცა, სადაც მესამე მუხლში ასეთი რამ წერია: "ამ კანონის მიზანია... რეგულატორის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი". საინტერესოა, როგორ უნდა იყოს კანონის მიზანი ვინმეს პროფესიონალიზმი? შვედეთში ეს პრობლემა სრულიად ბუნებრივად გადაწყვიტეს: "ვინუჟდენში" ჩააგდეს რედაქტორები. სწორედ ამას ქვია პოლიტიკა: როცა არაფერი მოითხოვება პირდაპირ, არამედ იქმნება სასურველი შედეგის ხელშემწყობი პირობები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, თითქოსდა არაფერი აქვთ საერთო მისაღწევ მიზანთან. იმ გარემოში, საიდანაც ჩვენი სტუმრები ჩამოვიდნენ, ამგვარი მოქმედების მართლაც დიდი და ძველი გამოცდილება არსებობს. სამწუხაროდ, ეს გამოცდილება იმდენად ძველია, რომ ევროპელებს აზრადაც არ მოსდით, რომ შესაძლებელია არსებობდეს კულტურული გარემო, სადაც ინტერესებით ცხოვრება ჯერ არ განვითარებულა და ადამიანები ჯერ კიდევ პირველად სურვილებს ემორჩილებიან.

მაგრამ კვლავ პიერ იუგენიუსის გამოსვლას დავუბრუნდეთ. პრესსაბჭო შვედეთში, ისევე როგორც ყველგან, დაკომპლექტებულია უმნიშვნელოვანესი და ავტორიტეტული გამომცემლებით, რედაქტორებითა და ჟურნალისტებით. იურისტების როლს მასში პენსიაზე გასული მოსამართლეები ასრულებენ, — თვით ეს ფაქტი უკვე გარკვეული *მინიშნებაა* პროფ. ბერტრანის მიერ ნახსენებ *მინიშნებაზე.* პრესომბუდსმენი კი უმჯობესია ყოფილი ჟურნალისტი ან რედაქტორი იყოს. სწორედ მასთან იყრის თავს მკითხველთა საჩივრები. საჩივართა განხილვის შემდეგ ომბუდსმენი იწყებს მოლაპარაკებას შესაბამის ბეჭდვით ორგანოსთან, რათა კონფლიქტური სიტუაცია როგორმე სასამართლოს გარეშე გადაწყდეს. დადებითი გადაწყვეტის შემთხვევაში ბეჭდვითი ორგანო პირველ გვერდზე, გამოსაჩენ ადგილას აქვეყნებს ბოდიშს ან ადრე დაბეჭდილი ინფორმაციის უარყოფას.

ჯერ კიდევ პროფ. ბერტრანი ამბობდა, რომ ისეთ მნიშვნელოვან გაზეთებსაც კი, როგორიც ინგლისური "გარდიანია", ყოველ ნომერში აქვთ სპეციალურად გამოყოფილი უჯრები, სადაც შეცდომების გასწორებას აქვეყნებენ. ამან ძალიან გაზარდა გაზეთის ავტორიტეტი და პოპულარობა. მაგრამ თვით პიერ იუგენიუსის მაგალითმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თურმე შვედეთის ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა სამეფო ოჯახის ერთ-ერთი ქალბატონის ფოტო, როცა ეს უკანასკნელი აუზიდან გამოდიოდა საბანაო კოსტუმში გამოწყობილი. უმეტესი შთამბეჭდაობისათვის გაზეთს ფოტომონტაჟი გამოუყენებია და სამეფო გვარის წარმომადგენლის თავი ფოტომოდელის ტანზე "მიუკერებია". პრესომბუდსმენს მოუხდა საჩივრის განხილვა, რადგანაც სამეფო ოჯახს ჭეშმარიტების დარღვევა შეურაცხყოფად მიუღია...

ამ თვალსაზრისით ყოფილმა პრესომბუდსმენმა ერთი თავისთავად ცხადი, მაგრამ ჩვენს პირობებში ნამდვილად აღნიშვნის ღირსი რამ განაცხადა: თუ შვედეთის ჩვეულებრივმა, საშუალო მოქალაქემ მოიკლა თავი, ამ ინფორმაციას გაზეთი არ გამოაქვეყნებს, რადგანაც ის არ წარმოადგენს საერთო საზოგადოებრივ ინტერესს. მაგრამ თუ თავს იკლავს რომელიმე პარტიის ლიდერი ან ცნობილი მოღვაწე, პრესამ აუცილებლად უნდა გააშუქოს ეს მოვლენა, რადგანაც იგი საერთო ინტერესის საგანია და ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი წარმართვისათვის. ბატონმა იუგენიუსმა აგრეთვე თქვა, რომ თუ შვედეთის რომელიმე მოქალაქე ჰომოსექსუალია, ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ თუ მსგავსი ორიენტაციით რომელიმე მინისტრი გამოირჩევა, ეს უკვე საერთო ინტერესის საგანია და ამის გაზეთში გამოქვეყნება უკვე გამართლებულია.

დისკუსიაზე კი ყველაზე მეტად "24 საათის" თანამშრომელი **ეკა კვესიტაძე** აქტიურობდა. მისი ორივე გამოსვლის ძირითადი აზრი დაიყვანებოდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში არაა დადგენილი წყალგამყოფი ყვითელსა და სერიოზულ პრესას შორის, რაც აშკარა დაბრკოლებას უქმნის პრესსაბჭოს შექმნასა და ფუნქციონირებას. ერთ-ერთ სტატიაში (იმ ბედნიერ დროს, როცა ყბადაღებული ბე-ბლოკი მებარა), მახსოვს, უკვე განვიხილე საქართველოში გავრცელებული ყვითელი პრესის ზოგიერთი თვისება. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყვითელი პრესა, ამ სიტყვის საკუთრივი გაგებით საქართველოში არ არსებობს. არსებობს უნიჭო და მდარეხარისხოვანი პრესა. მე სანატრელად მივიჩნევდი იმ დროს, როცა ჩვენში "პაპარაცის" ინსტიტუტი ჩამოყალიბდება და ჩვენი "საჯარო" პირების ცხოვრებიდან მართლაც რომ სკანდალურ ფაქტებს გავეცნობით. ახლა კი მხოლოდ იმაზე თუ მსჯელობს ჩვენი "ყვითელი" პრესა, ნამდვილი თუ სილიკონის მკერდი აქვს მარეხს — ერთი უგვანო სამამულო ტელესერიალის პერსონაჟს. მეორე მხრივ, სწორედ ეს მდარეხარისხოვანი პრესა არსებობს და ცოცხლობს ისე, როგორც პრესას შეეფერება: იგი სრულიად ადეკვატურია ხალხის სულიერი მოთხოვნილებისა და ხალხიც მას კითხულობს.

მეორე მხრივ, საჯაროობის სტრუქტურა საქართველოში საპირისპიროა დემოკრატიულ ქვეყნებში გავრცელებულისაგან. მაგალითად, ამერიკის ჩვეულებრივ მოქალაქეს შეუძლია ორი მონიკა ლევინსკი ერთდროულად მოიხმაროს თავისი საცხოვრებელი ბინის გინდ ოვალურ და გინდ მართკუთხა კაბინეტში, აი, პრეზიდენტ კლინტონს კი ერთიც არ აპატიეს. გამოდის, რომ პირადი ცხოვრების გამჭვირვალება, როგორც ეს შვედეთის ყოფილი პრესომბუდსმენის გამოსვლიდანაც გამომდინარეობდა, სოციალურ კიბეზე აღმასვლასთან ერთად იზრდება. ჩვენში რატომღაც პირიქითაა და თავის დროზე ნუგზარ საჯაიას შესახებ გაზეთებში გამოქვეყნებულ რამდენიმე მასალას ბინძური ცილისმწამებლური კამპანია ეწოდა. საინტერესოა, რომ ასეთი კვალიფიკაცია ამ მასალებს მხოლოდ სახელმწიფო მოხელის თვითმკვლელობის შემდეგ მიეცა. რომელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით? — ეს უცნობია. გამოდის, რომ სოციალურ კიბეზე მაღლა მდგომი პერსონაჟის პირადი ცხოვრება გაცილებით უფრო გაუმჭვირვალია, ვიდრე ნებისმიერი ჩვენგანისა, ხოლო ჟურნალისტური ეთიკის საკითხი მხოლოდ მაშინ ისმის, როცა ხელისუფლებას სურს არასასურველი პრესის "ალაგმვა". ხომ გვახსოვს, როგორ იბრძოდნენ მავანნი იმისათვის, რომ თანამდებობის პირის წინააღმდეგ ცილისწამებას უფრო მეტი მნიშვნელობა მისცემოდა, ვიდრე ეგრეთ წოდებული ჩვეულებრივი ადამიანის უფლებების დარღვევას. ქვეყანაში, სადაც სიტყვა "მოქალაქე" უბრალოდ ტექნიკური ტერმინია თანამდებობიანისა და უთანამდებობოს გასარჩევად, საჯაროობის პერსპექტივები ნამდვილად საეჭვოა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენში თითქოსდა არსებობს პრესსაბჭოსა და პრესომბუდსმენის არა მარტო საჭიროება, არამედ აუცილებლობაც. მართალია, მაგრამ ერთი საკითხი კი დაგვრჩა გასარკვევი. რა უფრო ორგანულია ჩვენი მენტალობისათვის: საკუთარი ღირსების განცდა და მისი დაცვისკენ მისწრაფება თუ სოციალური გარანტიების მოპოვება ნებისმიერ ფასად? ამ უკანასკნელ შემთხვევაში პრესსაბჭო და პრესომბუდსმენი მკვდრადშობილი ინსტიტუტები იქნებიან. ვშიშობ, რომ ეს მართლაც ასე იქნება, რადგანაც საქართველოში ზნეობა არასოდეს ყოფილა აღქმული როგორც არჩევანი და გამოწვევა, ის ყოველთვის საზოგადოებრივი უსაფრთხოების საშუალება იყო.

ამიტომაც ვიკითხე: თუ შვედეთში ომბუდსმენის ინსტიტუტი ორას წელს ითვლის, გამოდის, რომ ამისათვის საზოგადოების შინაგანი სულიერი მოთხოვნილება არსებობს, რომლის მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა ომბუდსმენი; საქართველოში კი არავითარი შინაგანი მოთხოვნილება არ არსებობს და ჩვენ გვსურს ინსტიტუტის შემოღებით შევცვალოთ სინამდვილისადმი ჩვენი დამოკიდებულება. აქვს კი ამას რამე პერსპექტივა?

პროფ. ბერტრანმა კვლავ შემახსენა, რომ ეს ინსტიტუტი მხოლოდ მინიშნებაა (რას ერჩი, კარგად გაუაზრებია ეს გარემოება). ლევან რამიშვილმა კი სხდომის დამთავრების შემდეგ მისაყვედურა, რატომ სვამ არატექნიკურ შეკითხვებსო? მართალია, სავარაუდო სპონსორს ადვილი ტექნიკური შეკითხვები უნდა დაუსვა და ისიც დიდი სიამოვნებით განგიმარტავს, როგორ უნდა გადადგა რომელიმე საგანი ერთი ადგილიდან მეორეზე. მაგრამ მე ტექნიკური კი არა, არსებითი საკითხები მაინტერესებდა ყოველთვის. უბედურება ისაა, რომ არსებითი საკითხების თავიდან აცილება ყველაზე ადვილია. რეალობის სტრუქტურა ისეთია, რომ მასში ყოველთვის მოიპოვება რამდენიმე ადამიანი, რომელიც პრესსაბჭოს დაირქმევს და ევროსაბჭოს გრანტზე მოჯდება. ღმერთმანი, სულაც არაა ურიგო ან უპატიოსნო პერსპექტივა: საქმე ისე წავიდა, რომ აზრიან კაცს ჩვენში ყოველთვის უნდა ჰქონდეს ლევან მამალაძის ან ასლან აბაშიძისგან დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, თორემ აზრიან კაცთა წითელი წიგნი ჯერ არ დაუწესებიათ. მე, უბრალოდ, იმას ვცდილობ, აზრიანი და პატიოსანი ადამიანების საქმიანობა ყველაფერთან ერთად ნაყოფიერიც აღმოჩნდეს.

და ბოლოს: არის ერთი გარემოება, რომელსაც ვერ გაექცევი, თუმცა კი მისი აშკარა განმარტება თითქმის შეუძლებელია იმის გარეშე, რომ ვინმეს არ აწყენინო. ამიტომაც ნართაულად ვიტყვი და იმედია განათლებული მკითხველი გამიგებს: პრესსაბჭო ვერასოდეს გააერთიანებს გაზეთებს იმ პირობებში, როცა x-ს მიაჩნია, რომ y "ყვითელი პრესაა", y კი არანაკლები რიხით იგივეს უკიჟინებს x-ს. ეკა კვესიტაძის აზრმა, რომ დღევანდელი ქართული მედიის ნაკადში ყვითელსა და სერიოზულს შორის მკაფიო წყალგამყოფი არ არსებობს, სრულიად კონკრეტული და მწვავე მნიშვნელობა შეიძინა.

ამ თვალსაზრისით პროფ. ბერტრანმა თქვა, რომ არსებობს გაზეთები, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას, არსებობენ გაზეთები, რომლებიც ართობენ. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ხსენებული წყალგამყოფის კრიტერიუმად გამოდგება. მაგრამ ჩვენს ბეჭდვით ორგანოებში ორივე მიმართულება ისეა არეული, არავის მოაკლდება სხვისკენ თითის გაშვერის საბაბი. წელიწადის ბოლო, საშობაო კვირას კი ერთი სიკეთეც მოაქვს: 27 დეკემბერს "24 საათის" ბოლო გვერდიდან საბოლოოდ გაქრება ერთ-ერთი ასეთი საბაბი. ძველი რომაელები იტყოდნენ: "sapienti sat" — "გონიერისთვის საკმარისია".

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, მეგობრებო!

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

სინემა

კინოთეატრი "ამირანი", "ელისო"

„შემთხვევითი მილიონები"

აშშ, 2002 წელი

Mr. Deeds

მთავარ როლებში: **ადამ სენდლერი, უინონა რაიდერი**

რეჟისორი: **სტივენ ბრილი**

ამერიკული კომედიების ნახვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ასეთ ფილმებს ამნეზიით დაავადებული ხალხისთვის იღებენ. ერთიდაიგივე სიუჟეტები თუ ტრიუკები ფილმიდან ფილმში მოგზაურობს და დეკორაციის გარდა არც არაფერი იცვლება. თუმცა, ზოგჯერ მაინცდამაინც არც დეკორაციის შეცვლით იწუხებენ პროდიუსერები თავს.

"შემთხვევით მილიონებში" ორი საკმაოდ მძიმეწონიანი ვარსკვლავი, უინონა რაიდერი და ადამ სენდლერი თამაშობს, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ სცენარიც შესაბამისი დონის იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ იმედები არ გამართლდა. ყველაფერთან ერთად, ფილმის რეჟისურაც არ დგას სათანადო სიმაღლეზე. სურათში იმდენი შეცდომებია დაშვებული, რომ ბარე ათ ფილმს ეყოფოდა. მაგალითად, ერთ-ერთ ეპიზოდში მთავარი გმირი მარტოდმარტო ცდილობს გადაარჩინოს ქალი, რომელიც ყინულოვან წყალში ჩავარდება. ადამ სენდლერის გმირი თავგამოდებით ცდილობს ქალი აშკარა სიკვდილისგან იხსნას და თან მთელ ხმაზე მშველელებს უხმობს... და ჰოი, საკვირველებავ, კადრში უეცრად გადამღები ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ჩნდება, რომელიც გამწარებული ცდილობს კამერის თვალთახედვის არედან გავიდეს! მართლაც სასაცილოდ გამოიყურება, ამ ეპიზოდის შემდეგ ადამ სენდლერის გმირი იხტიბარს რომ არ იტეხს და კვლავ განწირული ხმით დახმარებას ითხოვს.

ფილმის ფაბულა მარტივია. რომელიღაც მულტიმილიონერი მოულოდნელად გარდაიცვლება და მისი ერთადერთი მემკვიდრე ადამ სენდლერის გმირი აღმოჩნდება, რომელიც სადღაც მიყრუებულ ადგილას ცხოვრობს. რასაკვირველია, უეცარი გამდიდრების შემდეგ, იგი მასმედიის და სხვადასხვა ჯურის შარლატანების ყურადღების ქვეშ აღმოჩნდება. ნამდვილად საინტერესოა, როგორ მოიქცევა ახლადგამომცხვარი მილიარდერი მისთვის სრულიად უცხო და შეუფერებელ გარემოში. ფილმის შემქმნელებიც სწორედ ამით ცდილობენ კომედიური ეფექტის შექმნას. სამწუხაროდ, სიუჟეტი იმდენად ნაცადი და გატკეპნილი გზებით ვითარდება, რომ ნამდვილად არ არის დიდი ტვინიკოსობა საჭირო, რათა პირველი ათი წუთის ნახვის შემდეგ, მოვლენების შემდგომი მსვლელობა იწინასწარმეტყველო – არადა, კომედიური ფილმების მთავარი დამახასიათებელი თვისება ხომ სიუჟეტის მოულოდნელი შემოტრიალებაა.

არჩილ მელიქიშვილი

მოკლედ

ცნობილი ფრანგი მუსიკოსები ჟერომ პერნო (ჩელო) და ჟერომ დიუკრო (ფორტეპიონო) ხვალ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კამერული მუსიკის კონცერტს გამართავენ. მუსიკოსები ბეთჰოვენის ნაწარმოებებს შეასრულებენ. 25 დეკემბერს ჟერომ პერნო კონსერვატორიის დიდ დარბაზში კვლავ გამართავს სოლო კონცერტს, რომელზეც ბახის და კოდაის ნაწარმოებებს შეასრულებს. ჟერომ პერნო ამჟამად ლონდონის მუსიკის სამეფო კოლეჯის პროფესორია. ის უკრავს როგორც ბაროკოს, ვიოლინოსა და მე-18 საუკუნის ანონიმური იტალიელის ოსტატების შექმნილ პიკოლო ჩელოზე, ასევე ფრანკ რავატის თანამედროვე ჩელოზე. ჟერომ დიუკრო წარმატებით გამოდის ლონდონის, ჟენევის, რომის, ბერლინის, ნიუ-იორკისა და ტოკიოს საკონცერტო დარბაზებში. ის უკრავს ლიტვის ეროვნულ, პარიზის კამერული ფილარმონიის, ლიონის ეროვნულ და ლოზანის კამერულ ორკესტრებთან. 1995 წელს დიუკრო პერნოსთან ერთად ქმნის დუეტს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მართავს საკონცერტო ტურნეებს. **(კავკას-პრესი)**

■ ■ ■

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით 12 სერიიანი ფილმის "დადექ ქარო და მიამბე"-ს გადაღებას გეგმავს. ფილმი ალექსანდრე ყაზბეგის მთელ შემოქმედებას და მწერლის პირადი ცხოვრების დეტალებს მოიცავს. სცენარის ავტორები არიან: გიგა ლორთქიფანიძე და ამირან ჭიჭინაძე. ფილმის სარეჟისორო დამუშავება უკვე დაიწყო. მასში ქართული სამსახიობო სკოლის მრავალი წარმომადგენელი დაკავდება, მათ შორის ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე და სხვა ცნობილი თუ დამწყები მსახიობები. ფილმი წარმოებაში ჩაეშვა; გადაღება 3-4 თვეში დაიწყება და სავარაუდოდ, ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება. (**ინტერ-პრესი**)

■ ■ ■

კულტურულ-გასართობ ცენტრ „ბერიკონში" ქართველი ესტრადის მომღერლები საქველმოქმედო აქცია-კონცერტს გამართავენ. კონცერტზე შემოსულ თანხას მომღერლები და მსახიობები ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს გადასცემენ. აქცია-კონცერტის ორგანიზატორი დუეტ „თეონა და ირინას" წევრი ირინა სოლტიშია. საღამოს ბაკურ ბაკურაძე გაუძღვება და კონცერტის მსვლელობისას საშობაო საჩუქრებსაც გაათამაშებს. კონცერტი-აქცია 24 დეკემბერს გაიმართება. 25-ში კი აქციის მონაწილე მსახიობები ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ცენტრს ეწვევიან და კონცერტთან ერთად პატარებს საახალწლო საჩუქრებს დაურიგებენ. **(მედია-ნიუსი)**

კალენდარი

23 დეკემბერი



თანამედროვე ამერიკელი პოეტისა და მთარგმნელის, რობერტ ბლაის შემოქმედებას ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ვიწრო წრეებში იცნობენ, ამ ბოლო ხანებში მისი რამდენიმე ლექსი ქართულადაც ითარგმნა და ლიტერატურულ გამოცემებშიც დაიბეჭდა.

რობერტ ბლაი 1926 წელს დასავლეთ მინესოტაში, ნორვეგიული წარმოშობის ოჯახში დაიბადა. საზღვაო ფლოტში ორწლიანი სამსახურის შემდეგ სწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტში განაგრძო, ჰარვარდში სწავლის პერიოდი ახალგაზრდა ბლაისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა, ის ამერიკელ მწერალთა ჯგუფს დაუკავშირდა და ლიტერატურის სამსახური ცხოვრების წესად გაიხადა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბლაიმ ფულბრაიტის პროგრამის გრანტი აიღო და ნორვეგიული პოეზიის სათარგმნელად ნორვეგიაში გამგზავრების საშუალება მიეცა. მერე იყო მონატრებული შეხვედრები დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან და საინტერესო საუბრები ცნობილ ნორვეგიელ პოეტებთან, რომელთა პოეზია ამერიკელი მკითხველისათვის სრულიად უცნობი იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბლაიმ ლიტერატურული ჟურნალის დაარსება, რომელიც მთლიანად თარგმნილ პოეზიას დაეთმობოდა. ასე გაჩნდა სერიული ჟურნალი: "ორმოცდაათიანელები", "სამოციანელები" და "სამოცდაათიანელები", რომლის მეშვეობითაც ამერიკელმა მკითხველმა უცხოელ მწერალთა მთელი თაობა გააცნო, მასში თარგმნილ ლიტერატურასთან ერთად ასევე ქვეყნდებოდა ესეები ამერიკულ მწერლობაზე. ჟურნალის გამოცემის პერიოდში ბლაი მინესოტაში, თავის ფერმაში ცხოვრობდა მეუღლესა და შვილებთან ერთად.

1966 წელს ბლაიმ და რამდენიმე მწერალმა დააარსეს საზოგადოება "ამერიკელი მწერლები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ", ხოლო როდესაც წლის ლიტერატურული პრემია მიიღო წიგნისათვის "შუქი სხეულის გარშემო" (The Light Around the Body), მთელი თანხა ომის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში გადარიცხა. მას ეკუთვნის ლექსების, ესეებისა და თარგმანების არაერთი კრებული. მისი წიგნი "რკინის ჯონი: წიგნი მამაკაცთა შესახებ" (Iron John: A Book About Men) საერთაშორისო ბესტსელერადაა აღიარებული.

დღეს ამერიკელ პოეტს, **რობერტ ბლაის** 76 წელი შეუსრულდა.

სანახაობა, როგორც კულტურული ღირებულება

კვირის მოვლენების მიმოხილვა

ვერა ნეფარიძე

თბილისში წინა კვირის კულტურული ცხოვრება ჩვეულებრივზე მეტად აქტიური იყო. ოპერაში დაიდგა "მაკბეტი", სტუდენტებს მოუწყვეს კინო და თეატრალური ფესტივალი "დებიუტი", წაახალისეს მოყვარული ფოტოხელოვანები, გაიხსენეს გურამ თიკანაძე, "ამირანში" პოპულარულმა პოეტმა, კოტე ყუბანეიშვილმა ახალი წიგნისა და საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა, ფიროსმანის ნახატები იტალიური გამოფენის შემდეგ თბილისში დააბრუნეს და ა.შ. გასული კვირა ქართული საზოგადოებისთვის სამწუხარო დანაკლისითაც აღინიშნა – გარდაიცვალნენ კოტე მახარაძე და ზურაბ სარჯველაძე. თუმცა, მომხდარიდან რა დატოვებს ქართულ კულტურაზე მნიშვნელოვან კვალს და რა – არა, ამას მომავალში გავიგებთ.

კვირა წიგნის მოყვარულთათვის უდაოდ სასიამოვნო სიახლით დაიწყო - ეროვნული ბიბლიოთეკისა და გოეთეს ინსტიტუტის ერთობლივი პროექტით "საჯაროში" ვილჰელმ ჰუმბოლდტის სახელობის გერმანული ბიბლიოთეკა გაიხსნა. კვირის განმავლობაში, მეტნაკლებად, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ კლასიკური ხელოვნების მოყვარულნი, ისინი ვინც კონსერვატორიაში ნოდარ ანდღულაძის საიუბილო კონცერტების აქტიური სტუმრები იქნებიან. რაც შეეხება დანარჩენ "კულტურულ" ღონისძიებებს, ისინი როგორც ყოველთვის თბილისში, თითქმის არასდროს პასუხობს ხოლმე საზოგადობრივად (თუნდაც, პოლიტიკურად) მნიშვნელოვან მოვლენებს. აქ რატომღაც, კარგი ტონია - რაც უფრო დაძაბულია პოლიტიკური თუ სოციალური ფონი, მით მეტი გრანდიოზულობა შემატონ ღონისძიებებს, რომელთაც, როგორც წესი, მხოლოდ ორგანიზატორებისთვის აქვთ ღირებულება. ამიტომაც, ბოლო დროს მძაფრად დაისვა (ყოველ შემთხვევაში, "24 საათის" ფურცლებზე) საკითხი – რა არის კულტურა, მხოლოდ სანახაობა (თეატრი, კონცერტი, გამოფენა) თუ სხვა, გაცილებით მეტი?

ბუკა

გიორგი გვარჭალაძე და გიგა მიქაბერიძე

მაკა ასათიანი

გართობა

წინა კვირის დანარჩენ მოვლენებს, რომელთაც შევეხებით, მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება კულტურული ვუწოდოთ. არც შოუბიზნესია ალბათ მისი ზუსტი სახელწოდება. ამიტომაც, გადავწყვიტეთ მისთვის გართობა დაგვერქვა, რომელიც დღეს დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ძირითადი ნაწილია.

თბილისელი "ელიტური" ახალგაზრდობისთვის ამ მხრივ, სამშაბათი კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იყო. თავიდანვე ატეხილი ხმაური, თითქოს "არტ-იმედი" დათო ხუჯაძის კონცერტის "ჩაგდებას" შეეცადა, იმით დასრულდა, რომ "ვარსკვლავებმა" მშობლიური ფანები მშვიდობიანად, უწყინრად გაინაწილეს. მართალია, სპორტის სასახლის ტევადობის გამო, ხუჯაძეს უფრო გაუმართლა, მაგრამ ობიექტურობის გამო უნდა ვაღიაროთ, რომ თაყვანისმცემლები არც "არტ-იმედის" ვარსკვლავებს აკლიათ. ორივე კონცერტზე შეპირებული სიურპრიზები კი ვისთვის ახალი ვარსკვლავების (მაგალითად, ქეთო, რომელიც "არტ-იმედმა" ფილარმონიაში წარმოადგინა) გამოჩენა, ვისთვის საკონცერტო დუეტები (როგორიც სპორტის სასახლის აუდიტორიამ იხილა) აღმოჩნდა. კონცერტებით საბოლოო ჯამში, ყველა კმაყოფილი და მოგებული დარჩა, მათ შორის მსმენელიც, რომელზეც ჩვენი "ვარსკვლავები" ხშირად ამბობენ ხოლმე, ძალიან პრეტენზიულიაო. ეტყობა არ იციან, რომ ასეთი კატეგორია მათ საერთოდ არ მოუსმენდა. არ ვიცი, აქვთ თუ არა ინფორმაცია, ან რამდენად მტკივნეულია მათთვის ეს ფაქტი, მაგრამ თბილისშიც კი ასეთი მსმენელი ნამდვილად არსებობს. მათზე, ოდნავ მოგვიანებით.

კლიპის პრეზენტაცია, როგორც ახალი კულტურული მოვლენა თბილისში

"ჩვენი ვარსკვლავები ჩვენგან განსხვავებით, არსად არ არიან ნამყოფები და ჰგონიათ, რომ აქაურობის გარდა არაფერი არსებობს", - ასეთი, ცოტა აგრესიული გამოსვლა შაბათს, კინოთეატრ "ქოლგაში" გამართულ რობერტ ბარძიმაშვილისა და მისი აღსაზრდელების ერთობლივი ვიდეოკლიპების პრეზენტაციაზე ნუგზარ ერგემლიძეს ჰქონდა. ამ დღეს აშკარად გამოიკვეთა თვითონ ქართულ მუსიკალურ სცენაზე არსებული არაერთგვაროვანი სიტუაცია. იმ ნაწილის წინააღმდეგ, ვისაც ჰგონია, რომ თანამედროვე მუსიკის შექმნა არაპროფესიონალიზმით და უპასუხისმგებლობითაც შეიძლება, ხოლო ამის ერთადერთ აუცილებლობად ტელეეკრანზე დანახული საკუთარი გამოსახულება მიაჩნიათ, ესტრადის პროფესიონალები გამოვიდნენ. ისინი პირობითად, ტრადიციული ქართული ესტრადის მომხრეებად შეიძლება მივიჩნიოთ (ტრადიციულში იგულისხმება ესტრადა, რომლის სახეებიც "ივერია", "ორერა" ან მათზე გაზრდილი და მათი გზის გამგრძელებელი შემსრულებელთა თაობები იყო). ეს კატეგორია დღეს სრულიად სამართლიანად აპროტესტებს ქართული მუსიკალური სცენის რეალობას, რაშიც ძნელია არ დაეთანხმო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 80-იანი წლების ქართული საბჭოთა მუსიკალური პროდუქცია დღეს ნამდვილად არავის სჭირდება. იმ დღეს რობერტ ბარძიმაშვილმა ახალ კლიპებთან ერთად (სადაც იგი "ახალი ორერას" ახალგაზრდა სოლისტებთან ერთად მღერის) საკუთარი, 35 წლის წინანდელი ნამუშევარი, კლასიკური "ორერას" ვიდეორგოლი აჩვენა. იმ დღეს ალბათ ბევრმა გააკეთა სამწუხარო დასკვნა, რომ ბოლო დროს არცერთ ქართველ შემსრულებელს მსგავსი კლიპი არ გადაუღია. ჩვენთან, ჯერ კიდევ აქტუალურია ბანალური "მეტეოროლოგიური" თემები. ამაში იგივე "ქოლგას" დარბაზში პარასკევს დავრწმუნდი. იმ დღეს 16 წლის ბუკამ ახალი მუსიკალური კლიპი "წვიმა მოდის" გაგვაცნო.

კვირის ჰეფი-ენდი

მხოლოდ ამით რომ არ ამოიწურება დედაქალაქის მუსიკალური შესაძლებლობები, ამაში შაბათსვე სოლოლაკში გამართული "ტუსოვკით" დარწმუნდება ისიც კი, ვისაც ამის დაჯერება არ სურს. ეს "ტუსოვკა" სხვა მუსიკაზე და სხვა შემსრულებლებზე "კაიფობს". შაბათს ლადო ბურდულთან სახლში ტრადიციული "შაბათობა" გიგა მიქაბერიძემ გააგრძელა. სამწუხაროდ, ტექნიკური (თუ არა მარტო ტექნიკური) მიზეზების გამო, იმ საღამოს ვერავინ მოისმინა გიგას ახალი კომპოზიციები და მხოლოდ მუსიკოსის ბოლო ალბომის მასალას დასჯერდა. ამაში გიგას მისი ძველი მეგობარი "ოვერბალანსის" ყოფილი წევრი გიორგი გვარჯალაძე ეხმარებოდა. მართალია ის ღამე არ გაუტეხავთ, მაგრამ ვიკენდი რომ ლადოსთან "შაბათობით" დასრულდა, ამან "ქოლგას" გაყინული დარბაზის შემდეგ გარკვეული შვება მაგრძნობინებს.

Fashion-news

კვირის აღსანიშნავი მოვლენები შეიძლება ერთი ახალი ამბით დავასრულოთ. კვირის ბოლოს დიზაინერმა მაკა ასათიანმა მოსკოვში პაკო რაბანთან, ჟან პოლ გოტიესთან და ვალენტინ იუდაშკინთან ერთად მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ექსკლუზიურ ჩვენებაში, რომელიც რესტორან "ნოსტალჟიში" მოეწყო. ჩვენებაზე ოცი ქვეყნიდან მიწვეულ დიზაინერს შამპანურის ბოთლი უნდა შეემოსათ. ღონისძიებაში ქართველი დიზაინერის სერიოზული მიღწევების შემთხვევაში ცხადია "24 საათი" აუცილებლად შეგატყობინებთ.

ზურაბ სარჯველაძე

თამარ სუხიშვილი

გუშინ, 22 დეკემბერს, ქართველმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძისა და ვ. ჰუმბოლდტის პრემიების ლაურეატი, პროფესორი ზურაბ სარჯველაძე.

ზურაბ სარჯველაძე მის მიერ შედგენილ "ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში" (2001 წ.), რომელიც ფაქტობრივად ძველი ქართულის სიტყვანს წარმოადგენს და რომლის ლექსიკონადაც გამოცემას ის ეშურებოდა, წერს: "ამ სტრიქონების ავტორს კარგად აქვს შეგნებული, რომ ძველი ქართული ენის ლექსიკური მარაგის ამოწურვა შეუძლებელია, რადგანაც ერთი ცნობილი გამოთქმა რომ შევაკეთოთ, "ქართველთა ენაი უფსკრულ ღრმა არს".

ქართული ენის ამ სიღრმეების დაუფლებას თავგანწირული მსახურება სჭირდებოდა და ასეთი მსახური ქართულ ენას ყოველთვის ჰყავდა. ბატონმა ზურაბმა მთელი თავისი ცხოვრება ქართული ენის აზრობრივი და სტრუქტურული სიღრმეების წვდომას შეალია, უფრო კონკრეტულად კი – ძველი ქართული წარწერებისა და ტექსტების ამოკითხვა-შესწავლასა და გამოცემას, სიტყვების ამოკრეფას, მათი მნიშვნელობების და წარმომავლობის დადგენას და სათანადო ლექსიკონებში დაუნჯებას.

ზურაბ სარჯველაძემ ქართულ ფილოლოგიაში ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა. ესენია: "ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი" (1984 წ.), "ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი" (1990 წ. I გამოცემა, 2000 წ. II შევსებული გამოცემა – ჰ. ფენრიხთან თანაავტორობით), "ძველი ქართული ენის ლექსიკონი" (1995 წ.), "ქართული პალეოგრაფია" (1997 წ. კ. დანელიასთან თანაავტორობით), "ძველი ქართული ენის სიტყვის კონა" (2001 წ.) და ბევრი სხვა.

ამ შრომებმა დიდი როლი შეასრულეს, და მომავალშიც შეასრულებენ, ძველი ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული ენის შემდგომი კვლევის საქმეში, ქართული ენის განვითარების ისტორიული გზის ერთიან გააზრებაში და, შესაბამისად, ქართველი ერის ისტორიული ცნობიერების დაურღვევლობაში, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებაში...

როგორც ლექტორი ბატონი ზურაბი გამორჩეული იყო, გამორჩეული თავისი ცოდნით, მასალის მიწოდების განსაკუთრებული უნარით, თავისი მომთხოვნელობით, პრინციპულობითა და სამართლიანობით. ლექციაზე ის არასდროს საუბრობდა განყენებულ თემებზე, არასდროს გადაუხვევდა ლექციის თემას, ერიდებოდა ზედმეტ ფამილარობას. ზურაბ სარჯველაძის ლექციებზე სტუდენტები მუშაობდნენ.

ჩემი სტუდენტობის პერიოდში, 90-იანი წლების გათოშილ, მშიერ და უტრანსპორტო ქალაქში, ბატონი ზურაბი, თავადაც სხვას დამგზავრებული, ვაჟას პროსპექტის ბოლოდან უნივერსიტეტამდე გზადაგზა კრეფდა ლექციებზე ფეხით მიმავალ თავის სტუდენტებს...

სტუდენტებს შრომისმოყვარეობის, ცოდნისა და ნიჭის, კეთილზნეობის მიხედვით აფასებდა. თვალებში ხალისი ჩაუდგებოდა ხოლმე...

პროფესორ ზურაბ სარჯველაძის მიერ წაკითხულ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ლექციებზე ბოლნისისა და ატენის სიონისა თუ მცხეთის ჯვრის წარწერების ანალიზთან ერთად იძერწებოდა და იხსნებოდა როგორც ყოფიერების მარადიული სევდა - "იხილეთ ესე ჟამი, წავა ვითარცა წამი" - ისე ამ სევდის დაძლევისა და კაცთა მოდგმის არსებობის საზრისი: "...მე, ფარნავაზ და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩვენთათვის"...

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, როგელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და როგელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, როგელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მეფვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

გაზაევი საბაზო გუნდს აკეთებს

ოსეთის "ალანიას" ნახევარმცველმა, ალან კუსოვმა მოსკოვის ცსკა-სთან გააფორმა კონტრაქტი. "კუსოვი ეროვნულ ნაკრებს მიუახლოვდა", - მიაჩნიათ რუს კოლეგებს. ამის მიზეზი კი ვალერი გაზაევის განცხადებაა. ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა თქვა, რომ ცსკა ნაკრების საბაზო გუნდი გახდება და ვინც იქ ითამაშებს, გამუდმებით ვალერი გაზაევის მუდმივი ყურადღების ცენტრში მოექცევა და ქვეყნის პირველ გუნდში თამაშის კარგი პერსპექტივა ექნება.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით რუსი ჟურნალისტები ირონიულად ამბობენ, რომ ცსკა-ში ისეთი გამოცდილი ფეხბურთელებიც კი არ თამაშობენ, როგორიც ვალერი კარპინია, რომელიც ესპანეთის პრიმერადივიზიონის ლიდერის, სან-სებასტიანის "რეალ-სოსიედადის" ღირსებას იცავს და თავის გუნდში ერთერთი გამორჩეული ფიგურაა. რუსი კოლეგები ვარაუდობენ, რომ, როგორც ჩანს, ეროვნული ნაკრების ნახევარდაცვის რგოლში კუსოვი სულ მალე "პირველი ვიოლინო" იქნება.

ვერ ვიტყვით, რომ კუსოვი ციდან ვარსკვლავებს წყვეტს, მაგრამ შარშანდელ სეზონში ვლადიკავკაზური კლუბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო და მისი დაკარგვა ოსეთისთვის ძნელი ასანაზღაურებელი იქნება. ამიტომ "ალანიას" ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ ფეხბურთელის შესანარჩუნებლად ყველა ღონეს იხმარს, მაგრამ ოსები ნიჭიერ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას აყოვნებდნენ. ამით მოსკოველებმა ისარგებლეს და კუსოვი გადაიბირეს.

გაიგო თუ არა ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეზიდენტმა, მიხაილ შატალოვმა კუსოვის ამბავი, განაცხადა, რომ კუსოვს ოსურ კლუბთან 2003 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი. "შესაბამის ინსტანციებში ჩვენ სიმართლეს დავიცავთ", - განაცხადა შატალოვმა.

იტალიაში კიდევ ერთი ფეხბურთელი სცემეს

იტალიელი ფანები ჭკუიდან გადავიდნენ და ფეხბურთელებს დაერივნენ. ისინი აღარავის ინდობენ - არც სახელოვანსა და არც უსახელოს. ასე ფიქრობენ იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში იმ უმსგავსოების გამო, რაც იტალიის ქალაქებში ხდება.

განრისხებული იტალიელი გულშემატკივრების მორიგი მსხვერპლი "კატანიას" ბელგიელი ლეგიონერი, ლუის ოლივეირა გახდა. "ტერნანას" ახალგაზრდა ფანების ჯგუფმა ოლივეირას შაბათს "ტერნანა" - "კატანიას" მატჩის შემდეგ შეუტია. ამ დღეს ბელგიელმა მეტოქის კარში ორი გოლი გაიტანა. გამძვინვარებული გულშემატკივრები ფეხბურთელს გასახდელში შეუვარდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ფანებმა ისარგებლეს ტრადიციით, რომელიც ტერნანაში დამკვიდრდა - ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ გულშემატკივარს ფეხბურთელების გასახდელში თავისი კერპის ნახვის უფლება ეძლევა. სწორედ ამით ისარგებლეს ხულიგნებმა.

ეს იტალიაში ფეხბურთელთა ცემის პირველი შემთხვევა არ არის. ოლივეირას ინციდენტამდე ორი კვირით ადრე ნეაპოლის "სან-პაოლოს" სტადიონის ავტო სადგომთან სცემეს "ნაპოლის" ფეხბურთელს, ბალდინის. ამ შემთხვევის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, იტალიელმა ფეხბურთელებმა უახლოესი ტურის მატჩების დაწყება 15 წუთით შეაყოვნეს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერც ამან დააშოშმინა ფანები.

საერთოდ, ხულიგნურ გამოხდომებს არც სახელოვანი კლუბების ფანები ერიდებიან. შარშანწინ რომაელებმა ნამდვილი ომსტრუქცია მოუწყეს რომის "ლაციოს" და მის ვარსკვლავს, რობერტო მანჩინის.

ჰასელბაინკმა ალბიონზე მოიწყინა

ინგლისის პრემიერლიგის ერთერთ საუკეთესო ბომბარდირს, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს, როგორც ჩანს, ლონდონში მოსწყინდა და ატმოსფეროს შეცვლაზე ფიქრობს. "ჩელსის" ფორვარდი მზად არის, ნებისმიერი სოლიდური კლუბის წინადადება განიხილოს და ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში გადაბარგდეს. "თუ რომელიმე დიდი კლუბი სერიოზული წინადადებით მომმართავს, დავფიქრდები", - განაცხადა ჰასელბაინკმა.

აგვისტოში დიდი ალბათობა არსებობდა, რომ ჰასელბაინკს ლონდონი დაეტოვებინა და ბარსელონაში გადასულიყო, მაგრამ მაშინ შეთანხმება არ მოხდა. თუმცა, ევროპაში სულ მალე სატრანსფერო დერეფანი გაიხსნება და "ბარსელონას" კვლავ ექნება ჰოლანდიელის შეძენის საშუალება.

რაც შეეხება "ჩელსის", ჰასელბაინკმა განაცხადა: "არც ისე ბევრ კლუბს მოუცია ჩემთვის იმდენი გასაქანი, რამდენიც "ჩელსიმ" მიბოძა. ვიცი, რომ კლაუდიო რანიერის ვჭირდები. უფრო სწორად, მას ჩემი გოლები სჭირდება. მიმდინარე სეზონში მწვრთნელმა რამდენჯერმე სათადარიგოთა სკამზეც დამტოვა იმ მოტივით, რომ ჩემზე სხვა ევროპულ კლუბებს ნაკლები ყურადღება გაემახვილებინათ, მაგრამ "ჩელსის" ფულიც სჭირდება. ასე რომ, თუ სერიოზული წინადადება იქნება, გამყიდიან".

მოკლედ

ინგლისური "ვესტ ჰემის" მწვრთნელმა, გლენ როდერმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი კლუბი გაბრიელ ბატისტუტასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. "მე არ ვიცი, საიდან გავრცელდა ასეთი ინფორმაცია, მასთან საუბარი არასდროს მქონია. ის ბოლო დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, მაგრამ ჩვენს კლუბს არ სჭირდება", - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას როდერმა.

■ ■ ■

იაპონიის ნაკრების თავდამსხმელმა, ნაიჰირო ტაკაჰარამ გერმანულ "ჰამბურგთან" გააფორმა კონტრაქტი. "ჯუბილო ივატას" ყოფილმა ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან 2,5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის განმავლობაში ის 1,3 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

"ლიონის" ფორვარდი სონი ანდერსონი, ფეხის ტრავმის გამო, გაურკვეველი დროით ჩამოშორდა ფეხბურთს. ბრაზილიელმა ფორვარდმა საფრანგეთის ჩემპიონატის "სედანის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში მიიღო ტრავმა. ექიმთა განცხადებით, ანდერსონი თამაშს, სულ მცირე, სამი თვე ვერ შეძლებს, დანარჩენი კი აღდგენით პროცესზეა დამოკიდებული.

■ ■ ■

ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერის, "რეალ სოსიედადის" მწვრთნელი, რეინალ დენუიე აცხადებს, რომ მისი გუნდი პრიმერა დივიზიონის მოგებას არ გეგმავს. "ჩვენთვის მთავარია, ყოველ მატჩში წინაზე უკეთესი თამაში ვაჩვენოთ. სწორედ საამისოდ ვიღწვით. ჩემპიონატის ლიდერები რომ ვართ, სასიამოვნო სიურპრიზია", - აღნიშნა მწვრთნელმა.

■ ■ ■

ინგლისური "ბლექბერნი" თავის ახლად შეძენილ ფეხბურთელს, თურქ ჰაკან შუქურს ორი თვით მოისაკლისებს. თურქმა ფორვარდმა გუშინ ფეხი მოიტეხა და მისი ახალ კლუბში დებიუტი, დაახლოებით, ორი თვით გადაიდო.

■ ■ ■

ჩინეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი, ჰოლანდიელი არი ჰაანი გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ გაავრცელა ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა. წინასწარი ინფორმაციით, ჰოლანდიელი სპეციალისტი გასამრჯელოდ წელიწადში 750 000 დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

ინგლისის "ბოლტონში" გასინჯვაზე მყოფმა ვლადიმირ ბესჩასტნიხმა "ბრედფორდთან" მატჩში თავის, სავარაუდოდ, ახალ კლუბს გატანილი გოლით ფრე მოაპოვებინა. ბესჩასტნიხის გარდა, ინგლისელებს უკრაინელი ალექსანდრ გოლოვკოს ყიდვაც უნდათ, თუმცა კიეველები მცველის გაყიდვას ჯერჯერობით უარობენ.

■ ■ ■

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი, რონალდო კლუბის მიერ დაისჯება იმის გამო, რომ "რეალისა" და მსოლფიო ნაკრებთა მატჩის შემდგომ უგზო-უკვლოდ გაქრა და კლუბის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სადილს არ დაესწრო.

■ ■ ■

"მანჩესტერ იუნაიტედს" ბრაზილიელი მცველის, კაფუს შეძენა სურს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრიტანულმა საინფორმაციო წყაროებმა გუშინ გაავრცელეს. შეგახსენებთ, რომ მცველს თავის ახლანდელ კლუბთან, "რომასთან" 1 იანვარს უმთავრდება კონტრაქტი და, სავარაუდოა, რომ იგი იტალიაში აღარ გააგრძელებს ასპარეზობას.

■ ■ ■

რუუდ ვან ნისტელროის გუშინდელმა განცხადებამ ინგლისში დიდი გაკვირვება გამოიწვია. ფეხბურთელის თქმით, მას "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ ჰოლანდიაში დაბრუნება და თავის ყოფილ კლუბში - "ეინდჰოვენში" კარიერის გაგრძელება სურს. ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელობას ასეთი განცხადება არ ესიამოვნა, რადგან ჰოლანდიელი ფორვარდისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებდა, რომლის მიხედვითაც, ის კვირაში 70 000 გირვანქა სტერლინგს მიიღებდა.

კარლოს ბიანკის "ბოკა" ელოდება

მოვლენები კარლოს ბიანკისა და ესპანეთის "ბარსელონას" ირგვლივ ელვის სისწრაფით იცვლება. არგენტინელ სპეციალისტს, ლუის ვან გაალის შემცვლელად მოიაზრებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიანკის "ბოკა ხუნიორსში" ელოდებიან. კარლოს ბიანკი "ბოკა ხუნიორსს" 1998-2001 წლებში წვრთნიდა და მასთან ერთად ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგო, ბოლოს კი უმუშევარი იყო.

არგენტინული კლუბის პრეს-ატაშე, ივან პავლოვსკი Reuters-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ "ბოკას" პრეზიდენტმა მაურიციო მარკიმ ბიანკისთან მოლაპარაკება გამართა და მას კონტრაქტიც კი გადასცა. ბიანკი ორშაბათს გადაწყვეტს, ჩაუდგება თუ არა მარადონას ყოფილ კლუბს სათავეში.

ახლა უკვე ყველაფერი "ბარსას" პრეზიდენტ ჟოან გასპარზე იქნება დამოკიდებული. გასპარი აცხადებდა, რომ "მალიორკასთან" მატჩის შედეგის მიუხედავად, ლუის ვან გაალს თანამდებობას დაატოვებინებდა. ვან გაალის გუნდმა კუნძულელები დაამარცხა და, როგორც ჩანს, პრეზიდენტის გულიც მოიგო, რამდენი ხნით - ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ გასპარმა ვან გაალი თანამდებობაზე დატოვა. ესე იგი, კარლოს ბიანკის მოცდა მოუწევს. თუ დღეს ბიანკი "ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელობას გადაწყვეტს, მაშინ ვან გაალი "ბარსელონას" სათავეში დარჩება.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟოან გასპარმა ლუის ვან გაალი თანამდებობაზე დატოვა და მომავალში "ბარსელონას" მისი ხელმძღვანელობით მოუწევს თამაში. ვან გაალი გასპართან მოლაპარაკების შემდეგ საშობაო არდადეგებზე სამშობლოში გაემგზავრა. სავარაუდოდ, ოკეანის გაღმა ყოფნისას კარლოს ბიანკი "ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელობას დათანხმდება.

ლუის ვან გაალი

კარლოს ბიანკი

დელ ბოსკემ გუნდი არდადეგებზე გაუშვა

გუშინ მადრიდის "რეალმა" უაღრესად მომქანცველი მატჩი ჩაატარა მალაგაში, სადაც ადგილობრივი გუნდი (3:2) დაამარცხა, მაგრამ - დიდი ჯაფის ფასად. მადრიდელები პირველი ტაიმის შემდეგ 0:2 აგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვეული თამაშის შედეგად მატჩში გარდატეხა შეიტანეს და ზიდანის, რაულისა და ფიგუს გოლებით გაიმარჯვეს.

"სამეფო კლუბის" მთავარმა მწვრთნელმა, ვისენტე დელ ბოსკემ შეხვედრას ასეთი კომენტარი გაუკეთა:

"ჩვენთვის თამაში უაღრესად რთულად წარიმართა. "მალაგამ" პირველი ორი გოლი გაიტანა. საერთოდ, მატჩის პირველი ტაიმი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და დამსახურებულად მოგვიგო. ამ ვითარებაზე ჩვენმა რეაგირებამ სასურველი შედეგი გამოიღო და მეორე ნახევრის პირველ 6-8 წუთში "მალაგას" კართან რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შევქმენით. მეორე ტაიმი მთლიანად ჩვენი იყო. გუნდმა თამაშის მაღალი ხარისხი და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება აჩვენა. მეორე ტაიმში უფრო კონცენტრირებულები ვიყავით; პრესინგსაც ხშირად მივმართავდით და საბოლოოდ "მალაგაც" "მოეშვა". პირველ ტაიმში კი, პრაქტიკულად, არ დავრბოდით. ზიდანის შეუდარებელმა გოლმა საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნა, გუნდის კოლექტიურმა თამაშმა კი გამარჯვება მოგვაპოვებინა.

შესვენებაზე რა ვთქვი? ფეხბურთელთა შეფუცხუნებისა და კრიტიკის აუცილებლობა არ იყო. უბრალოდ, მათ შეგნებამდე მისვლა დამჭირდა - იმის გარკვევა, თუ რატომ ვერ იგებდნენ ჩემი ფეხბურთელები - დაცვაში თამაშობენ სუსტად, თუ შეტევაში გადასვლა უჭირთ", - განმარტა დელ ბოსკემ.

მადრიდის "რეალს" საშობაო არდადეგები დაეწყო. ფეხბურთელთა განკარგულებაში მთელი 6 დღეა. 29 დეკემბერს კი ისინი "სიუდად დეპორტივაში" შეიკრიბებიან და 2 იანვარს "სევილიასთან" შესახვედრად მოემზადებიან.

"მალაგასთან" მატჩის შემდეგ - ზინედინ ზიდანი, სანტიაგო სოლარი, რონალდო, რობერტო კარლოსი, ფლავიო კონსეისაო და სტივ მაკმანამანი, ძირითად ჯგუფს გამოეყვნენ და თავ-თავიანთ სამშობლოში გაემგზავრნენ.

რაულმა ანგარიში გაათანაბრა

REUTERS

კარდოზო - მსოფლიო რეკორდსმენი

პარაგვაელი ხოსე კარდოზო, რომელიც მექსიკური "ტოლუკას" ღირსებას იცავს, ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. მექსიკის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში კარდოზომ თავისი 50-ე გოლი გაიტანა და გააუმჯობესა ბოლივიელი ხოაკინ ბოტეროს მიღწევა, რომლის ანგარიშზეც 49 გოლი იყო.

კარდოზოს გოლი იმითაც ფასეულია, რომ მან "ტოლუკას" ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები მოაპოვებინა. მას შემდეგ, რაც "ტოლუკამ" პირველი ფინალური შეხვედრა "მორელიასთან" გასვლაზე მინიმალური ანგარიშით - 0:1 დათმო, საკუთარ მინდორზე საბოლოო წარმატების მისაღწევად, მინიმუმ, ორი ბურთით გამარჯვება სჭირდებოდა. სტუმრებმა შეხვედრის დასაწყისში დაამწუხრეს ადგილობრივი გულშემატკივრები დებიუტშივე გახსნილი ანგარიშით, მაგრამ მასპინძლები გამოცოცხლდნენ და "მორელიას" კარში ორი საპასუხო გოლი გაიტანეს. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ იყო გამარჯვება - "ტოლუკას", 2002 წლის საუკეთესო გუნდის ტიტულის მოსაპოვებლად, ერთი გოლი კიდევ სჭირდებოდა.

სწორედ გადამწყვეტ მომენტში გაიბრწყინა პარაგვაელმა გოლეადორმა. შეხვედრის 51-ე წუთზე კარდოზომ მეტოქის საჯარიმო მოედანზე მიიღო ბურთი და ზუსტი, მოჭრილი დარტყმით მესამედ აიღო სტუმართა კარი. კარდოზომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გულშემატკივრებმა კი შვებით ამოისუნთქეს. სხვათა შორის, კარდოზო საგოლე გადაცემის ავტორიც გახდა, რომელმაც მასპინძელთა უპირატესობა გამანადგურებელი გახადა - 4:1.

ხოსე კარდოზო

REUTERS

მსოფლიო რეკორდსმენმა, რომელიც მესამედ გახდა მექსიკის საუკეთესო ბომბარდირი, თავის მიღწევას ასეთი კომენტარი გაუკეთა, - "გოლები მუხლჩაუხრელი შრომისა და თანაგუნდელთა დახმარების წყალობით გამაქვს. მე ბედნიერი ვარ".

რუსულ-უკრაინული როკი

მოსკოვის "სპარტაკი" და კიევის "დინამო" ურთიერთსიყვარულით არასდროს გამოირჩეოდნენ, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მათ შორის არსებული ურთიერთობა უაღრესად დაძაბა. დმიტრი სიჩოვთან არსებულ გაუგებრობას გუშინ კიდევ ერთი, ვლადისლავ ვაშჩუკთან დაკავშირებული ამბავი დაემატა.

"სპარტაკის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კიეველმა ვაშჩუკმა მოსკოვურ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გუშინ კი უკრაინული კლუბის ხელმძღვანელობამ გაავრცელა ცნობა, რომ "სპარტაკს" არ მიუმართავს მათთვის ვაშჩუკის ყიდვის წინადადებით. ესე იგი "დინამოს" არ გაუყიდია ის და ფეხბურთელი კვლავაც უკრაინული კლუბის საკუთრებად რჩება. რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ვითარება შეიქმნა, მაგრამ, ზოგის აზრით, დმიტრი სიჩოვთან დაკავშირებით კიეველთა მოქმედებისთვის "სპარტაკს", შეუძლებელი იყო, ანალოგიურით არ ეპასუხა. საქმე ისაა, რომ "სპარტაკისგან" დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი კიეველებმა შეიფარეს და მისი ყიდვაც მოინდომეს, თანაც, არა იმ ფასად, რასაც რუსები ითხოვდნენ, არამედ გაცილებით იაფად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "სპარტაკის" ხელმძღვანელობამ ბოლო მომენტში შეიტყო, რომ სიჩოვი უკრაინულ კლუბში ვარჯიშობდა და იქ გადასასვლელად ემზადებოდა. მოკლედ, რუსები უკრაინელთა მოქმედებით უკმაყოფილონი დარჩნენ და სიჩოვი კიეველებს არ მიჰყიდეს, მიუხედავად იმისა, რომ "დინამო" სიჩოვის ამჟამინდელ კლუბ მარსელის "ოლიმპიკზე" დიდ თანხას სთავაზობდა. თუ სიმართლეა, რომ "სპარტაკმა", კიეველთაგან უჩუმრად, ვლადისლავ ვაშჩუკი შეიძინა, უცნობია როგორ მოახერხეს ეს რუსებმა. ვაშჩუკს "დინამოსთან" 2004 წლის სეზონის დასასრულემდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. "ვაშჩუკს არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ ჰქონდა, გაეფორმებინა ხელშეკრულება "სპარტაკთან". მას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს, თანაც, კიევის "დინამოს" ყველა ფეხბურთელმა მშვენივრად იცის, რომ გუნდის ზურგს უკან მოლაპარაკებები არავისთან არ უნდა აწარმოოს", - ნათქვამია კიეველთა ოფიციალურ განცხადებაში.

უკრაინელ გულშემატკივართა უმეტესობას არ სჯერა ვაშჩუკის "სპარტაკში" გადასვლისა. ვერ წარმოუდგენიათ, "დინამოს" კაპიტანმა საკუთარ გუნდს უღალატოს და სხვაგან გადავიდეს, მით უმეტეს - "სპარტაკში", რომელიც "დინამოზე" სახელოვანი და მაღალი კლასის გუნდი არ არის.

კრივი

კანდელაკმა დიდსულოვანი რუსი დაამარცხა

შაბათს სანკტ პეტერბურგში, "იუბილეინის" დარბაზში კრივის მსოფლიო კავშირის (WBU) საჩემპიონო ქამრის ორთაბრძოლით რუსეთის კრივის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ტიტულისთვის ორთაბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ მასპინძელი, WBU კავშირის ინტერნაციონალის საჩემპიონო ქამრის მფლობელი მძიმე წონაში, ალექსანდრ ვასილევი და პირველი ქართველი პროფესიონალი მოკრივე, გიორგი კანდელაკი.

გიგა გურასაშვილი

"იუბილეინის" დარბაზში ვასილევისა და კანდელაკის შერკინების საცქერლად თავშეყრილი მაყურებელი მომქანცველი 12-რაუნდიანი ორთაბრძოლის მოწმე გახდა. კრივის მსოფლიო კავშირის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის დაპირისპირებისას კანდელაკმა მეტოქე დასკვნით რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. გარდა იმისა, რომ კანდელაკი პროფესიონალთა შორის პირველი ქართველი ჩემპიონი გახდა, მან გამოცდაც ჩააბარა - ქართველ მოკრივეს ვასილევთან დაპირისპირებამდე 22 ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული, მაგრამ 12 რაუნდამდე საქმე არასდროს მისულა. ჩვეულებრივ, იგი მოწინააღმდეგეს საწყის რაუნდებში უსწორდებოდა, ყველაზე დიდი, რვა რაუნდიანი ორთაბრძოლა თუ ჩაუტარებია და ისიც - ორჯერ.

შაბათის დაპირისპირებაც შეიძლებოდა დროზე ადრე დასრულებულიყო, თუნდაც მაშინ, როდესაც მეორე რაუნდში კანდელაკმა ვასილევს წარბი გაუხეთქა. ქართველ მოკრივეს ეგონა, მსაჯები ბრძოლას შეწყვეტდნენ, მაგრამ შეხვედრა 12 რაუნდამდე გაგრძელდა. კანდელაკის თქმით, დაპირისპირებაში გარდატეხა მეოთხე-მეხუთე რაუნდებისას მოხდა - ყველაზე მეტად მას ამ დროს გაძნელებია მეტოქესთან ბრძოლა. შეხვედრის დასრულებამდე მეტოქეებს ერთმანეთი საკმაოდ დაუსისხლიანებიათ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ყოფილა რუსი მოკრივე, რომელსაც ბევრი სისხლი დაუკარგავს. წაგებისა და დაჟეჟილი ცხვირ-პირის მიუხედავად, ვასილევს გულში წყენა არ ჩაუდევს და ქართველი მოკრივისთვის გამარჯვება დიდსულოვნადაც მიულოცავს. შენობიდან გასვლისას კი კანდელაკს და მის ამალას ვასილევი წამოწევია, დამარცხებელს გადახვევია და იქვე ყველას გასაგონად განუცხადებია, - მიყვარხართო.

ვასილევის საქციელით სახტად დარჩენილები კი, თურმე, ერთმანეთს გაოცებულები შესცქეროდნენ და ამბობდნენ, - ვიცოდით რუსი მოკრივე რინგზე ამტანიანობით რომ გამოირჩეოდა, მაგრამ არ გვეგონა, თუ ასეთი თბილი ადამიანიც იქნებოდაო. სხვათა შორის, ვასილევს ერთი უცნაურობა ახასიათებს - გადამწყვეტი ორთაბრძოლების მოგება მას არ უჭირს, მაგრამ როცა რინგზე სუსტ მეტოქეს ხვდება, ხშირად წაგებული ბრუნდება. ამას, ბუნებრივია, კანდელაკის გამარჯვების დასაკნინებლად არ ვამბობთ, მით უმეტეს, რომ მან საჩემპიონო ქამარი დამსახურებულად მოიპოვა, უბრალოდ, რუსი მოკრივის უჩვეულო თავისებურებაზე მოგახსენებთ.

რაც შეეხება ქართველ მოკრივეს, არაერთხელ გვითქვამს, რომ მისი ნაკლი სუნთქვის პრობლემაა და მის ფიზიკურ გამძლეობაშიც ეჭვი გვეპარებოდა. კანდელაკმა კი 12 რაუნდიან ბრძოლას გაუძლო და, როგორც ვასილევთან ბრძოლის შემდეგ თავად აღნიშნა, ამჯერად არც სუნთქვის პრობლემას შეუწუხებია, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მას წინ გაცილებით დიდი პაექრობები ელის.

და კიდევ, შეგახსენებთ კანდელაკის ადრეულ ბრძოლებს - ვასილევთან დაპირისპირებამდე მას 22 ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული, აქედან 5- ნოკდაუნით, 11 - ტექნიკური ნოკაუტით, 6 კი ქულებით აქვს მოგებული. ერთი სიტყვით, მას არც ერთი წაგება არ აქვს. კანდელაკის რუს მეტოქეს კი, 25 ბრძოლიდან, მოგებული ჰქონდა 15, 9 - წაგებული და ერთიც - ფრედ დასრულებული.



გიორგი კანდელაკი და ალექსანდრ ვასილევი აწონვისას

იუბილე

ჩემპიონი მწვრთნელი

ქართული სპორტის ავანგარდში რომ მოჭიდავეები დგანან, რა თქმა უნდა, ამაში ლომის წილი მწვრთნელებს მიუძღვით. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ამაგდარ მწვრთნელს, ჯონი რეხვიაშვილს გუშინ 60 წლის იუბილე მიულოცეს.

გიგა გურასაშვილი

როგორც წესი, ყველა მწვრთნელი საკუთარი ხელწერით გამოირჩევა, ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჯონი რეხვიაშვილი. ქართულ საჭიდაო ოჯახში ყოველთვის თავმდაბლობით ცნობილ მწვრთნელს დაბადების დღე მიულოცეს ვეტერანებმა, მისი თაობის სპორტსმენებმა და მისივე აღსაზრდელებმა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რეხვიაშვილი ქართულ საჭიდაო სკოლაში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელია. საკუთარ აღსაზრდელების მიმართ სიმკაცრით განთქმულ მწვრთნელს ოთხი ათეული წლის განმავლობაში არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღუზრდია. სახელოვანი მწვრთნელი საყვარელ საქმეს დღესაც ძველებურად აგრძელებს და თავის საქმის ფანატიკოსია. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, ომზარ შოშიტაიშვილი სახტად დარჩენილა, როდესაც, ფალავანთა კლუბში მისულს, რეხვიაშვილი საკუთარი იუბილეს დღეს, დილის 8 საათზე ბიჭების წვრთნის პროცესში უნახავს.

მის აღზრდილთა შორის 50-ზე მეტი საბჭოთა კავშირისა და 10 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. რეხვიაშვილის შეგირდთაგან პირველ უმთავრეს ტიტულს - მსოფლიოს ჩემპიონობას, გურამ გედეხაური დაეუფლა. ეს იყო გასულ საუკუნეში - 1967 წელს. მუხრან ვახტანგაძე კი 2001 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, ქართულ ბერძნულ-რომაულ საჭიდაო სამყაროში, გედეხაურიდან ვახტანგაძემდე შუალედში, მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება საქართველოს სხვა წარმომადგენელებს არც უზეიმიათ. მსოფლიო ჩემპიონების აღმზრდელს მსოფლიო თასის გამარჯვებული, ზაურ ივანიშვილიც ჰყავს გაზრდილი. ისე კი, რეხვიაშვილისთვის ყველაზე წარმატებული, ალბათ, 2001 წელი აღმოჩნდა - გარდა იმისა, რომ შარშან ვახტანგაძემ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, იმავე წლის გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონი გახდა ალექსანდრე დოხტურიშვილი. გუშინ სამივე ჩემპიონი მწვრთნელთან ერთად იზიარებდა მის სიხარულს.

ჯონი რეხვიაშვილი

გამოქვეყნდა ხელოვნების ფოტოში

რაგბი

მამუკა მაგრაქველიძე ვენდეტასთვის ემზადება

მამუკა მაგრაქველიძესთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალი ერთი კვირის წინ დასრულდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოძახილი მაინც ექნება. საქმე ისაა, რომ ქართველი მორაგბე, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის გამო, თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ სასამართლოში აპირებს ჩივილს. ამის შესახებ მან გაზეთ "სუდ უესტთან" საუბარში განაცხადა.

ჰაატა თოთაძე

"ფრანგული პროფკავშირი რომ არა, არავინ იცის, დღეს სად და როგორ ვიქნებოდი. მათი დაჟინებული მოთხოვნით და დახმარებით ბორდოში ანალიზი ჩავიტარე, რომლითაც საბოლოოდ დადგინდა, რომ დოპინგის მომხმარებელი არ ვიყავი. საშინლად განვიცადე, როცა, პოლიციელების თქმით, ნივთიერება, რომელიც ფოსტით მივიღე და გამოვიტანე, აკრძალული პრეპარატი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მათ ეს განზრახ გააკეთეს, რადგან იმ მომენტში არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რა იყო ამანათში. ისიც კი არ ვიცოდი, იმ ნივთიერებას ანალიზი თუ უკეთდებოდა. ყველაფერი მოგვიანებით დადგინდა –უბრალო ასპირინი იყო. როცა ეს ამბავი შემატყობინეს, ისეთი ბედნიერი ვიყავი, სიხარულისგან არ ვიცოდი რა მექნა", - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მაგრაქველიძემ.

მის განცდებზე ყოფილი კლუბის, "ოშის" მწვრთნელი, ანრი ბრონკანიც საუბრობს: "მამუკა დათრგუნული იყო. ასეთი ის არასდროს მინახავს. მას საკმაოდ კარგად ვიცნობ და მუდამ მჯეროდა მისი უდანაშაულობის. "ბრივიდან" გათავისუფლების შემდეგ მაგრაქველიძეს თამაშიც კი აღარ უნდოდა. მე მას "ოშში" დაბრუნება შევთავაზე, მაგრამ თამაშის გაგონებაც კი არ უნდოდა. ერთი პერიოდი, საერთოდ, რაგბიდან წასვლაზე ფიქრობდა, თუმცა, მადლობა ღმერთს, გადაიფიქრა. ვერ გამიგია, "ბრივმა" გამოძიების დასრულებამდე რატომ გაუწყვიტა ხელშეკრულება. არაფრის მტკიცება არ მინდა, მაგრამ ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მას ეს განზრახ მოუწყეს".

მაგრაქველიძეს ეს განგებ გაუკეთეს, უბრალო გაუგებრობის მსხვერპლი გახდა, თუ რაიმე სხვა მიზეზი იყო, მომავალი გვიჩვენებს. ფრანგების თქმით, ისინი არ აპირებენ გამოძიების შეწყვეტას და ყველანაირად ეცდებიან, ამანათის გამომგზავნი გამოავლინონ.

"აშკარაა, ვიღაცას ჩემი კარიერის გაფუჭება უნდოდა. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო. დოპინგი არასდროს მიხმარია, ეს ანალიზებმაც დაადასტურა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი სამართლიანად დასრულდა", - აღნიშნა ქართველმა მორაგბემ.

რა იქნება მომავალში? დაადგენენ კი ფრანგი სამართალდამცველები ამანათის გამომგზავნის ვინაობას? ან რატომ იყო ანდორადან გამოგზავნილ ამანათზე რუსული წარწერა? - ამჟამად მაგრაქველიძეს და მის გულშემატკივრებს ეს აღელვებთ. ქართველს ამ საქმის ბოლომდე მიყვანას "მონპელიე ჰპირდება. "ბრივიდან" წასვლის შემდეგ იგი სწორედ "მონპელიემ" შეიფარა და არც უნანიათ, რადგან მაგრაქველიძე უკვე გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. ყველაფერი დროის ამბავიაო, - ირწმუნებიან ფრანგები. მანამდე კი, სანამ ამ საქმისა რამე გაირკვეოდეს, მაგრაქველიძე სასამართლოში აპირებს ჩივილს. "ანგარიშის გასწორების დრო დადგა. "ბრივმა" ჩემთვის ყველაზე რთულ მომენტში მიმატოვა, თანაც - უსამართლოდ და ამისათვის პასუხს ვაგებინებ. ამის შესახებ უკვე ვესაუბრე ჩემს ადვოკატს და სარჩელს სასამართლოში უახლოეს მომავალში შევიტან. კლუბიდან უსაფუძვლოდ დამითხოვეს, "ბრივს", სანამ ჩემი დანაშაული არ დამტკიცდებოდა, ხელშეკრულების დარღვევის უფლება არ ჰქონდა. აქ ფულზე არ არის საუბარი. კლუბის ხელმძღვანელობის საქციელმა კინაღამ რაგბი მიმატოვებინა, ნაკრებში კი ადგილი დამაკარგვინა. ახლა ვეცდები, ყველაფერი ავინაზღაურო", - უკან დახევას არ აპირებს ქართველი მორკინალი.

მამუკა მაგრაქველიძემ სარჩელი აღძრა

ვრცლად

ჟურნალისტები კოსტელიჩს ირჩევენ

სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS) ტრადიციული, ყოველწლიური გამოკითხვა ჩაატარა და წლის საუკეთესო სპორტსმენები და გუნდი გამოავლინა. გამარჯვებულები დაფნის გვირგვინით დაჯილდოვდებიან, რომელიც საბერძნეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ დააწესა.

წლის საუკეთესო სპორტსმენებად სამთო-მოთხილამურეები - მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი ბიატლონისტი, ოლე-ეინარ ბიორნდალენი და სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ხორვატი იანიცა კოსტელიჩი აღიარეს. 2002 წლის საუკეთესო გუნდის ნომინაციაში პირველობა ერგო ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ჩემპიონის ტიტული მეხუთედ მოიპოვა.

ევროპის საუკეთესო სპორტსმენები

მიხაელ შუმახერმა, რომელმაც წელს თავისი მეხუთე ჩემპიონატი მოიგო, დიდი აღიარება მოიპოვა. ჟურნალისტთა გამოკითხვის მიხედვით, "ფერარის" გერმანელი პილოტი "ევროპის წლის სპორტსმენად" დაასახელეს. ეს შუმახერისთვის პირველი ჯილდო არ არის. შუმახერმა 62 ქულა მოაგროვა და თავის უშუალო კონკურენტს, ბიატლონისტ ოლე-ეინარ ბიორნდალენს (40 ქულა) დიდი უპირატესობით აჯობა. აღნიშნული ტიტული მიხაელ შუმახერისთვის მეორეა. პირველი მან 1994 წელს მოიპოვა, როცა თავისი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო.

ქალთა შორის მაღალი ჯილდო ხორვატ სამთო-მოთხილამურეს, ზამთრის ოლმპიური თამაშების ოთხი ოქროს მფლობელ იანიც კოსტელიჩს ერგო. მან საკმაოდ დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა ინგლისელი მორბენალი, მსოფლიო რეკორდსმენი, პოლა რედკლიფი.

მოკლედ

კალათბურთი. "დეტროიტ პისტონსის" იუგოსლავიელი ცენტრი, ჟელკო რებრაჩა "ნიუ-ჯერსისთან" მატჩის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა. კალათბურთელი გულმა შეაწუხა. მატჩის შემდეგ რებრაჩას კარდიოგრამა გადაუღეს, მაგრამ გულის მოქმედების რაიმე სერიოზული დარღვევა ვერ აღმოუჩინეს. ექიმების დასკვნით, იუგოსლავიელს არითმია აქვს.

■ ■ ■

კალათბურთი. რებრაჩასგან განსხვავებით, ჯანმრთელადაა "კლივლენდის" ლიტველი გიგანტი, ჟიდრუნას ილგაუსკასი, რომელიც მოედანზე ჩხუბსაც კი არ თაკილობს. ილგაუსკასი "ბოსტონელ" პოლ პირსთან ჩხუბისთვის მოედნიდან გააძევეს. მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ილგაუსკასმა პირსის ტყორცნა დაბლოკა, რის შემდეგაც პირსს ბურთი და ლიტველის ხელი თვალში მოხვდა. უკმაყოფილო პირსმაც შესაბამისი რეაქცია მოახდინა და მუშტი-კრივიც ამით დაიწყო. შეხვედრის არბიტრმა ორივე კალათბურთელი მოედნიდან მიაბრძანა.

■ ■ ■

ფორმულა 1. 1992 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ნაიჯელ მენსელი, შეიძლება, ფორმულა 1-ს დაუბრუნდეს. 49 წლის მენსელი მზად არის, რომელიმე გუნდის კონსულტანტი გახდეს. მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში მენსელმა 185 გრან-პრიში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 31 მოიგო. 1992 წელს მან მსოფლიო ჩემპიონის ერთადერთი ტიტული მოიპოვა, ერთი წლის შემდეგ კი ინდიკარის ამერიკული სერიის ჩემპიონიც გახდა. 1995 წელს მენსელმა ფორმულა-ში პილოტის ამპლუით დაბრუნება განიზრახა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

■ ■ ■

ფორმულა 1. ორმა ირლანდიელმა პილოტმა - რალფ ფილმანმა და რიჩარდ ლიონმა, შესაძლოა, ედი ირვინის "ჯორდანში" დაბრუნებას შეუშალოს ხელი. მას შემდეგ, რაც ამ ინგლისურ-ირლანდიული გუნდიდან ტაკუმა სატო "ბარში" გადაბარგდა და გუნდში ერთადერთი მრბოლელი, ჯანკარლო ფიზიკელა დარჩა, სწორედ ედი ირვინს ასახელებდნენ მეორე პილოტად. თუმცა, "ჯორდანის" ხელმძღვანელობა ამ დროისთვის ოთხ კანდიდატურას განიხილავს. ჩვენს მიერ დასახელებული გვარების გარდა, ენტონი დევიდსონის კანდიდატურაც განიხილება. სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ირვინს, როგორც გამოცდილ პილოტს, გუნდში დამკვიდრების ყველაზე რეალური შანსი აქვს.

■ ■ ■

კრივი. WBA-ის ვერსიით, მსუბუქ წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ჯოელ კასამაიორმა ხუთი რაუნდით დაამარცხა მექსიკელი იონი ვარგასი. ბრძოლა მაიამიში გაიმართა. კასამაიორმა მთელი თავისი ოსტატობა მეტოქის დაღლას მოანდომა. ეს იყო მეორე ბრძოლა მას შემდეგ, რაც მან 12 იანვარს მსოფლიო ჩემპიონის ქამარი ასელინო ფრეიტასს დაუთმო. ამჟამად 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონის მონაგარი 29 ბრძოლაში 28 გამარჯვებაა. ამათგან 18 შეხვედრა მან ნოკაუტით დაასრულა. კასამაიორმა, რომელიც უფრო ტექნიკური კრივის მიმდევარია, მეხუთე რაუნდში ვარგასი ორჯერ გაუშვა ნოკდაუნში.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპების შვიდგზის გამარჯვებულმა, შვედმა სამთო-მოთხილამურემ, ფრედრიკ ნიუბერგმა კვირას, იტალიური ალტა-ბადიას ტრასაზე დაცემის გამო, ტრავმა მიიღო. თავიდან ექიმებმა 33 წლის სპორტსმენს მხოლოდ მცირე დაზიანებების დიაგნოზი დაუსვეს. თუმცა, უფრო დეტალური შემოწმების შემდეგ ნიუბერგს მენჯის არეში სერიოზული დაზიანება დაუდგინეს.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. გუშინ შვეიცარიულ ლინცერჰაიდში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იანიცა კოსტელიჩმა სმმაგი გამარჯვება იზეიმა. მან ჯერ სლალომი მოიგო, შემდეგ კომბინაციაშიც საუკეთესო იყო და ბოლოს მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაშიც გაიმყარა პოზიციები.

■ ■ ■

ჰოკეი. "ვანკუვერის" წამყვანი მეკარე, დენ კლუტიე, რომელიც NHL-ში ამ სეზონზე გამარჯვებების (17) რიცხვით ლიდერობს, კლუბის ხელმძღვანელობამ ტრავმირებულთა სიაში შეიყვანა. მუხლის ტრავმა მას თამაშის საშუალებას არ აძლევს. ამრიგად, გუნდის ძირითადი მეკარე, ლატვიელი პეტერ სკუდრა გახდა, რომელიც "ედმონტონის" წინააღმდეგ ზედიზედ მეორედ გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში. "მანიტობის" გუნდის ფარმ-კლუბიდან სკუდრეს საშველად ტაილერ მოსი გამოიძახეს. კლუტიე "ვანკუვერისთვის" მესამე სერიოზული დანაკლისია. ადრე ტრავმები მიიღეს - ფორვარდმა, ტრევორ ლინდენმა და მცველმა, მატიას ოლუნდმა.



აფიშა

საკონცერტო დარბაზები

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი

კამერული მუსიკის საღამო

ჟერომ პერნო (ჩელო), ჟერომ დიუკრო (ფორტეპიანო) საფრანგეთი

პროგრამაშია; ბეთჰოვენის ნაწარმოებები

დას: 19:00 სთ; ფასი 4,6,8,10 ლარი

თეატრები

რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"

დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

საგამოფენო დარბაზები

N გალერეა

ფოტომოყვარულთა გამოფენა-კონკურსი "ქოლგა"

ეროვნული გალერეა

მანანა თავაძისა და თენგიზ მირზაშვილის გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

გალერეა „ვერნისაჟი„

საიუბილეო გამოფენა "ვერნისაჟი 5 წლისაა"

გალერეა „უნივერსი„

"პალერმოს გამოფენა 15 წლის შემდეგ", ფარჭიანი, მატაბელი, ბუღაძე, ჭოლოშვილი

თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ორიენტი„

საქველმოქმედო გამოფენა

კინოთეატრები

„ამირანი„

"ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"

დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 6,7 ლარი

"24 საათი", როლებში; შერლი სტერონი, კევინ ბეიკონი

დას: 15:00; 21:00სთ; ფასი 5,7 ლარი

„რუსთაველი„

მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"

დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ

დას: 19:00; 21:30 სთ. ფასი 5, 7 ლარი

„ელისო„

მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი"

დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ

დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი

"შემთხვევითი მილიონერი"

დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

სადილი ყველას

კვირას 29 დეკემბერს "კათარზისი" კვლავ იწვევს ნებისმიერ მსურველს სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე, სადაც ცხელ გემრიელ სადილს შესთავაზებენ.

ამჯერად თქვენ გიმასპინძლებთ ფოთის პორტი.

დარეკეთ 11-დან 17 საათამდე 95-16-45.
დავით აღმაშენებლის 121.

ბინები

იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ხრუშოვკის ტიპის 3 ოთახიანი კუთხის ბინა, მიშენებით, ბუნებრივი აირით. ქავთარაძის 20-ში. ტელ: 32-96-06.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

იყიდება ბინა, ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

გირავდება დოლიძეზე საკუთარი სახლი პატარა ეზოთი, 3 ოთახით, მ/დენითა და წყლით, ბ/აირით. ფ. 5000$. ტ: 33-11-33; 893 205491.

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

სწავლება

შეგასწავლით!

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71.

ვასწავლი გარმონზე დაკვრას, როგორც ქალბატონებს, ისე მამაკაცებს ნებისმიერ ასაკში და შეღავათიან ფასებში. ტ: 899 94-65-75 ვანო.

ვასწავლი ინგლისურს შეღავათიან ფასად. 78 40 42

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადებს აბიტურიენტებს საზოგადოებათმცოდნეობაში შეღავათიან ფასად. ტელ: 75-72-63 ნინო (საღამოს).

სხვადასხვა

იყიდება მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერის გამოსხივებისგან დამცავი საშუალება, სიმაღლის მოსამატებელი პროდუქტები. ტელ: 95-79-32, 893 365-357, ქეთინო.

რადიკულიტი, იშიაზი – მალამო "რადიში" იკითხეთ აფთიაქებში ან დარეკეთ 51-66-58 კურიერი. ლიცენზია N00010.

იყიდება კომპიუტერი Pentium 1. საწყისი ფასი 120$. ტელ: 30-56-90, ზურა .

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

TV პროგრამა 23 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 პაწაწინა ონავრები
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 ალფი
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 პაწაწინა ონავრები
18.50 ჰერაკლე
19.20 მედისონის სკოლა
19.50 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "უკანასკნელი ცდუნება" მთ.როლებში ლინდა ფიორენტინო, ბილ იულმენი
02.30 კლასიკა.

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
10.00 მხ. ფილმი "სიყვარულის ტყვე ქალი"
11.30 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნებრივი დიდებულება"
14.30 "საქართველო და გარესამყარო"
15.15 მხ. ფილმი "ტკბილი სიცრუე"
16.45 ტელესერიალი "ძილის წინ"
17.00 "რამპა"
17.05 50-50
17.45 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი "რვაფეხა"
21.50 "დრო და ფული"
22.00 ფრაგმენტები სასამართლო ცხოვრებიდან
22.25 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" - "სახიფათო პროფესიები"
23.00 დღის ბოლოს
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ბრიტანიკი"

პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
08.20 გამ. კვირის საუკეთესო ხულიგანი
10.00 გამ. ინფორმატორი
11.00 გამ. მუსათეული
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 ფილმი კომედია "ტმირებს ყურები არ ეყინებათ"
19.00 გამ. ინფორმატორი
19.30 ვიდეორადიო
21.00 გამ. რუსული მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი კადრი
22.40 პოლიტპაპარაცი
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო "ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით"
01.45 ფილმი ღამურა "მთვრალი განთიადი"
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.25 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "წყლის წონა"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „მიწისქვეშეთში დაკარგული"
10.20 მხ.ფ. „სიყვარულისათვის"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ჯოზი და ფისუნიები"
22.30 ბურთი და მოედანი
22.50 მხ.ფ. „ნუ მოიხედავ"
00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი „შვიდი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „მრბოლელი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „შიშველი პისტოლეტი"
22.30 მხ. ფილმი „ურჩხული"

მესხრე არხი

10.00 მხ. ფილმი „პოლონური ქორწინება"
11.45, 17.30, 21.45, 23.40 მუსიკა
12.00 ქართ. მხ. ფილმი „შერეკილები"
13.15 დოკ. ფილმი „ბორჯომის ფესტივალი"
14.30 მულტფილმი „სამყაროს შექმნა"
15.00 მხ. ფილმი „შეტაკება ცაში"
16.30 დოკ. სერიალი „ველური ბუნება" 58-ე ნაწილი
17.40 მხ. სერიალი „ზურგის ქარი" 29-ე სერია
18.30 მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 76-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
20.50 დოკ. ფილმი „ეს სანახაობაა"
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური". „ეპიდავრი.
22.00 მხ.ფ. „ლეგიონი" მთ. როლებში პარკერ სტივენსონი, ტერი ფარელი
00.00 მხ.ფ. „სრული 9 იარდი" მთ. როლებში ბრიუს უილისი, მეთიუ პერი

VII არხი

09.10 „აჩიკუდა"
09.35 „სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე
10.10 სპორტი
10.15 მელოდია
10.45 „სახლიდან გაუსვლელად"
11.15 ანიმაცია
11.30 „სახლიდან გაუსვლელად"
12.10 „ობიექტივი"
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.30 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
14.20 სპორტი
18.00 ანონსი
18.20 „სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.45 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.20 „ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.05 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.25 „კინოკლუბი „ - „ზოია" - 1 სერია.
23.55 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
00.35 „ბიორითმი" -ბრიტნი სფირსი

1 ОРТ

07.00 Телеканал „Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Комедия „ПРИКЛЮЧЕНИЯ НЯНИ"
12.10, 00.30 „Фабрика звезд"
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Кармадон. Декабрь
13.40 „Что? Где? Когда? Финал зимних игр
15.05 Павел Любимцев в программе „Путешествия натуралиста"
15.35 „Ералаш"
16.15 Худ.фильм „ГОЛУБАЯ ВОДА, БЕЛАЯ СМЕРТЬ"
18.00 „Большая стирка"
19.25 „Шутка за шуткой".
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Сериал „Убойная сила-4: Курс молодого бойца". 1 с.
23.45 Независимое расследование
01.00 Ночное „Время"
01.20 Телеканал „Новый день". Искатели. „Версия Тунгусского взрыва"
01.50 Телеканал „Новый день". „Сати". Джон Гальяно

РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Комедия „БЛЕФ"
11.35 „В „Городке"
11.45, 18.20, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 „Цена успеха"
13.15 „Вера, надежда, любовь"
14.10 „Экспертиза"
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина"
16.20 Худ.фильм „БОЛЬШАЯ ПЕРЕМЕНА"
17.40 „Экспертиза"
18.50 „Дорожный патруль"
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.45 „Городок"
22.15 Худ.фильм „ТАЙНЫ ДВОРЦОВЫХ ПЕРЕВОРОТОВ. РОССИЯ, ВЕК XVIII".
00.00 „Вести +"
00.40 „Культурная революция".
01.40 „Синемания"
02.10 „Дорожный патруль"

НТВ

09.40 Утро на НТВ
10.05 Игра „Один за всех"
11.00 „Сегодня утром"
11.30 „Намедни"
13.00, 15.00, 18.00, 20.00 „Сегодня"
13.05 Сериал „ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА"
14.35 Криминал
15.05 Галина Волчек. „Женский взгляд".
15.40 Детектив „ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.35 „Искусство делать комплименты". Ток-шоу „Принцип домино"
18.05 Детектив „КУКЛА"
19.15 „Внимание, розыск!". Последний из банды
20.40 Сериал „ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК"
21.45 Детектив „КУКЛА", 9 с.
23.00 „Сегодня вечером"
23.35 Сериал „ТРЕТИЙ ЛИШНИЙ"
00.15 Сериал „ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК"
01.20 Гордон

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი

ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში..
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15 საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9^{30} -დან 15^{00} -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

არომატი-2002, რომელიც ახალ წელსაც იცოცხლებს

წლის შემაჯამებელი მიმოხილვებიდან ყველაზე არომატული შეხვედრა-მიმოხილვა შაბათს "ბეტსი ჰოტელში" გაიმართა. არომატებისა და ზოგადად პარფიუმერიის ბაზარზე წამყვანმა საერთაშორისო ფირმამ "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსმა" კიდევ ერთხელ წარმოადგინა ის სუნამოები, რომელთაც 2002 წელი განსაზღვრეს და ქართულ გემოვნებასაც მეტნაკლებად მოერგნენ.
"გუჩი", "ესკადა", "როშა", "მექსი", "მონბლანი", "ტრუსარდი" – ამ პრესტიჟული სავაჭრო ნიშნების ახალმა არომატებმა იმდენად დახვეწილი და მრავალფეროვანი სპექტრი შექმნეს, რომ მათ ერთგული მომხმარებლის შენარჩუნება, წესით, არც 2003 წელს უნდა გაუჭირდეთ.

თამარ ბაბუაძე



წლის სიახლე – "ფრეზენსი"

პარფიუმერიის გიგანტურ ბაზარზე ერთი დაუწერელი კანონი მოქმედებს: რაც უფრო მეტ ელიტარულ კოსმეტიკურ სავაჭრო ნიშანს აერთიანებ, მით უფრო პრესტიჟული კომპანია ხარ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, "ისეიდოს" ჯგუფი "გოტიეს" მყვირალა და ელიტარული სახელით თუ ამაყობს, ხოლო "ლორეალი" – "კაშარელის", "არმანისა" და "ბოსის" სახელებით.

თავისი საამაყო ნიშნები 1997 წელს დაარსებულ "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსსაც" აქვს. მათ ნაწილს: "პუმას", "გუჩის", "ესკადას", "მარკოპოლოს", "ტრუსარდისა" და "დანჰილს", "ველას" შვილობილი კომპანია "ისი პარის" მაღაზიათა ქსელით საქართველოშიც ავრცელებს. სწორედ ამ სახელებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა შაბათს თბილისში, რომელსაც სათაო ოფისის წარმომადგენლებიც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ, უამინდობის გამო, პარიზიდან გამოფრენილი სტუმრები ერევანში ჩარჩნენ და წლის მიმოხილვამაც მათ გარეშე ჩაიარა.

თუმცა, ბუნებრივია, 2002 წლის პრესტიჟული არომატები ფრანგების გარეშეც მშვენიერ სურნელს აფრქვევდნენ. "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსის" ბრენდ-მენეჯერის, გელა ჯალიაშვილის თქმით, ამ წელს რვა ახალი სუნამო იშვა. რვავე მათგანის დაჭაშნიკების შემდეგ დავადგინეთ, რომ თითოეული იმდენად გამორჩეული და დახვეწილია, რომ ყველანაირი გემოვნების ადამიანი იპოვის მათში რაღაც სათავისოს. დავიწყოთ იმ სახელით, რომელიც "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსში" ფირმის დაარსებისთანავე შევიდა და უკვე წლებია, სწორედ მისი საშუალებით ვრცელდება. ეს გუჩია. თბილისშიც საკმაოდ პოპულარული "ენვისა" და "რაშის" შემდეგ, "გუჩიმ" ახალი სუნამო ოქტომბერში გამოუშვა. ტომ ფორდს ახალი ნაწარმის სახელის შერჩევაზე ბევრი არ უწვალია. სუნამოს ძალიან მარტივად და პირდაპირ Gucci Eau de Parfum დაარქვა, რადგან მიიჩნია, რომ ის ყველაზე უკეთ გამოხატავდა არომატის კონცეფციას – მდიდრულ, მრავალშრიან, ვანილისარომატიან, მძაფრ სურნელს – იმ ქალის სიმბოლოს, რომლის კვალიც მამაკაცის მეხსიერებაში მისი წასვლის შემდეგაც არ იშლება. ფორდი ხომ მრავალტიტულიანი დიზაინერია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მან შეძლო, "გუჩის" ახალი სუნამოსთვისაც ერთი შეხედვით ძალიან ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს სრულიად განსხვავებული ფლაკონი შეექმნა. Gucci Eau de Parfum ძალიან მასიური, სქელი მინის ფლაკონში ასხია, დაახლოებით ისეთში, ძველად რომ იყენებდნენ. წარსულის გახსენებით ფორდმა "გუჩის" მრავალწლიან ტრადიციებსა და კლასიკურობას გაუსვა ხაზი. როშას "აბსოლუტ" 2002 წლის "შვილია". მანდარინისა და ლეღვის ფოთლის არომატი აუცილებლად მაშინვე მიგახვედრებთ, ეს სურნელი მოგიხდებათ თუ არა.

"ესკადას" "სენტიმენტი" კი მამაკაცებისთვისაა. 2000 წელს ფირმამ იგივე სახელწოდების სუნამო ქალებისთვის გამოუშვა, ვარდისფერი და გულის ფორმის ფლაკონში. მამაკაცებისთვის შექმნილი "ესკადას" ფლაკონი კი უფრო მამაკაცურია – მკვეთრი წახნაგებითა და უფრო მუქი ფერით. "ესკადას" დიზაინერები ამტკიცებენ, რომ ეს სურნელი ძლიერი და მგრძნობიარე მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი.

"კოსმოპოლიტან კოსმეტიკსის" შემდეგი სიახლე "მონბლანის" "ფრეზენსია", რომელიც ასევე შემოდგომიდან გაჩნდა თბილისში. ორიგინალურ იდეებს ხომ პიარ-მენეჯერები ისედაც არ უჩივიან. თუმცა, "ფრეზენსისთვის" მათ ძალზე ორიგინალური კონცეფცია შეარჩიეს: ეს არის სურნელი ინტელექტუალი და ლამაზი ქალისთვის, სურნელი, რომელიც საყვარელი ადამიანის მოახლოებას გაგრძნობინებს. კონცეფცია მათ სარეკლამო სლოგანისთვის მოკლედ ასე გადმოსცეს – "ნუთუ ეს შენ ხარ?", ინტელექტუალი და ლამაზი ქალბატონის სიმბოლოდ კი სუპერმოდელი ჰელენა კრისტენსენი აირჩიეს.

ზემოთხსენებული რვა არომატიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სურნელია "მონბლანის" Aquawoman. ყვავილოვანი, სუფთა არომატი, რომელსაც თითქოს, თან ოკეანის სიგრილე მოაქვს. ის მაძიებელი, მეოცნებე ქალებისთვისაა, რომლებიც მუდამ მზად არიან ახალი აღმოჩენებისა და ხეტიალისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ Aquawoman-მა გახსნა "მეორე სემესტრი" 2002 წლის ახალ სუნამოებში. თბილისელებმა უკვე ახლოს გაიცნეს "მექსის", "ტრუსარდი სქინისა" და "სინდი კროუფორდის" ახალი ნაწარმიც.

ახალი წლიდან "კოსმოპოლიტან კოსმეტიკსი" მსოფლიოს მასშტაბით შედგენილ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრას გეგმავს. ამ მიზნის მისაღწევად ის, ბუნებრივია, თავისი მფარველობის ქვეშ ახალი ელიტარული სახელების მიზიდვას და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას შეეცდება. ასე რომ, სიახლეები 2003-შიც მრავლად იქნება.

კონკურსებიდან – "შოუმდე"!

თეა შანიძე

წარმოადგენენ სალონ "სოლოს"

საბჭოურ პერიოდში გახშირებულმა პარიკმახერთა კონკურსებმა, როგორც იქნა, შოუს სახე მიიღო. უფრო სწორად, ორგანიზატორები შეეცადნენ, "საქართველოს პარიკმახერებისა და ვიზაჟისტების მეორე ფესტივალისთვის" შოუს სახე მიეცათ.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ჩატარებული "პირველი ფესტივალის" შედეგებს, შოუს ინიციატორებს ნამდვილად ჰქონდათ "მეორეს" ჩატარების მიზეზი.

პირველთან შედარებით, ბოლო ჩვენება უფრო ორგანიზებული უნდა ყოფილიყო!.. თუმცა, ამ "სიკეთის" დეფიციტს" ნამდვილად იგრძნობდით, როცა ხალხით გაჭედილ რკინიგზელთა სახლის დარბაზში მოხვდებოდით. საქართველოს პარიკმახერებსა და ვიზაჟისტებს სწორედ, ამ დარბაზის სცენაზე უნდა მოეხდინათ საკუთარი "ნიჭისა" თუ "ხელოვნების" დემონსტრირება.

30-მდე მონაწილის ნამუშევრებს ჟიური აფასებდა. საგანგებოდ, მოსკოვიდან მოწვეული ოსტატი პარიკმახერი, თორმეტგზის ჩემპიონი ვაჟა მხითარიანი ქართველების გაბედული ნაბიჯით – შოუს მოწყობით, კმაყოფილი იყო.

ჟიურის "ავტორიტეტი" და წევრი ზაზა ყაჯრიშვილი ამ ჩვენებაში მაინც "სიახლეს" ხედავს და აღნიშნავს: "ფესტივალი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა; მართალია, ორგანიზება აკლდა, მაგრამ ეს იყო წარდგენა თუ რა დონეზეა პარიკმახერობა, როგორც ხელობა, საქართველოში; რა შესაძლებლობები აქვთ და რა შეუძლიათ აქ მცხოვრებ პარიკმახერებს."

ამავე ჩვენებაზე მოეწყო პარიკმახერების ჟურნალის – "ფიგაროს" პრეზენტაცია. ჩამოყალიბდა პარიკმახერთა და კოსმეტოლოგთა პროფესიული კავშირი, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნათელა იაშვილი გახლავთ.

რეგიონალური კონკურსების შემდეგ, ისევ გელით "შოუ"; ამჯერად, მესამე და ისიც – თებერვალში!

მხოლოდ, ამგვარი "სიახლეების" გამო შეგიძლიათ თვალი დახუჭოთ ყველა იმ ლაფსუსსა და უზუსტობაზე, რომელიც "შოუს" ახლდა.



ბანკროტების-ეროვნული ცენტრი :ორგანიზატორი
ბანკროტების-ეროვნული ცენტრის ბეჭდვითი ორგანო „ბანკროტების ამბები“. ცენტრის ბიულეტენი
e-mail: publi@24hours.ge :ელ-ფოსტა
ISSN 2024-2024 :ISSN ბეჭდ. გვ. 45, ტირაჟი: 2024-25, 2024
ბანკროტების-ეროვნული ცენტრის ბეჭდვითი ორგანო